პალიტრა მედია

ლანი

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

4 ივლისი **ორშაბათი** 2011

№ 154 (13451) ფასი 80 თეთრი

ფავორიტები და ფრეები

აქ ხომ მოულოდნელი მოსალოდნელია!

მოედანზე გამოჩნდა, არც მეტი, არც ნაკლები, ქალი

8

ტატიშვილის იტალიანა

12

ანა ტატიშვილმა იტალიაში ტურნირი მოიგო

MONEYპულსიები: თურქეთიც აფეთქდა!

6

ნოვაკ ახალი ჯოკოვიჩი ჩემპიონია!

16

პეტრა დიდი

რომელმაც შარაპოვა აკვნესა

● წილისყრის მოლოდინში

30 ივლისიდან 30 ვიოცნებოთ ბრაზილიაზე

FIFA WORLD CUP Brasil

მეტოქეთა ხედი მეოთხე კალათიდან

30 ივლისს მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წილისყრა გაიმართება და საქართველოს ეროვნული ნაკრების მომავალი მეტოქეების ვინაობასაც შევიტყობთ.

ბრაზილიაში გასამართი მუნდიალის საკვალიფიკაციო ეტაპის თაობაზე პერიოდულად ვწერდით და ჩვენი გუნდის სავარაუდო მოწინააღმდეგეთა შესახებ ინფორმაციებსაც გაწვდიდით. შეგახსენებთ, კალათებში ნაკრებები ფიფასა და "კოკა კოლას" ივლისის რეიტინგის მიხედვით გადანაწილდებიან, რომელიც, მართალია, ჯერ არ გამოქვეყნებულა, მაგრამ საქმეში გასარკვევად ივნისის რეიტინგიც სავსებით საკმარისია – ამ ორ რეიტინგს შორის არსებულ პერიოდში ევროპული ნაკრებები საერთოდ არ თამაშობენ და რომელიმე მათგანმა პოზიცია რომც შეიცვალოს, ბებერი კონტინენტის წარმომადგენელთა თანმიმდევრობა მაინც უცვლელი დარჩება.

ასე რომ, დღესვე შეგვიძლია ვთქვათ, როგორი იქნება ევროპული კალათების შემადგენლობა 30 ივლისს.

პირველი კალათი: ესპანეთი, ჰოლანდია, გერმანია, ინგლისი, იტალია, პორტუგალია, ხორვატია, ნორვეგია, საბერძნეთი.

მეორე კალათი: საფრანგეთი, ჩერნოგორია, რუსეთი, შვედეთი, დანია, სლოვენია, თურქეთი, სერბეთი, სლოვაკეთი.

მესამე კალათი: შვეიცარია, ისრაელი, ირლანდია, ბელგია, ჩეხეთი, ბოსნია, ბელარუსი, უკრაინა, უნგრეთი.

მეოთხე კალათი: ბულგარეთი, რუმინეთი, საქართველო, ლიტვა, ალბანეთი, შოტლანდია, ჩრდილოეთ ირლანდია, ავსტრია, პოლონეთი.

მეხუთე კალათი: სომხეთი, ფინეთი, ესტონეთი, კვიპროსი, ლატვია, მოლდოვა, მაკედონია, აზერბაიჯანი, უელსი.

მეექვსე კალათი: ფარერები, ლიხტენშტაინი, ისლანდია, ყაზახეთი, ლუქსემბურგი, მალტა, ანდორა, სან მარინო.

საქართველოს ნაკრებმა ბოლო დროს რეიტინგში მნიშვნელოვანი პროგრესი კი განიცადა, მაგრამ იმდენი ვერა, რომ მეოთხიდან მესამე კალათამდე აღზევებულიყო. საამისოდ ხორვატიაში გამარჯვება გვეყოფოდა, მაგრამ სპლიტში მასპინძელთა გააფთრებულ შეტევებს ბოლომდე ველარ გავუძელით. თუმცა ისიც სათქმელია, რომ ჩვენს ეროვნულ გუნდს **თემურ ქეცბაიას** დანიშვნამდე გაცილებით უარესი რეიტინგი ჰქონდა. შეხსენებისთვის: ევრო 2012-ის საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრისას საქართველოს ნაკრები მეხუთე კალათის ბინადარი იყო.

სამუნდიალე კალათების შემადგენლობას დაკვირვებით თუ გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ უმძიმეს და ხელსაყრელ ჯგუფში მოხვედრის დაახლოებით ერთნაირი შანსი გვაქვს და ვნახოთ, როგორი თვალით გადმოგვხედავს ფორტუნა 30 ივლისს.

როგორც ხედავთ, ჩვენი ორი ამჟამინდელი მეტოქე, ხორვატია და საბერძნეთი, პირველი კალათის წევრები არიან და იქ მოხვედრილ სხვა გუნდებს თუ გადავხედავთ, ზემოთ ნახსენები ორიდან რომელიმესთან კვლავ შეხვედრა ურიგო პერსპექტივა არ უნდა იყოს. ნორვეგიაც უთუოდ კარგი ვარიანტია, დანარჩენებზე კი რა გითხრათ...

მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის წილისყრისას, როცა საქართველოს ნაკრებს **ექტორ რაულ კუპერი** წვრთნიდა, ჩერნოგორიის ნაკრები ბოლო, მეექვსე კალათიდან გვერგო. მაშინ სერბეთისგან გამოცალკევებული ჩერნოგორიელები საერთაშორისო ასპარეზზე პირველ ნაბიჯებს დგამდნენ და წილისყრისას მოკრძალებული პოზიცია ამიტომაც ეკავათ, სულ მოკლე დროში კი საოცარი ნახტომი გააკეთეს და დღეს ფიფას რეიტინგში მე-16 ადგილზე არიან, რამაც სამუნდიალე წილისყრისთვის მეორე კალათში მიუჩინა ადგილი. მოკლედ, წინსვლაზე ჩვენ რა გვეთქმის, სალაპარაკო ამათ აქვთ, თუ აქვთ... დაგვეთანხმებით, მეორე კალათი მეტ-ნაკლებად თანაბარი დონის გუნდებითაა დაკომპლექტებული და "საჩუქარი" არავინ იქნება.

მესამე კალათშიც საკმაოდ ძლიერი ნაკრებები არიან. ნაკლებად სასურველ მეტოქეთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ ჩვენთვის ტრადიციულად უხერხული უკრაინა, მაინცდამაინც არც შვეიცარია და ჩეხეთი დაუძლურებულან.

მეოთხეკალათელებიდან, ბუნებრივია, საქართველოს ნაკრებთან ვერავინ მოხვდება, მათ შორის ავადსახსენებელი ბულგარეთი, მეხუთედან კი არასასურველი კვიპროსი უნდა იყოს. მეექვსე კალათი უკომენტაროდ დავტოვოთ...

შეგახსენებთ: რამდენიმე დღის წინ ფიფამ გამოაცხადა, რომ საქართველოსა და რუსეთის ნაკრებები ერთ ჯგუფში არ მოხვდებიან, ისევე, როგორც აზერბაიჯანი და სომხეთი (თუმცა ეს ორი ისედაც ერთ კალათში აღმოჩნდა). ასე რომ, მეორე კალათიდან ჩვენი პოტენციური მეტოქე მხოლოდ რვა გუნდია.

რაც შეეხება ევროპის ზონის შესარჩევი ტურნირის ფორმატს, ჩვენი კონტინენტის 53 ნაკრებიდან ბრაზილიაში მხოლოდ 13 გაემგზავრება. შეიქმნება 9 ჯგუფი, საიდანაც 8-ში 6-6 გუნდი იქნება, ერთში კი - 5. ჯგუფების გამარჯვებულები მუნდიალის საგზურს ავტომატურად მიიღებენ, ყველაზე უარესი შედეგის მქონე მეორეადგილოსანი თამაშგარეში დარჩება, დანარჩენი რვა კი ოთხ წყვილს შეადგენს და ბოლო ოთხ საგზურსაც ისინი გაითამაშებენ.

ლევან ჯანეზაშვილი

● ზესტაფონი-დაჩიას მატჩამდე

ზესტაფონი ავსტრიულ შეკრებაზე

ლიგას ფასი ზესტაფონშიც დაედო

13 ივლისს "ზესტაფონი"-"დაჩიას" მატჩზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა მალე დაიწყება და მსურველებს მათი შეძენა 7, 10 და 20 ლარად შეეძლებათ. აქედან მეტი წილი 7 და 10-ლარიანი ბილეთები იქნება. რაც შეეხება შეხვედრის პირდაპირ რეპორტაჟს, ეს საკითხი ჯერჯერობით ღიაა და არ გარკვეულა, შესაძლებელი იქნება თუ არა თამაშის ტელევიზიით ხილვა.

"ზესტაფონის" ავსტრიული შეკრება კი დასასრულს უახლოვდება. დღეს, თბილისის დროით სალამოს 11-ის ნახევარზე ზაალფელდენში **გია გეგუჩაძის** გუნდი ამხანაგურ მატჩს რუმინულ "უნივერსიტატია კლუჟთან" გამართავს, ხვალ კი საქართველოში დაბრუნდება. "ზესტაფონი"-"უნივერსიტატიას" შეხვედრის პირდაპირ რეპორტაჟს რუმინული არხი Digi Sport გადასცემს.

ლევან ჯანეზაშვილი

● ვიტ ჯორჯია

1:2 სტუ-დინამოთან

ვეტერინარებში სიხარულიძე ვარჯიშობს

"ვიტ ჯორჯიამ" მცხეთაში მორიგი ამხანაგური მატჩი ჩაატარა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდთან 1:2 დამარცხდა. სტუ-მ ორივე გოლი პირველ ტაიმში გაიტანა მეტოქის უხეში შეცდომების შედეგად, მეორე ნახევარში კი "ვიტ ჯორჯიამ" მხოლოდ ერთი ბურთის გაქვითვა მოახერხა – თავი **ირაკლი სიხარულიძემ** გამოიჩინა.

"ვიტ ჯორჯიამ" ამ შემადგენლობით ითამაშა: **ძაძამია (მიქაბერიძე 46) - ხურცილავა, ადამაძე, კასრაძე, ღანიაშვილი - გურამ გურეშიძე (გიორგი გურეშიძე 51) - კორიფაძე (ჯუღელი 57), ვასაძე (სიხარულიძე 46), ჯანელიძე, ოთარიშვილი (ვაშაკიძე 46) - ჩიმაკაძე (გაბრიჭიძე 65).**

სიხარულიძე, რომელმაც წინა სეზონები თბილისის "დინამოში" გაატარა, ჯერჯერობით ვიტჯორჯიელი არ გამხდარა. იგი გუნდის შემადგენლობაში ვარჯიშობს და მისი საკითხი რამდენიმე დღეში გადაწყდება.

ცნობილი იყო, რომ "ვიტ ჯორჯია" უცხოური შეკრების მოწყობას აპირებდა და სავარაუდო ადგილიც დაზუსტდა – სამთო კურორტი ბოლუ, რომელიც სტამბოლთან ახლოს მდებარეობს. **ზურაბ ბერიძის** გუნდი იქ 16-დან 30 ივლისამდე მოემზადება და საკონტროლო მატჩებსაც ჩაატარებს.

მანამდე კი "ვიტ ჯორჯია" მცხეთის სტადიონზე ივარჯიშებს და ამხანაგური შეხვედრების დიდ ნაწილსაც იქ გამართავს. შეგახსენებთ, პირველ სპარინგში ვეტერინარები საჩხერის "ჩიხურას" 0:0 დაუზავდნენ.

შეგახსენებთ იმასაც, რომ "ვიტ ჯორჯიამ" უკვე დაიმატა ოთხი ახალი ფეხბურთელი – მცველები **გიორგი ხუმარიშვილი** და **გიორგი ოთარიშვილი** და ნახევარმცველები **გიორგი ვაშაკიძე** და **ირაკლი ხუჭუა.**

ლევან ჯანეზაშვილი

● ტორპედო

რას გვერჩით, ძამა...

დღეს ქუთაისის „ტორპედო" პირველ, ურეკულ შეკრებას დაასრულებს. შაბათს ქუთაისელებმა მესამე საკონტროლო შეხვედრა პირველი ლიგის ბათუმის "დინამოსთან" 0:0 დასასრულეს.

პირველ ტაიმში ქუთაისელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: **ქვილითაია, ფოფხაძე, ფარულავა, ჩხარტიშვილი, ტაბატაძე, თარხნიშვილი, დოლიძე, სეთურიძე, დათუნაიშვილი, საბანაძე, მეგრელაძე.**

მეორე ტაიმში "ტორპედოს" მწვრთნელებმა **გიორგი კიკნაძემ** და **ზაზა ზამთარაძემ** შემადგენლობა სრულად შეცვალეს და მოედანზე შეიყვანეს **მიგინეიშვილი, ხარაბაძე, თოდუა, ქემოკლიძე, გურული, იოსელიანი, ჩიკვილაძე, დიღმელაშვილი, კირკიტაძე, ბოლქვაძე, გოცირიძე.**

მანამდე "ტორპედომ" ურეკში ორი საკონტროლოც გამართა: პირველ მატჩში ოზურგეთის „მერცხალი" 7:0 გაანადგურა. თავი გამოიჩინეს რევაზ გოცირიძემ (2), დავით ბოლქვაძემ (2), გივი იოსელიანმა, დავით კირკიტაძემ და თორნიკე თარხნიშვილმა.

მეორე მატჩში, 29 ივნისს ქუთაისელები ლანჩხუთის „გურიას" შეხვდნენ და კვლავ შვიდი ბურთი გაიტანეს – 7:1. ამჯერად თავი გამოიჩინეს გიორგი კუხიანიძემ, დავით დიღმელაშვილმა, კირკიტაძემ, გიორგი გურულმა, ცოტნე ხარაბაძემ და ორჯერ გიორგი მეგრელაძემ.

"ტორპედოს" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, დღეს გუნდი ქუთაისში დაბრუნდება, ფეხბურთელები ორი დღე დაისვენებენ და ვარჯიშს საკუთარ სტადიონზე განაახლებენ. 10 ივლისს კიდევ ერთხელ ეწვევიან ზღვისპირეთს და ფოთში ადგილობრივ „კოლხეთთან" მორიგ სპარინგმატჩს გამართავენ.

გუნდის პრესსამსახურმა კი მორიგი ახალწვეულის შესახებ გაავრცელა ცნობა - ქუთაისის „ტორპედოში" **ნუკრი მანჩხავა** ჩაირიცხა.

"ახალი სეზონიდან გუნდში 29 წლის მარცხენა მცველი ნუკრი მანჩხავა ითამაშებს. ფეხბურთელი ბოლოს ცხინვალის „სპარტაკში" გამოდიოდა, მანამდე კი ლიტვურ „კაუნასსა" და ბელარუსში, ყოდინოს „ტორპედოში" გამოდიოდა. მასთან "ტორპედომ" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ახალწვეული ქუთათურებს უკვე შეუერთდა ზღვისპირა კურორტზე," – იუწყება "ტორპედოს" პრესსამსახური.

"ტორპედოს" შემადგენლობაში გამოცდილი მცველის გამოჩენას ბათუმის „დინამოსთან" შეხვედრაში ელოდნენ, მაგრამ მას მოსამზადებელი ეტაპის დასაწყისი გაუცდა, ფორმა უნდა აღიდგინოს და, სავარაუდოდ, ფოთის "კოლხეთის" წინააღმდეგ ითამაშებს.

მერაბ მამულაშვილი

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

ჰალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. *ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● დაარტყა და გაარტყა

მარცვალაძის TV GOOOOOOOOL

ქართველმა დოს სანტოსსა და რონალდინიოს გაასწრო

ბრაზილიელი ვარსკვლავის, ფლამენგოელი **რონალდინიოს** მიერ "ამერიკა მინეიროს" კარში გატანილი გოლი ბოლო დღეებში მსოფლიოს ყველა ნამყვანმა ტელეარხმა დაატრიალა.

თუმცა www.tvgolo.com-ის ყოველკვირეულ მსოფლიო გოლების ჰიტ-აღლუმში ბრაზილიელს მნიშვნელოვანი უპირატესობით უსწრებდა და გუშინ საღამომდე პირველ ადგილზე იყო **ოთარ მარცვალაძე**. ამ ვებგვერდზე კვირის ათი გოლიდან საუკეთესოს გულშემატკივრები აფასებენ.

26 წლის ქართველმა თავდამსხმელმა, რომელმაც ამ დღეებში ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" მაისურით ბოლო შეხვედრა ჩაატარა, "ტომთან" თამაშისას უმაღლესი შეფასება დაიმსახურა, ჰიტ-აღლუმში კი მის მიერ ციმბირელთა კარში გატანილი მეორე გოლი მოხვდა, როდესაც მცველს ბურთი ფეხებში გაუტარა და შორეული დარტყმით ცხრიანში შეაგდო.

ოთარის გოლი გამოკითხულთა 35.59 პროცენტს მოეწონა და მექსიკის ნაკრების ვარსკვლავს, ჯოვანი დოს სანტოსს გუშინ საღამოს გაასწრო (32.26%).

ქართული ფეხბურთის ისტორიაში იყო სულ რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ჩვენიანის გოლმა ამხელა ყურადღება მიიქცია: "მანჩესტერ სიტის" პლეიმეიკერ **გიორგი ქინქლაძის** მიერ 1995 წელს "საუთჰემპტონის" კარში გატანილი გოლი ინგლისის პრემიერლიგის საუკეთესო გოლების რეიტინგში დღემდე მეექვსე ადგილზეა – მან ხომ ლამის ყველა მეტოქე და მეკარე მოატყუა და, თუ ვინმეს ქართული ფეხბურთის იმედი აქვს, დღემდე ამ კადრებს უყურებს და ოცნებობს, იქნებ გამოჩნდეს კიდევ ერთი ქინქი, რომელმაც ჩვენს გულშემატკივარს უდიდესი სიამაყე და სიამოვნება მოუტანა.

1. მარცვალაძე (ვოლგა)	35.89% (2 910 ხმა)
2. დოს სანტოსი (მექსიკა)	32.65% (2 647)
3. დუმგია (ცსკა)	16.95% (1,371)
4. რონალდინიო (ფლამენგო)	4.32% (350)
5. ფერეირა (არგენტინა U-17)	3.06% (248)
6. გუკური (ყუბანი)	2.21% (179)
7. მონიკა ოკამვუ (მექს., ძალ.)	2.01% (163)
8. აუსტინი (ბრანი)	1.91% (155)
9. უოლი (სიეტლ სოუნდერსი)	0.61% (49)
10. ფაგიო (კუბამოტო)	0.39% (32)

გამოკითხვაში ამ დროისთვის მონაწილეობა მიიღო 8 107-მა გულშემატკივარმა.

ოთარ მარცვალაძე

● ბაზარი გაგვიძვირდა

დინამოს ესპანელი ახალწვეულები

ხისკო: ყველაზე ძვირადღირებული უმაღლეს ლიგაში

ესპანელის ტრანსფერი მილიონ დოლარზე მეტად შეფასდა

თბილისის "დინამოში" ესპანური სამეულის ჩამოყვანით ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც დაფიქსირდა – ბოლო წლებში პირველად, საქართველოს ჩემპიონატში გამოჩნდა ფეხბურთელი, რომელსაც ევროპელები მილიონ ევროდ აფასებენ. ეს ფეხბურთელია **ხისკო**, რომლის ტრანსფერის ღირებულებად გერმანული სააგენტო "ტრანსფერმარკტი" მილიონ ევროს ასახელებს.

ხისკოს ფასი ახლა დაცემულია, არადა, საკმაო ხანს ბევრად ძვირიც ღირდა – 2004 წლიდან 2009 წლამდე მისი ფასი 3-დან 4 მილიონ ევრომდე მერყეობდა. ამ პერიოდში ის "ვალენსიასა" (2003-05) და "ბეტისში" (2005-08) თამაშობდა, განსაკუთრებით კი "ლევანტეში" გადასვლის წინ „დაფასდა" - 2008 წლის ივლისში მისმა სატრანსფერო ღირებულებამ 5 მილიონ ევროს უწია.

გაცილებით დაბალია "დინამოს" კიდევ ორი ახალწვეული ესპანელის ღირებულება - **ალბერტ იაგუე** - 200.000 ევრო, **კარლეს კოტო** - 150.000 ევრო.

ამგვარად, საქართველოს ჩემპიონატის ყველაზე ძვირადღირებულ ფეხბურთელთა სიაში ხისკომ „ზესტაფონისა" და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველ **ბუბა დაუშვილს** გადაასწრო, სია კი ამჟამად ასეთია (თანხები მოცემულია ევროში):

1. ხისკო („დინამო")	1.000.000
2. მურთაზ დაუშვილი („ზესტაფონი")	550.000
3-4. გიორგი ლორია („დინამო")	450.000
გიორგი ხიდეშელი („ზესტაფონი")	450.000
5-6 ნიკოლოზ გელაშვილი („ზესტაფონი")	400.000
როინ კვასხვაძე („ზესტაფონი")	400.000

7-12. ზურაბ მენთეშაშვილი, კახა ალადაშვილი, რატი წინამძღვრიშვილი (სამივე - "ზესტაფონი"), გიორგი თექთურმანიძე, გულვერდ თომაშვილი, ირჟი ჰომოლა (სამივე - "დინამო") — 350.000.

ყველაზე ძვირადღირებული ლეგიონერები

1. ხისკო ("დინამო")	1.000.000
2. ირჟი ჰომოლა ("დინამო")	350.000
3. სემირ ჰაჯიგულიჩი ("დინამო")	250.000
4. დონალდ ჯუსი ("დინამო")	250.000
5. როგერტინიო ("დინამო")	225.000
6. ალბერტ იაგუე ("დინამო")	200.000
7. კარლეს კოტო ("დინამო")	150.000
8. ფრიდოლინ გოიომო ("სპარტაკი")	100.000
9. *რევაზ ჯიქია ("სპარტაკი")	100.000
10. ტიერი კლოვისი ("სპარტაკი")	75.000

** რევაზ ჯიქია რუსეთის მოქალაქეა*

ჯოელ იატროს, მუნინი ტაპეს (ორივე - მარტვილის „მერანი"), **მიკოლა ნაკონეჩნისა** და **ობოიომი ოვონიკოკოს** (ორივე - „გაგრა") ფასები „ტრანსფერმარკტში" მითითებული არ არის. ჩვენი ვარაუდით. ოვონიკოკო, რეალური ფასიდან გამომდინარე, სულ მცირე, სამეულში მაინც მოხვდებოდა.

● სიტუაცია

ჯუღელ-თეთრაძის გუნდი კრასნოდარისკენ დაიძრა

ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგას" ქართველები მასობრივად ტოვებენ. უკვე არახალი ამბავია, რომ გუნდიდან მთავარი მწვრთნელის **ომარ თეთრაძის** დათხოვნის შემდეგ "კრასნოდარში" გადავიდა ვოლგელთა და რუსეთის პრემიერლიგის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი **ოთარ მარცვალაძე**.

როგორც ჩანს, ოთარი გამონაკლისი არ იქნება – მისი წამოსვლა დანარჩენი ქართველებისთვისაც სიგნალი იყო და "სპორტლაიფის" მტკიცებით, „კრასნოდარში" გადასვლას ნიჟნინოვგოროდელთა სხვა ქართველებიც, **გოგიტა გოგუა, გია გრიგალავა** და **გოჩა ხოჯავაც** აპირებენ.

"27 წლის ნახევარმცველი გოგიტა გოგუა კრასნოდარელების მორიგი ახალწვეული გახდება. ის ყოფილ თანაგუნდელ ოთარ მარცვალაძეს შეუერთდება, რომელმაც "კრასნოდართან' კონტრაქტი უკვე გააფორმა.

შესაძლოა, "კრასნოდარის" ქართული „დიასპორა" "ვოლგას" კიდევ რამდენიმე მოთამაშემ შეავსოს – გუნდში გია გრიგალავასა და გოჩა ხოჯავასაც ელიან.

ეს ყველაფერი დაკავშირებულია იმასთან, რომ მახაჩყალის "ანჟიში" და ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგაში" სპორტულ დირექტორად ნამუშევარი მამუკა ჯუღელი ამიერიდან "კრასნოდართან" ითანამშრომლებს.

მისი გუნდში მიწვევის ინიციატორი "კრასნოდარის" გენერალური დირექტორი ვლადიმირ ხაშიგია, რომელთანაც ქართველს დიდი ხნის მეგობრობა და პარტნიორობა აკავშირებს.

ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგადან" ომარ თეთრაძის დათხოვნამ კლუბში ჯუღელის პოზიციები მკვეთრად შეასუსტა, ამიტომ, გამორიცხული არ არის, "ვოლგას" ყოფილმა ფეხბურთელებმა, ძირითადად ქართველებმა, მალე "კრასნოდარის" რიგები შეავსონ.

ახალ გუნდში ჯუღელის პირველი ტრანსფერი ოთარ მარცვალაძის გადაყვანა იყო, რომელსაც მთელი კარიერის განმავლობაში პატრონობს - მახაჩყალის "ანჟისა" და "ვოლგაშიც" მან მიიყვანა" – იუწყება "სპორტლაიფი".

მაშასადამე, თუ რუსულ წყაროს დავეყრდნობით, "ვოლგას" ექვსი ქართველიდან კლუბს ოთხი დატოვებს – ნიჟნი ნოვგოროდში მხოლოდ **ლაშა სალუქვაძე** და **მათე ვანაძე** რჩებიან. თუმცა საეჭვოა, ჯუღელის ნასვლის შემდეგ "ვოლგაში" ესენიც გაჩერდნენ.

კომენტარისთვის გრიგალავას დავუკავშირდით.

"პირადად მოლაპარაკება არავისთან მქონია. დღეს ნიჟნიში მივემგზავრები და ყველაფერს ადგილზე გავარკვევ. საქართველოში ოთხი დღე ვისვენებდი და რუსეთიდან ზარებს არც ვპასუხობდი. თუ რაიმე წინადადებაა, დაინტერესებული კლუბი "ვოლგას" მიმართავს," – გვითხრა გრიგალავამ, რომელსაც, სხვათა შორის, "კრასნოდარი" ჯერ კიდევ იანვარში, "ვოლგაში" გადასვლამდე იწვევდა.

ინფორმაციები გადავამოწმეთ და დავადგინეთ, რომ ჯუღელმა და თეთრაძემ ზემოთ ნახსენებ ჩვენებურებს „ვოლგასთან" ერთობ ორიგინალური კონტრაქტები გააფორმებინეს – თუკი ისინი კლუბს დატოვებდნენ, ქართველები კონტრაქტის განყვეტის უფლებას მიიღებდნენ.

მამუკა ჯუღელი და ომარ თეთრაძე დიდი ხნის მეგობრები და პარტნიორები არიან. ერთად უმუშავიათ "ანჟიში", "ვოლგაში", შარშან დეკემბერში კი ჯუღელ-თეთრაძის დუეტს ბრიანსკის "დინამოში" იწვევდნენ. გასულ სეზონში ბრიანსკელებმა რუსეთის პირველ დივიზიონში მე-14 ადგილი დაიკავეს, მაგრამ წლეულს "დინამოს" მეპატრონეებს პრემიერლიგის საგზურისთვის ბრძოლა სურდათ, ჯუღელი და თეთრაძე კი, რომ იტყვიან, ამის სპეციალისტები არიან – ყველამ იცის, რომ ჯუღელი გავლენიანი მენეჯერია, რუსეთში მოთამაშე ბევრი ქართველი მისი კლიენტია და სადაც მიდის, თეთრაძე და ქართველი ფეხბურთელებიც მიჰყვებიან, მათ კი ძლიერი კოლექტივის ჩამოყალიბება შეუძლიათ.

ჯუღელს "დინამოში" მუშაობა სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით შესთავაზეს, საკითხი თითქოს გადაწყვეტილიც იყო, მაგრამ მაინც ნიჟნინოვგოროდულ კლუბში დარჩენა ამჯობინა.

ახლა კი ლოგიკური დასკვნა – როგორც უკვე ვთქვით, სადაც მიდის ჯუღელი, იქ მთავარ მწვრთნელად ომარ თეთრაძე ინიშნება. ვფიქრობ, ამ ამბებში ყველას გამორჩა ეს ფაქტორი, ისევე, როგორც "კრასნოდარის" მეპატრონე **სერგეი გალიცკის** სიტყვები – *"პრემიერლიგაში პირველი ეტაპის შემდეგ დაკავებული მეცხრე ადგილის გამო ეიფორიაში არ უნდა ჩავვარდეთ".*

გალიცკიმ მიანიშნა, რომ მთავარი მწვრთნელის, **სლავოლუბ მუსლინის** მუშაობით აღტაცებული არ არის, მისი ერთი წაფორხილება და...

გვერდი მოამზადა
მერაბ მამულაშვილმა

მამუკა ჯუღელი


ომარ თეთრაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

● მარტვილი

მოიბორჯომ-მოიბაკურიანეს

თუკი ზოგ უმაღლესლიგელს მომავალი სეზონისთვის მზადება ჯერაც არ (უფრო სწორად, ვერ) დაუწყია, მარტვილის "მერანმა" პირველი მოსამზადებელი ეტაპი უკვე მოილია – **მალხაზ ჟვანიას** გუნდმა ბაკურიანული შეკრება დაასრულა, სადაც აქცენტი ფეხბურთელთა ფიზიკურ მომზადებაზე გაკეთდა, თუმცა უმაღლესი ლიგის დებიუტანტებმა ერთი საკონტროლო მატჩიც ჩაატარეს – "ბორჯომს" 2:0 სძლიეს.

ამ შეხვედრაში გოლები თორნიკე შალიკაშვილმა **და** გურამ სამადაშვილმა **გაიტანეს, "მერანმა" კი ამ შემადგენლობით ითამაშა:**

გ. შენგელია, გ. ჟვანია, იობაშვილი, სუხიაშვილი, კაკუშაძე, იატრო, მემარნიშვილი, ე. გრიგალაშვილი, კუჭუხიძე, ამბროლაძე, ტაპე.

შეცვლაზე შევიდნენ: **შეროზია, თ. შალიკაშვილი, მელიავა, მანწკავა, წოწორია, ქამუშაძე, ტორაძე, ჩალაძე, სამადაშვილი.**

ჟვანიამ შეგირდებს ორდღიანი დასვენების უფლება მისცა, მზადების მეორე - ათდღიანი ეტაპი კი ხვალიდან მარტვილში დაიწყება, რასაც ურეკული შეკრება მოჰყვება. 10 ივლისს "მერანი" ზუგდიდის "ბაიას" გაეჯიბრება, 15-ში კი - ქუთაისის "ტორპედოს". ეს ორივე შეხვედრა აბაშაში გაიმართება.

"სამტრედიადან" **თორნიკე შალიკაშვილის** გადაბირების შემდეგ "მერანმა" ფოთის "კოლხეთიდან" მეკარე **გიზო შენგელია**, ბათუმის "დინამოდან" **გიორგი მანწკავა**, "ბათუმიდან" **ელგუჯა გრიგალაშვილი,** საჩხერის "ჩიხურადან" კი **დავით ქამუშაძე** დაიმატა. მარტვილელთა ბოლო ახალწვეული კი გორელი თავდამსხმელი **გურამ სამადაშვილია,** რომელიც ბოლოს "კოლხეთში" თამაშობდა.

ბოლოს იმასაც გეტყვით, რომ მარტვილის ცენტრალურ სტადიონზე ახალი საფრის დაგება მიმდინარეობს და "მერანს" ამიტომაც უწევს აბაშაში თამაში. წესით, ჩემპიონატის დაწყებისთვის მარტვილის სტადიონი სრულ მზადყოფნაში უნდა იყოს.

ლევან ჯანეზაშვილი

● ლეგიონერები

ალექსანდრე იაშვილი



ზურაბ ხიზანიშვილი

იაშვილის გოლი ცოგა იყო

მეორეგუნდესლიგურმა "კარლსრუემ" ავსტრიულ "ალტახთან" ამხანაგური მატჩი 1:2 წააგო. **ალექსანდრე იაშვილმა** მეორე ტაიმი ითამაშა და 76-ე წუთზე გოლიც გაიტანა, თუმცა "კარლსრუეს" ქართველმა კაპიტანმა და მისმა თანაგუნდელებმა თამაშის გადარჩენა ვეღარ შეძლეს.

ხიზანიშვილი 6-იანია

რამდენიმე დღის წინ "ქაისერისპორმა" ქომაგებსა და მედიას **ზურაბ ხიზანიშვილი** წარუდგინა, ახლა კი ისიც გაირკვა, რომელნომრიანი მაისურით დაიცავს ქართველი **შოთა არველაძის** გუნდის ღირსებას – 6-იანით ითამაშებს. ხიზანიშვილი, რომელიც საქართველოს ნაკრებში ბოლო დროს ნახევარდაცვაში თამაშობს, "ქაისერის" განაცხადში მცველადაა შეყვანილი.

ფოფხაძის ავსტრიული იმედი

გიორგი ფოფხაძე გრაცის "შტურმში" ისინჯება და მის შემადგენლობაში ერთი ტაიმიც ჩაატარა – ავსტრიის ჩემპიონებმა სპარინგში ბოსნიურ "ჟელეზნიჩარს" 1:0 მოუგეს, ფოფხაძე კი მოედანზე შესვენების შემდეგ გამოჩნდა.

შეგახსენებთ, 24 წლის მარცხენა მცველმა გასული სეზონის მეორე ნახევარი "ზესტაფონში" გაატარა და საქართველოს ჩემპიონიც გახდა, თუმცა ფეროელებმა კონტრაქტი არ გაუხანგრძლივეს.

ლევან ჯანეზაშვილი

ცხადაძეების ამბავი: მამას შვილმა მოაგებინა

კახა ცხადაძის ბაქოს "ინტერმა" თურქულ შეკრებაზე მორიგ საკონტროლო შეხვედრაში უკრაინის ვიშალიგადან გავარდნილი ზაპოროჟიეს "მეტალურგი" დაამარცხა – 4:0.

ყველა ქართველმა ითამაშა - **გიორგი ლომაიამ, ვალერი აბრამიძემ** და **ილია კანდელაკმა** ძირითად შემადგნელობაში, **ბაჩანა ცხადაძემ** კი – შეცვლაზე. "ინტერის" მთავარი მწვრთნელის ვაჟმა უკრაინელებს თავური დარტყმით მესამე გოლი გაუტანა.

კლუბის ვებგვერდთან ინტერვიუში კახა ცხადაძემ საკადრო ცვლილებებზე ილაპარაკა.

"დავით ოდიკაძისა და კახა მუჟავანაძის მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, "ინტერის" ჩემპიონობასა და "თანამეგობრობის თასის" მოპოვებაში მათ დიდი წვლილი შეიტანეს. ოდიკაძე თბილისის "დინამომ" მიიწვია და იქ დაბრუნება ამჯობინა. მუჟავანაძემ კი ტრავმის შემდეგ ფორმის აღდგენა ვერ მოახერხა, ხელოვნურ საფარზე თამაში უჭირდა და ორმხრივი შეთანხმებით კონტრაქტი გავწყვიტეთ.

...როდესაც ესტონეთის ნაკრების მცველ დმიტრი კრუგლოვსა და ილია კანდელაკს შორის დადგა არჩევანი, კანდელაკი ვამჯობინე... საერთოდ კი, "ინტერს" კიდევ სჭირდება გაძლიერება და საამისოდ კონკრეტული გეგმებიც გვაქვ," – თქვა ცხადაძემ.

მერაბ მამულაშვილი

● გუნდები. სპარტაკი

შეკრებიდან დაბრუნებული სპარტაკი თბილისში რამდენიმე საკონტროლო მატჩს ჩაატარებს

საინტერესო ტრადიცია

ცხინვალის „სპარტაკი" ახალი სეზონისათვის სერიოზულად ემზადება: **ბადრი კვარაცხელიას** გუნდმა ერთი შეკრება უკვე გაიარა და ამჯერად თბილისში ჩაატარებს საკონტროლო მატჩებს. შეგახსენებთ, რომ „სპარტაკი" 20 ივნისიდან პირველ ივლისამდე ბაკურიანში გადიოდა შეკრებას, სადაც მთავარმა მწვრთნელმა 23 ფეხბურთელი ნაიყვანა, ერთი ახალწვეული კი (ვისზეც ქვემოთ ცალკე ვისაუბრებთ) გუნდს ოდნავ მოგვიანებით შეუერთდა. წინა სეზონთან შედარებით „სპარტაკში" სერიოზული ცვლილებები მოხდა და ერთი მხრივ, ეს არავის უნდა გაჰკვირვებოდა: გუნდს მართლაც, „სულზე მიუსწრო" XXII ჩემპიონატის რეგლამენტის შეცვლამ, თორემ ცხინვალელთა გუნდს პირველ ლიგაში დაქვეითება არ ასცდებოდა; თუმცა, წინა ჩემპიონატის ფინიშზე გუნდის ხელმძღვანელობას საქმე სანერვიულოდ მაინც ჰქონდა: პლეი ოფის მატჩში „სპარტაკმა" დიდი გაჭირვებით შეძლო საჩხერის „ჩიხურას" დამარცხება და უმაღლეს ლიგაში ადგილიც შეინარჩუნა. მოკლედ, გუნდში განხორციელებული საკადრო ცვლილებები მეტ-ნაკლებად პროგნოზირებულიც იყო: ზოგ ფეხბურთელს ხანმოკლე ხელშეკრულება ჰქონდა „სპარტაკთან", ზოგიც სხვაგან გადავიდა და ასე შემდეგ. აქვე, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ გუნდის წასული ზოგიერთი მოთამაშე „სპარტაკის" ძირითადი შემადგენლობის წევრი იყო: **სოსო გრიშიკაშვილი, ლევან ჭაფოძე, ვალერი ბოლქვაძე, მიხეილ ბარაბაძე, ლაშა ჯაკობია, ნიკა მგელაძე, ნუკრი მანჩხავა;** აი, რაც შეეხება ახალწვეულებს, „სპარტაკმა" არც ამჯერად უღალატა ტრადიციას და ისეთი ფეხბურთელები დაიმატა, გულშემატკივართათვის კარგად რომ არიან ცნობილნი: 30 წლის **რევაზ ჯიქია** (თავდამსხმელი), 26 წლის **კობა შალამბერიძე** (ნახევარმცველი), 27 წლის **დავით ციმაკურიძე** (მცველი), 23 წლის **ლაშა ძაგანია** და 20 წლის **თორნიკე ზარქუა** (ორივე-მეკარე). ყველა ეს ახალწვეული „სპარტაკს" ბაკურიანის შეკრებაზე ახლდა, სადაც მათ კიდევ ერთი „ცნობადი სახე", 32 წლის **გივი კვარაცხელია** შეუერთდა!

...დღეიდან „სპარტაკი" თბილისში განაგრძობს მზადებას, ხვალ კი პირველ სპარინგ-მატჩსაც ჩაატარებს უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულ „გაგრასთან"; 6 ივლისს „სპარტაკის" დუბლშემადგენლობა სტუ-ს გაეჯიბრება, 8 ივლისს კი ძირითადი გუნდი საჩხერის „ჩიხურას" შეხვდება. როგორც „სპარტაკის" პრესსატაშემ **დავით ცაბაძემ** გვაცნობა, 10-დან 22 ივლისამდე გუნდი ურეკში გაემგზავრება და მეორე შეკრებას გაივლის, ამასთან, რამდენიმე საკონტროლო მატჩსაც ჩაატარებს. სეზონის დაწყებამდე „სპარტაკში", სულ მცირე, ორი ახალი ფეხბურთელის გამოჩენასაც უნდა ველოდოთ...

სამი ძვეყნის ჩემპიონი

ბევრი ქართული გუნდისგან განსხვავებით, თითქმის ყოველ სეზონში „სპარტაკის" შემადგენლობაში ორი-სამი გამოცდილი ფეხბურთელი ასპარეზობდა; ზემოთ ნახსენები სოსო გრიშიკაშვილის, ლაშა ჯაკობიასა და ნუკრი მანჩხავას გარდა, ბოლო წლებში „სპარტაკის" შემადგენლობაში ისეთ გამოცდილ და ცნობილ ფეხბურთელებსაც უთამაშიათ, როგორებიც **გიორგი დემეტრაძე, ლადო ბურდული** და **დავით ოდიკაძე** არიან. და აი, ახალი სეზონიდან „სპარტაკის" ღირსებას კიდევ ერთი გამოცდილი და ცნობილი ფეხბურთელი, 32 წლის **გივი კვარაცხელია** დაიცავს! რა თქმა უნდა, წინასწარ ძნელია იმის განსაზღვრა, თუ რომელ ამპლუას ანდობს „სპარტაკის" მთავარი მწვრთნელი ბადრი კვარაცხელია თავის გუნდის ყველაზე „ცნობად" ახალწვეულსა და... მოგვარეს: ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რომ გივი კვარაცხელიას დაცვის ცენტრსა თუ ნახევარდაცვაში ერთნაირი წარმატებით შეუძლია თამაში. მოკლედ, ძნელი სავარაუდო არ არის, რომ ახალ სეზონში კვარაცხელია „სპარტაკის" ერთ-ერთი ლიდერი უნდა გახდეს; თანაც, ამ გამოცდილ და უნივერსალ ფეხბურთელს დაცვითი ფუნქციების შესრულების გარდა შეტევებში ჩართვაც კარგად ეხერხება და ამის დასტურად საქართველოს ჩემპიონატში ბოლო ერთი წლის განმავლობაში 9 გატანილი გოლიც გამოდგება.

...გივი კვარაცხელიას უმაღლეს ლიგაში დებიუტი... 1996/97 წლების სეზონში ჰქონდა და ჭაბუკი ფეხბურთელი სამი წლის განმავლობაში თბილისის „დინამოში" ცდილობდა დამკვიდრებას; შემდეგ იყო „თბილისი" (ფაქტობრივად, „დინამო-2") და „ლოკომოტივი", რომლის შემადგენლობაშიც 2000 წელს საქართველოს თასს დაეუფლა. ამას საზღვარგარეთ წასვლა მოჰყვა: რიგის „სკონტოს" შემადგენლობაში კვარაცხელიამ „დუბლი" შეასრულა (ლატვიის ჩემპიონიც გახდა და ქვეყნის თასს დაეუფლა); ამის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და ჩემპიონობა ამჯერად ქუთაისის „ტორპედოსთან" ერთად იზეიმა, მერე ერთი სეზონი თბილისის „ლოკომოტივში" ასპარეზობდა, ორი წელი კი „თბილისის" ღირსებას იცავდა — სწორედ ამ გუნდში შთამბეჭდავი თამაშის გამო მიიწვია კიდეც **ალენ ჟირესმა** საქართველოს ნაკრებში. თუმცა, კვარაცხელიას სადებიუტო მატჩი უფრო ადრე ჰქონდა ნაკრებში ჩატარებული: 2000 წელს ირანთან ამხანაგურ შეხვედრაში. ირანთან მატჩის მერე კვარაცხელია 3 წლის შემდეგ გამოიძახეს საქართველოს ნაკრებში (მოლდოველებთან, ამხანაგურ შეხვედრაში), აი, ჟირესის დროს კი ხშირად იძახებდნენ ჩვენს უპირველეს გუნდში. აქვე ბარემ ისიც უნდა ვთქვათ, რომ კვარაცხელია წლების განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრების შეუცვლელი ფეხბურთელი გახლდათ: ჯერ — 18-წლამდელთა, მერე კი — 21-წლამდელთა გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო.

გივი კვარაცხელია

... 2005 წლის დასაწყისში კვარაცხელიას კარიერაში ახალი ეტაპი იწყება — ამჯერად ლიტვაში გაემგზავრა და „კაუნასის" შემადგენლობაში ამ ქვეყნის ჩემპიონიც გახდა და თასიც მოიპოვა! მერე იყო ბელარუსული გუნდი მტზ-რიპო, ოღონდ, მეოთხე (!) ქვეყნის ჩემპიონობას ვეღარ შესწვდა და „მხოლოდ" ბრინჯაოს მედლით დაკმაყოფილდა...

2010 წლის დასაწყისში, ვიდრე XXI ჩემპიონატის მეორე ეტაპი დაიწყებოდა, გივი კვარაცხელია საქართველოში დაბრუნდა და **თემურ მახარაძის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „ოლიმპში" ჩაირიცხა; დაბრუნება მართლაც ჩინებული გამოდგა — დროის უმოკლეს პერიოდში კვარაცხელია გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გახდა და **ანდერსონ აკინოსთან, დავით იმედაშვილთან, ფრაგასთან** და **გრიგოლ ჭანტურიასთან** ერთად ლომის წილი შეიტანა რუსთაველთა ტრიუმფში. თუმცა შარშან ისევ ბელარუსში გაემგზავრა, ოღონდ მცირე ხნით: ბრესტის „დინამოში" ოთხიოდე მატჩი ჩაატარა და სამშობლოშიც იმ გუნდში დაბრუნდა, სადაც 15 წლის წინ კარიერა დაიწყო; თბილისის „დინამოში" მშვენიერი დაბრუნება გამოუვიდა: პირველსავე მატჩში (ფოთის „კოლხეთთან") გოლი გაიტანა! საერთოდაც, გასულ სეზონში ურიგოდ ნამდვილად არ უთამაშია და ერთ კონკრეტულ შეხვედრაში, სულაც მატჩის ბედი გადაწყვიტა: 23 აპრილს, ზუგდიდში ჩატარებულ შეხვედრაში „ბაიას"კარში 2 გოლი გაიტანა და „დინამომაც" სნორედ კვარაცხელიას „დუბლით" გაიმარჯვა.

ახლა კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცხინვალის „სპარტაკის" ღირსებას დაიცავს და, სავარაუდოდ, ამ გუნდის ლიდერობაც უნდა გასწიოს...

გია ტუხაშვილი

● მანჩესტერ იუნაიტედი

ფერგის მიზანი და ინფორმაცია

„მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცმა, სერ **ალექს ფერგიუსონმა** თქვა, რომ ძალიან უნდოდა 22 წლის ჩილელი ფორვარდის, **ალექსის სანჩესის** შეძენა და მზად იყო მის სანაცვლოდ 39 მილიონი ევრო გაეღო, მაგრამ მათ, „მანჩესტერ სიტისა“ და „ჩელსის“, „ბარსელონამ“ აჯობათ — ამ კვირაში სამხრეთ ამერიკელი „კამპ ნოუზე“ გადავა.

ამრიგად, „ბარსელონამ“ „იუნაიტედს“ დაახლოებით ერთ თვეში მეორედ აჯობა — პირველად ინგლისის ჩემპიონი ესპანეთის პირველ გუნდთან 28 მაისს, ჩემპიონთა ლიგის ფინალში დამარცხდა და მეორედ ახლა, სანჩესისთვის ბრძოლაში. სამაგიეროდ, ამ დამარცხებამ სერ ალექსს სატრანსფერო ბაზარზე ერთხელაც გასვლა და მორიგი ვარსკვლავის ყიდვა გადააწყვეტინა მტკიცედ. ვისზეა ლაპარაკი? ეს ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს: **ვესლი სნეიდერზე** ან **ლუკა მოდრიჩზე**. 27 წლის სნეიდერი, მოგეხსენებათ, „ინტერში“ თამაშობს, 25 წლის მოდრიჩი კი „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ ფეხბურთელია.

ლუკა მოდრიჩი

მოგეხსენებათ, ინგლისის ჩემპიონატში გამარჯვების მიუხედავად ფერგიუსონმა გადაწყვიტა „მანჩესტერ იუნაიტედი“ გადაახალისოს. ამისათვის მან სამი ახალი ფეხბურთელი უკვე იყიდა: თავდამსხმელ **ეშლი იანგში**, მცველ **ფილ ჯონსსა** და მეკარე **დავიდ დე ხეაში** დაახლოებით 50 მილიონი ფუნტი გადაიხადა. „იუნაიტედმა“ პრემიერლიგელ კონკურენტებს დაასწრო. გუნდები შვებულებებიდან უკვე ბრუნდებიან, მაგრამ სანამ სხვათა გაგზავნილი ხალხი ჯერ კიდევ ბაზარში დადის, ჩემპიონი ვარჯიშს ფაქტობრივად დაკომპლექტებული იწყებს. თუმცა, როგორც მოგახსენეთ, გუნდის სრულ დაკომპლექტებამდე ფერგიუსონს ერთი ვარსკვლავი ჯერ კიდევ აკლია.

საინტერესოა, რომ ინგლისურ გაზეთებს თავად მწვრთნელის ციტატა არ მოჰყავთ, მაგრამ წერენ, რომ სერ ალექსს კიდევ ერთ ტრანსფერში არ ეპარება ეჭვი. თან, ეს მის გუნდს არ ეხება. კერძოდ, ფერგის უთქვამს, რომ „არსენალის“ 24 წლის ფრანგ შემტევ ნახევარმცველ **სამირ ნასრის** „მანჩესტერ სიტი“ იყიდის, თან ამ კვირაშივე.

● ჩელსი

ანდრეს დიდი მომავალი

პეტარ ჩეხი

„ჩელსის“ ჩეხი მეკარე, 29 წლის **პეტრ ჩეხი** ახალ მწვრთნელ **ანდრე ვილაშ-ბოაშს** მხარს უჭერს და ამბობს, რომ ის „სტემფორდ ბრიჯზე“ დიდ ტრადიციას ჩაუყრის საფუძველს. ჩეხის აზრით, 33 წლის პორტუგალიელი სპეციალისტი „ლურჯების“ სათავეში დიდხანს დარჩება და „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაც სერ **ალექს ფერგიუსონს** ღირსეულ წინააღმდეგობას გაუწევს.

ორი სიტყვა მათთვის, ვინც შეამჩნია, რომ პორტუგალიელი მწვრთნელის გვარს აქამდე ვილას-ბოასს ვწერდით, ახლა კი ბოლო ასო-ბგერა შევცვალეთ. პორტუგალიურს კარგად თუ ჩავუღრმავდებით, ძალიან რთულ შედეგს მივიღებთ. ვნახავთ, რომ სხვადასხვა გარემოებების გათვალისწინებით, ეს გვარი შეიძლება წავიკითხოთ, როგორც ვილეშ-ბოეშ, ვილას-ბოას, ვილაშ-ბოაშ... ხანდახან ეს „შ“ ძალიან ჰგავს „უ“-ს. მოკლედ, ამ მწვრთნელის გვარის გამოთქმა ბევრ რამეზეა დამოკიდებული, მათ შორის არა მხოლოდ დიალექტზე, არამედ იმაზეც კი, ვმღერით თუ ვლაპარაკობთ. ჰოდა, ამიტომაც გადავწყვიტეთ, სწორ გამოთქმასთან სავარაუდოდ ყველაზე მიახლოებულ ვარიანტზე, ვილაშ-ბოაშზე შევჩერდეთ და ამ თემაზე „აღარ ვინერვიულოთ“.

ახლა კი ჩეხის ნათქვამს დავუბრუნდეთ. მან თქვა:

„ძნელია ახსნა, რატომ ხდება, პერიოდულად, „ჩელსიში“ მეტად თავისებური ამბები. საბედნიეროდ, ახლა გვყავს ახალგაზრდა თავკაცი, რომელიც, იმედი მაქვს, „სტემფორდ ბრიჯზე“ 25 წელიწადს დარჩება და იმავე როლს ითამაშებს, ალექს ფერგიუსონმა „მანჩესტერ იუნაიტედში“ რომ ითამაშა. მართლა ასე რომ მოხდეს, დიდებული იქნება.

ვფიქრობ, არჩევანის ანდრეზე შეჩერება დიდებული გადაწყვეტილება იყო. ის ახალგაზრდაა და უკვე დაამტკიცა, რომ დიდი კლუბის დიდ წარმატებამდე მიყვანა შეუძლია. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მან კარგად იცის ინგლისური ფეხბურთი და საკუთრივ „ჩელსიშიც“ ჩინებულად ერკვევა. ის აქ ყოზე მოურინიოს დროს მუშაობდა, ასე რომ ის ჩვენ გვიცნობს და ჩვენც ვიცნობთ. მას მეტოქე გუნდების დაზვერვა და მათი თამაშის ანალიზი ევალებოდა, რასაც დიდებულად აკეთებდა. მისი რჩევები ძალიან გვეხმარებოდა. ეჭვი არ მეპარება, რომ ანდრე „ჩელსიში“ დიდ შედეგს მიაღწევს“.

● ლივერპული

ნნეხდაცემული

24 წლის ურუგვაელმა ვარსკვლავმა, **ლუის სუარესმა** თქვა, რომ „ლივერპულში“ გადასვლის შემდეგ დიდი ზეწოლის ქვეშ მოექცა. ის გრძნობდა, რომ აუცილებლად უნდა გაეტანა გოლები, თორემ მისი მრავალმილიონიანი ტრანსფერი შეიძლებოდა ცუდად შემოტრიალებოდა.

გეხსომებათ, ეს ამბავი იანვრის სატრანსფერო ფანჯრის დროს, უფრო სწორად კი მის ბოლო დღეს მოხდა. „ლივერპულმა“ „ჩელსის“ ესპანელი ვარსკვლავი **ფერნანდო ტორესი** მიჰყიდა და შემცვლელად სუარესი იგულა. ურუგვაელში მერსისაიდელებმა ამსტერდამის „აიაქსს“ 22,8 მილიონი ფუნტი ანუ 25,2 მილიონი ევრო გადაუხადეს და მართალია „ნიუკასლ იუნაიტედიდან“ **ენდი ქეროლიც** დაიმატეს (ამდენად, ტორესის საქმე მარტო მას არ დააწვებოდა მხრებზე), მაგრამ სუარესი მაინც დაძაბული იყო. ის გრძნობდა, რომ დიდი ამოცანის წინაშე იდგა. ყოველკვირეულ ესპანურ ჟურნალ „დონ ბალონთან“ ინტერვიუში „ნითლების“ ფორვარდმა თქვა:

„იცით, ასეთ დროს რამდენი ადამიანი გიყურებს? თან, როდესაც იცი, რომ შენში ბევრი მილიონია გადახდილი, პასუხისმგებლობა გთრგუნავს, მაგრამ მე შევეცადე თავი ხელში ამეყვანა და რაც შეიძლება მშვიდად მეცხოვრა. გადავწყვიტე არ მეფიქრა ხალხზე, რომელიც მიყურებდა“.

და სუარესს გაუმართლა. მან „ენფილდ როუდის“ გული მოიგო — პრემიერლიგის 13 შეხვედრაში 4 გოლი გაიტანა. საინტერესო კი რა არის, იცით? ის, რომ ურუგვაელი ტორესს ემადლიერება. ის ამბობს, რომ 50 მილიონ ფუნტად გაყიდულმა ესპანელმა „ჩელსიში“ გადასვლის წინ მას ფასდაუდებელი რჩევები მისცა.

„ფერნანდომ მირჩია არაფერი შემეცვალა, როგორ ფეხბურთსაც ვთამაშობდი, ზუსტად ისეთის თამაში გამეგრძელებინა. კიდევ, მან მითხრა „ლივერპული“ დიდი კლუბია და აქ, როგორც მოთამაშე, ძალიან გაიზრდები, ჩამოდი და ყველაფერში დაუჯერეო. დრო რომ გავიდა დავინახე, რომ ყველაფერი, რაც ტორესმა მირჩია, სრული სიმართლე იყო“.

„დონ ბალონთან“ ინტერვიუში სუარესმა „ბარსელონაში“ თამაშის სურვილზეც ილაპარაკა. არ არის გამორიცხული, მომავალში ის მართლაც გადავიდეს კატალონიაში, რადგან მისი აგენტი, **პერე გვარდიოლა** „ბარსას“ მწვრთნელის, **პეპ გვარდიოლას** ძმაა.

„ბარსელონაში გადასვლის სურვილი პერეს გაცნობამდეც მქონდა. რასაკვირველია, ის, რომ პერე „ბარსას“ მწვრთნელის ძმაა, ესპანეთის ჩემპიონთან მის კავშირებს ადასტურებს, მაგრამ ტრანსფერები ასე იოლად არ ხორციელდება. აქ, დიდი და პირად-ოჯახური ურთიერთობებისგან ძალიან განსხვავებული სამუშაოა ჩასატარებელი. თუ პეპ გვარდიოლას „ბარსელონაში“ ჩემი დამატება მოუნდება, ის ამას ყველა ვარიანტში გააკეთებს, მიუხედავად იმისა, ვინ არის ჩემი აგენტი“.

ლუის სუარესი

● მანჩესტერ სიტი

უეინ ბრიჯი

გაელის და უეინის ამბავი

„მანჩესტერ სიტი“ იმედოვნებს, რომ „არსენალიდან“ ფრანგ მარცხენა მცველს, 25 წლის **გაელ კლიშის** ხუთშაბათამდე გადაიბირებს. ხუთშაბათი იმიტომ ვახსენეთ, რომ ისტლენდელები სწორედ ამ დღეს იწყებენ ვარჯიშსა და ახალი სეზონისთვის მზადებას.

კლიშის „სიტიში“ გადასვლა, თავის მხრივ, კიდევ ერთ ტრანსფერს გამოიწვევს. სავარაუდოდ, გუნდიდან წავა 30 წლის **უეინ ბრიჯი**, რომლის ყიდვა ძალიან უნდა „ნიუკასლ იუნაიტედს“. უეინ ბრიჯიც მარცხენა მცველია, რომელიც 2011 წლის იანვარში ისტლენდელებმა „ვესტ ჰემს“ მიაქირავეს. „ჩაქუჩების“ მაისურით, ყველა შეჯიბრებაში ერთად, ბრიჯმა თვრამეტ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

● არსენალი

არსენალს ბელერინიღა აკლდა

ხუმრობა გვერდით იყოს და, სანამ „არსენალის“ ბარსელონელი კაპიტანი, 24 წლის **სესკ ფაბრეგასი** მშობლიურ ქალაქსა და გუნდში დაბრუნებისთვის იბრძვის, 16 წლის **ექტორ ბელერინი** პირიქით, „კამპ ნოუდან“ „ემირეიტ სთედიუმზე“ გადადის. ეს ის გზაა, რომელიც სესკმა 2003 წელს, ზუსტად ბელერინის ასაკში გაიარა. ყმანვილი მარჯვენა მცველი „ბარსელონას“ ბავშვთა აკადემიის აღზრდილია, თუკი 16 წლისას უკვე აღზრდილი შეიძლება ვუწოდოთ.

ბელერინი ლონდონში „არსენალის“ ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის ეშხით გადავიდა — როგორც ჩანს, დაჰპირდნენ, რომ მხოლოდ რეზერვისტთა გუნდში კი არა, „ნაღდ პრემიერლიგაშიც“ გააგორებინებენ ბურთს.

„ჰუნტო ჰელოტა“, ასე ეწოდება ესპანეთის ტელევიზიის ერთ-ერთ შოუს, რომელმაც ბელერინის უმასპინძლა და საზოგადოებამ ბიჭის ამბები აქედან შეიტყო. ბელერინიმ თქვა:

„შინ ვიყავი, როდესაც მამამ გამომძახა, ტელეფონთან გეძახიან, „არსენალიდან“ რეკავენო. იმ ლაპარაკის შემდეგ ვამჯობინეთ ლონდონში ჩავსულიყავით და ყველაფერი საკუთარი თვალით გვენახა. რომ მივდიოდი, გადაწყვეტილი არაფერი მქონდა, რადგან მანამდე ჩემი ცხოვრება მხოლოდ „ბარსელონასგან“ შედგებოდა. ძნელია, ასეთ დროს თამამად მოიქცე, თუმცა, შემდეგ მოვლენები ისე განვითარდა, რომ გადავწყვიტე „არსენალის“ ფეხბურთელი გავმხდარიყავი. როდესაც გინდა პროფესიონალი გახდე, ცხოვრებაში საკუთარი გზა უნდა ნახო. ვფიქრობ, სწორი ნაბიჯი გადავედგი.

თან, ჩვენ პირადად ბატონ ვენგერს შევხვდით და მასთან საუბარმა საუცხოოდ ჩაიარა. მოჭარბებული ემოციისგან ცოტა დაბნეული ვიყავი, მაგრამ შევეცადე მისი არც ერთი სიტყვა არ გამომრჩენოდა. იცით, როდესაც უცბად გამოჩნდება გუნდი, რომელიც გპირდება, რომ ძირითად შემადგენლობაში გათამაშებს და თან, არც მეტი, არც ნაკლები, პრემიერლიგაში, ძნელია უარი უთხრა.



ბატონმა ვენგერმა გამაცნო „არსენალის“ გეგმები, მითხრა, როგორ მომერგებოდა ეს პროექტი და დასძინა, რომ პირადად ჩემი გაცნობა უნდოდა ძალიან“.

● მექრთამეობა

სტადიონის ამბავი



ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადისთვის სტადიონს რომ აშენებენ, ყველამ ვიცით და ისიც ყველას მოგვეხსენება, რომ ამ სტადიონის მომავალზე დიდი ბრძოლა იყო გამართული. საბოლოოდ, ნაგებობა „ვესტ ჰემ იუნაიტედს“ ერგო, მაგრამ აი, ბოლო ცნობებიც: ორ ჩინოვნიკს მექრთამეობაში სდებენ ბრალს. ამ ორიდან ერთი გახლავთ **იან ტომკინსი** „ვესტ ჰემის“ დირექტორი. შეგახსენებთ, რომ „ჩაქუჩებმა“ სტადიონისთვის ბრძოლაში „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ აჯობეს — სარბიელი, რომლის მშენებლობაც 486 მილიონი ფუნტი დაჯდა, ოლიმპიური თამაშების შემდეგ მათი იქნება.

და რა დააშავა ტომკინსმა? ეტყობა, თავის საყვარელს, **დონი ნაითს** ქრთამი მისცა — 20 000 ფუნტი. ქალბატონი ნაითი „ოლიმპიკ პარკ ლეგასი კომპანის“ კორპორატიული სამსახურის დირექტორი გახლავთ და ვის ერგებოდა სტადიონი, „ვესტ ჰემს“ თუ „ტოტენჰემს“, მნიშვნელოვნად იყო მასზე დამოკიდებული.

მექრთამეობის ამბავი რომ გახმაურდა, როგორც „ვესტ ჰემმა“, ასევე ზემოხსენებულმა კომპანიამ სასტიკად შეიცხადეს და საქმის გამოძიებას საკუთარი ძალებით შეუდგნენ.

„ოლიმპიკ პარკ ლეგასი კომპანის“ დირექტორატმა „ვესტ ჰემსა“ და „ტოტენჰემს“ შორის უმჯობესი ხმათა ასეთი თანაფარდობით აირჩია — 14:0.

გვერდი მოამზადა **ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სკანდალი

MONEY პულაციები: თურქეთიც აფეთქდა!

ფენერბაჰჩეს პრეზიდენტი და კომპანია დაიჭირეს, ვინ იქნება შემდეგი?

ორივე დაჭერილია: ფენერბაჰჩეს პრეზიდენტი აზიზ ილდირიმი და მისი სივასელი კოლეგა მეჩნუნ ოდიაქმაზი

ჩაწყობილი თამაშების სკანდალმა თითქმის მთელი ევროპა მოიარა და ამას წინათ ჩვენთანაც კი იფეთქა. მანიპულირებულ თამაშებს ლამის მთელი მსოფლიო იძიებს და ნამდვილად არ გაგვიკვირდა ის, რომ ნაღმი თურქეთშიც გასკდა. ჩვენი მეზობელი ქვეყანა მანიპულაციების სკანდალმა ამ უქმეებზე შეძრა. თურქეთის პოლიციამ გუშინ არაერთი ფუნქციონერი და ფეხბურთელი დააკავა. ეჭვმიტანილთა შორის, სხვებთან ერთად, თურქეთის მოქმედი ჩემპიონის, „ფენერბაჰჩეს“ პრეზიდენტი **აზიზ ილდირიმიცაა**. დაკავებულია „ფენერის“ ვიცე-პრეზიდენტი **შექიფ მოსტუროღლუ** და ფეხბურთელები, **ემანუელ ემენიკე** და **სეზერ იოზთურქი**. თუმცა სკანდალში მარტო „ფენერბაჰჩე“ როდია გახვეული...

თურქული მედიის ცნობით, პოლიციამ კარგად ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი აღმოაჩინა და კვირას დაჯგუფების რამდენიმე წევრი დააკავა. გუშინ საღამოს 40 ეჭმიტანილი იყო დაკავებული და როგორც ჩვენი თურქი კოლეგები იტყობინებიან, ამ დღეს და ხვალ დაჭერილთა რიცხვი აუცილებლად გაიზრდება. გაირკვა ისიც, რომ ამ ეტაპზე მხოლოდ ორგანიზებული მანიპულაციებია ცნობილი, კონკრეტული მატჩები კი არ სახელდება.

მარტო ფენერი არა, სივასი და ესქიშეჰირიც

დაკავებულთაგან ყველაზე ცნობილი პიროვნებები „ფენერის“ პრეზიდენტი აზიზ ილდირიმი და ვიცე-პრეზიდენტი შექიფ მოსტუროღლუ, ასევე ფეხბურთელები ემანუელ ემენიკე და სეზერ იოზთურქი არიან. „ფენერბაჰჩეს“ გარდა, სკანდალში გახვეულია „ესქიშეჰირსპორიც“ - დააკავეს კლუბის სპორტული დირექტორი, თურქეთის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი **უმით ქარანი** და მთავარი მწვრთნელი **ბიულენთ უიგუნიც**. სკანდალი „სივასსპორსაც“ გადასნვდა, სადაც პრეზიდენტი **მეჩნუნ ოთიაქმაზი**, მეკარე **კორჩან ჩელიქაი** და ექსფეხბურთელი **მეჰმეთ ილდიზი** დაიჭირეს. დაკავებულები არიან ასევე თურქეთის ნაკრების ყოფილი მოთამაშე **სერქან ჩალიკი** (გენჩლერბირლიგი), „ანკარაგიუჯუს“ ფეხბურთელი **სერდარ კულბილგე** და ცნობილი თურქი ფეხბურთელის, **ემრე ბელოზოღლუს** ბიძაშვილი, რომელსაც მუდმივად ურთიერთობა ჰქონდა დანაშაულებრივ დაჯგუფებასთან.

დანარჩენი დაკავებულები უმეტესად მეორე ლიგის კლუბებიდან არიან. გარდა ამისა, პოლიციამ რამდენიმე ფეხბურთელისა და ფუნქციონერის სახლები გაჩხრიკა. თურქული პრესის ცნობით, გაიჩხრიკა „ტრაბზონსპორის“ ხელმძღვანელებისა და მოთამაშეების სახლებიც. „ფენერბაჰჩემ“ საღამოს გაავრცელა ოფიციალური პრესრელიზი, სადაც ნათქვამია, რომ კლუბი დამნაშავეების სწრაფად გამოვლენას და მათ დასჯას ითხოვს – „ფენერი“ სამართალდამცავ სტრუქტურებს სრულ ნდობას უცხადებს.

სამაგიეროდ, დაკავებისას კრიტიკული განცხადება გააკეთა „ფენერის“ პრეზიდენტმა აზიზ ილდირიმმა: *„ეს ყველაფერი სისულელეა, ჩვენ არაფერი არ დაგვიშავებია. დღეს კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ მილიტარისტულ სახელმწიფოში ვცხოვრობთ. პოლიცია იმასაც კი არ ამბობს, თუ რომელ მატჩებზეა საუბარი.“*

შეგახსენებთ, რომ „ფენერბაჰჩე“ თურქეთის ჩემპიონი ბოლო ტურში, „სივასის“ დამარცხების (4:3) შემდეგ გახდა. დიდი შანსია, რომ ერთ-ერთი მანიპულირებული მატჩი სწორედ ეს იყოს. „ფენერს“ ეს შეხვედრა რომ ვერ მოეგო, ჩემპიონი „ტრაბზონი“ ხდებოდა. ჩვენი თურქი კოლეგების ცნობით, გამორიცხული არაა, რომ „ფენერს“ ჩემპიონობა ჩამოართვან და „ტრაბზონს“ გადასცენ...

გოტფრიდ ლენცი

● სატრანსფერო როკი

ესპანეთიდან იტალიაში და...



მოგეხსენებათ, 23 წლის **სერხიო აგუერო** ახლა სამშობლოშია და არგენტინის ნაკრების შემადგენლობაში კოპა ამერიკაზე თამაშობს. აგუერომ არგენტინელებს ბოლივიის ნაკრებთან ქულა მოუტანა, როცა შეცვლაზე შევიდა და 5 წუთში გოლიც გაიტანა. ამასობაში, ევროპაში არ წყდება მითქმა-მოთქმა **დიეგო მარადონას** სიძის შესაძლო ტრანსფერზე.

შეგახსენებთ, რომ აგუერომ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მადრიდის „ატლეტიკოდან“ მიდის. მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა, მაგრამ ჯერ არ გარკვეულა, თუ სად გააგრძელებს „კუნი“ კარიერას. ბოლო დღეებში კი აშკარა ფავორიტი გამოიკვეთა - ტურინის „იუვენტუსი“. საქმე სერიოზულად არის და კლუბების მოლაპარაკების მორიგი რაუნდი სამშაბათისთვისაა დანიშნული, წერს „გაძეტა დელო სპორტი“.

სამშაბათს მადრიდში „იუვენტუსის“ გენერალური დირექტორი **ჯუზეპე მორატა** და სპორტული დირექტორი **ფაბიო პარატიკი** ჩავლენ. ამბობენ, „ბებერი ქალბატონი“ მზადაა არგენტინელი ფორვარდის სანაცვლოდ 40 მილიონი ევრო გაიღოს. „იუვე“ ბოლო დღეებში ხშირად ეკონტაქტება ფეხბურთელის წარმომადგენლებს. იტალიური გრანდი კუნს 5-წლიანი კონტრაქტის სანაცვლოდ წელიწადში 7,5 მილიონ ევროს სთავაზობს.

გასულ კვირაში მაროტამ აღიარა, რომ აგუეროს დამატება „იუვეს“ სატრანსფერო პოლიტიკის პრიორიტეტია ამ ზაფხულში. სერხიო აგუერო „ატლეტიკოში“ 2006 წელს „ინდეპენდიენტედან“ გადავიდა. მასში ესპანურმა კლუბმა დაახლოებით 23 მილიონი ევრო გადაიხადა. ეს თანხა აგუერომ სრულად გამოიმუშავა (ლა ლიგაში „ატლეტიკოს“ მაისურით 74 გოლი გაიტანა) და ახლა მისი ტრანსფერიც დიდ მოგებას უქადის მადრიდულ გუნდს.

... იტალიიდან ესპანეთში

იტალიური წყაროების მტკიცებით, ჩილელი **ალექსის სანჩესისთვის** ბრძოლაში მაინც „ბარსელონა“ გამოდის გამარჯვებული. ამის მიზეზი კი მხოლოდ ფინანსური მხარე არ არის, 22 წლის გარემარბს კატალონიაში თამაში ძალიან უნდა. ამ დღეებში „უდინეზეს“ და „ბარსას“ წარმომადგენლები სამომავლო ტრანსფერს უფრო რეალურ კონტურებს შესძენენ. „გაძეტა დელო სპორტის“ ცნობით, ესპანური კლუბის ვიცე-პრეზიდენტი **ხოსეპ მარია ბარტომეუ** „უდინეზეს“ მფლობელის, **ჯანპაოლო პოცოს** ვაჟ, **ჯინოს** შეხვდა. ამბობენ, რომ ამ შეხვედრაზე იმდენად თანხაზე არ იყო საუბარი, რამდენადაც მექანიზმზე, რომლის მიხედვითაც „ბარსამ“ იტალიელებს სანჩესის სანაცვლოდ 40 მილიონი ევრო უნდა გადაუხადოს. „ბარსას“ სურს, რომ 27 მილიონი გადაიხადოს, ხოლო დარჩენილი 13 მილიონი ბონუსების სახით გაწეროს, მაგრამ იტალიელები ფრთხილობენ. მართალია, სანჩესი ექსტრანიჭის ფეხბურთელია, მაგრამ „ბარსელონაში“ წარმატების მიღწევა არავისთვისაა გარანტირებული.

სანჩესი ახლა არგენტინაშია, სადაც ჩილეს ნაკრების ღირსებას კოპა ამერიკაზე იცავს. ჩილეს ნაკრები პირველ მატჩს სამშაბათს გამართავს. კიდევ ერთი ტრანსფერი შეიძლება განხორციელდეს იტალიური სერია A-დან ესპანურ ლა ლიგაში - „ინტერის“ ბრაზილიელი მცველი **მაიკონი**, სავარაუდოდ, „რეალში“ გადავა. მაიკონიც კოპა ამერიკაზეა, თუმცა წინა ორი სავარაუდო ტრანსფერისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში არაფერი გაირკვევა სანამ ბრაზილიის ნაკრები კოპაზე ითამაშებს. ამის შესახებ თავად მცველმა განაცხადა: „რეალში“ ტრანსფერზე ვილაპარაკოთ, ოღონდ, სანამ კოპა დასრულდება, მხოლოდ ბრაზილიის ნაკრები მაინტერესებსო. სხვათა შორის, პირველ მატჩში მაიკონი ბრაზილიელთა სასტარტო შემადგენლობაში ვერ მოხვდა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● ბარსელონა

კარლესმა დაიწყო, ვიქტორმა დაასრულა

„ბარსელონას“ კაპიტანმა **კარლეს პუიოლმა** ვარჯიში იმაზე ადრე განაახლა, ვიდრე ამას კლუბის ექიმები ვარაუდობდნენ. 33 წლის მცველმა ფიზიკური მომზადების მწვრთნელ **ხუანხო ბრაუსთან** ერთად სირბილი დაიწყო. შეგახსენებთ, რომ კაპიტანმა ზუსტად ერთი თვის წინ მუხლის ოპერაცია გაიკეთა, რათა სამუდამოდ დაძლიოს პრობლემა, რის გამოც ბოლო ორ სეზონში საკმაოდ გაუცდა. ვარჯიშის შემდეგ პუიოლი იმედიანად იყო, ტკივილი საერთოდ არ მიგრძვნიაო.

ამასობაში, „ბარსა“ ერთი ფეხბურთელით შემცირდა - კლუბი **ვიქტორ სანჩესმა** დატოვა. სანჩესმა კატალონიურ გრანდთან კონტრაქტი ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე განწვიტა და შვეიცარიულ „ქსამაქსში“ გადავიდა. „ბარსელონას“ 2012 წლის ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის ჩათვლით აქვს სანჩესის გამოსყიდვის უფლება, აგრეთვე კონტრაქტში წერია, რომ თუკი „ქსამაქსი“ 23 წლის მცველს გაყიდის, „ბარსას“ ტრანსფერიდან პროცენტი ერგება. ბოლო სეზონში სანჩესი „ხეტაფეში“ იჯარით თამაშობდა, „ბარსელონას“ მთავარ გუნდში კი მას ჯამში 14 მატჩი დაუგროვდა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● ტრანსფერები

რეალი ნიჭიერებს კარგავს

„ხეტაფემ“ „რეალის“ ახალგაზრდა ფეხბურთელი **პაბლო სარაბია** შეიძინა. სარაბია 19 წლის გარემარბია, მას „რეალთან“ 2016 წლამდე ჰქონდა ხელშეკრულება გაფორმებული. ტრანსფერის თანხა არც ერთ კლუბს არ გამოუმზეურებია, თუმცა ესპანური პრესა მიიჩნევს, რომ „ხეტაფემ“ ნიჭიერი ფეხბურთელის სანაცვლოდ სულ 3 მილიონი ევრო გადაიხადა. ხელშეკრულებაში ერთი პუნქტია, რომლის მიხედვითაც „სამეფო კლუბს“ სარაბიას გამოსყიდვის უფლება აქვს. „რეალიდან“ „ხეტაფეში“ ხშირია ტრანსფერები. ეს გზა გაიარეს: **რუბენ დე ლა რედმა**, **ესტებან გრანერომ**, **დანი პარეხომ** და სხვებმა. პაბლო სარაბია „რეალის“ აკადემიის ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ფეხბურთელად ითვლებოდა, თუმცა მას **მოურინიოს** ფორმაციის გუნდში მოხვედრის არავითარი შანსი არა ჰქონდა.

ლუის გარსია მექსიკაში გადაიხვეწა

მექსიკურმა „პუებლამ“ ესპანელი ვეტერანი **ლუის გარსია** აიყვანა. „ბარსელონასა“ და „ლივერპულის“ ყოფილი ნახევარმცველი ბოლოს საბერძნეთში, ათენის „პანათინაიკოსში“ თამაშობდა. 33 წლის ფეხბურთელს კონტრაქტის ვადა გაუვიდა ბერძნულ გუნდთან და თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა მექსიკაში, სადაც „პუებლასთან“ ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. შეგახსენებთ, რომ ლუის გარსიამ ესპანეთის ნაკრების მაისურით 2006 წლის მუნდიალზე იასპარეზა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● ესპანეთი. ლა ლიგა. ტრანსფერები

თარიღი	ფეხბურთელი	საიდან	სად	თანხა
20 ივნისი	ხავიერ მატილია	ვილიარეალი	ბეტისი	1,2 მლნ ევრო
22 ივნისი	ეიტორ პორანო	ალკორაარი	ესპანიოლი	4 მლნ.
22 ივნისი	ტომეუ ნადალი	მალიორკა	ხეტაფე	თავ. აგენტი
22 ივნისი	აიოსე დიასი	მალიორკა	დეპორტივო	თავ. აგენტი
22 ივნისი	რაფაელ სასტრე	სპორტინგი	უესკა	თავ. აგენტი
23 ივნისი	სერხიო სანჩესი	სევილია	მალაგა	2,8 მლნ.
23 ივნისი	ხოსკინი	ვალენსია	მალაგა	4,2 მლნ.
25 ივნისი	ჯეფერსონ მონტერო	ვილიარეალი	ბეტისი	იჯარა
26 ივნისი	მანოლო გასპარი	მალაგა	კარტახენა	თავ. აგენტი
27 ივნისი	მანუ ფერნანდესი	დეპორტივო	უელვა	თავ. აგენტი
27 ივნისი	რაფაელ ვარანი	ლანსი	რეალი	10 მლნ.
27 ივნისი	დავიდ დე ხეა	ატლეტიკო	მანჩესტერი	25 მლნ.
29 ივნისი	ხავი კასტელიანო	მალიორკა	ლას პალმასი	თავ. აგენტი
29 ივნისი	მიკელანჯელო ალგერტაცი	მილანი	ხეტაფე	იჯარა
29 ივნისი	სერხი ენრიჩი	მალიორკა	უელვა	იჯარა
30 ივნისი	დიეგო რივასი	სოსიედადი	ერკულესი	თავ. აგენტი
30 ივნისი	გილერმე	უდინეზე	გრანადა	თავ. აგენტი
30 ივნისი	რუბენ გონსალესი	მალიორკა	ოსასუნა	თავ. აგენტი
1 ივლისი	მანუ ფერნანდეზი	ვალენსია	გეშიძთაში	2 მლნ.
2 ივლისი	კეილორ ნავასი	ალბასეტე	ლევანტე	იჯარა
2 ივლისი	ვიქტორ სანჩესი	ბარსელონა	ქსამაქსი	თავ. აგენტი
2 ივლისი	მიკელ ორგეგოზო	სოსიედადი	ბილბაო	თავ. აგენტი
2 ივლისი	ბენ საჰარი	ესპანიოლი	ოსერი	იჯარა
3 ივლისი	სალვა პერეზი	ვილიარეალი	კარტახენა	იჯარა
3 ივლისი	პაბლო სარაბია	რეალი	ხეტაფე	3 მლნ.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

● დორტმუნდის ბორუსია

„დორტმუნდში“ უდიდესი კონკურენციაა: გიუნდოგანი, და სილვა, გროსკროიტცი, ჰორნშუ და ლიოვე

ვის ემუქრება სკამი?

გერმანიის ჩემპიონში უკვე სასტიკი კონკურენციაა

თამამად ვიტყვით: დიდი ხანია, დორტმუნდის „ბორუსიაში“ ასეთი მძაფრი კონკურენცია არ ყოფილა. მას მერე, რაც გერმანიის ჩემპიონმა ახალი სეზონისთვის ხუთი ახალი ფეხბურთელი შეიძინა, ვესტფალიელთა მთავარ მწვრთნელ **იურგენ კლოპს** თითქმის ყველა პოზიციაზე ორი კარგი ფეხბურთელი ჰყავს. კონკურენციის გაზრდა იმიტომ იყო საჭირო, რომ დორტმუნდელები სექტემბრიდან ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებენ და რაკი არ უნდათ, რომ თავი შეირცხვინონ და ერთდროულად სამ ფრონტს (ბუნდესლიგა, გერმანიის თასი, ჩემპიონთა ლიგა) კარგად გაუმკლავდნენ, სათადარიგოთა სკამიც გრძელი და რაც მთავარია, ხარისხიანი უნდა ჰქონდეთ.

ახალი სეზონისთვის მზადება „ბორუსიამ“ 28 ფეხბურთელით დაიწყო და ახლა ისეთი ვითარებაა, რომ რამდენიმე ვარსკვლავს სათადარიგოთა სკამის ხეხვის საფრთხე ემუქრება. კონკურენცია განსაკუთრებით ნახევარდაცვაშია გამძაფრებული, სადაც ხუთი ადგილისთვის („დორტმუნდი“ ხომ 4-2-3-1 ტაქტიკური სქემით თამაშობს) 12 ფეხბურთელი იბრძვის. დღევანდელი მდგომარეობით, ნახევარდაცვაში მხოლოდ ერთ ფეხბურთელზე შეიძლება იმის თქმა, რომ მას სასტარტო შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული აქვს – ეს არის 22 წლის საყრდენი ნახევარმცველი **სვენ ბენდერი**. დანარჩენ ოთხ ადგილზე კი 11 მოთამაშე აცხადებს პრეტენზიას. აქედან ხუთი ფეხბურთელი უმაღლესი კლასისაა და ხუთივე ძალიან ამბიციური: 19 წლის უნიჭიერესი **მარიო გიოტცე**, 23 წლის **კევინ გროსკროიტცი**, 22 წლის იაპონელი ტალანტი **შინჯი კაგავა** და ახალწვეულები, 22 წლის ხორვატი **ივან პერიშიჩი** და 20 წლის **ილქაი გიუნდოგანი**. მათ გარდა, ძირითად შემადგენლობაში თამაშის პრეტენზია აქვთ 25 წლის პოლონელ გარემარბ **იაკუბ ბლაშჩიკოვსკის**, 18 წლის ტალანტ **მორიტც ლაიტნერს**, 30 წლის საყრდენ **სებასტიან კელს**, 29 წლის **მოჰამედ ზიდანს** და 33 წლის **ანტონიო და სილვას**.

„თითქმის ყველა პოზიციაზე ორი მაღალი კლასის მოთამაშე მყავს. წინა სეზონის დასრულების შემდეგ კონკურენციის გაზრდა მინდოდა და მიხარია, რომ ეს შევძელი. სიმართლე გითხრათ, ჯერ არ მიფიქრია, ვინ უნდა ვათამაშო სასტარტოში. ყველა პოზიციაზე ჯანსაღი კონკურენცია მსურს და ვინ ითამაშებს ძირითადში, ეს მხოლოდ ფეხბურთელებზეა დამოკიდებული,“ - აცხადებს კლოპი.

სამაგიეროდ, იურგენს დაცვაში ყველაფერი გარკვეული და დალაგებული აქვს: მარჯვენა მცველი ისევ 26 წლის პოლონელი **ლუკაშ პიშჩეკი** იქნება, რომელმაც წინა სეზონი ძალიან კარგად ჩაატარა, დაცვის ცენტრს კვლავ სამაგალითო უკანახაზელები 22 წლის **ნევენ სუბოტიჩი** და **მატს ჰუმელსი** (ასევე 22) გაამაგრებენ, დაცვის მარცხენა ფლანგზე კი 23 წლის **მარსელ შმელცერი** ითამაშებს. წყალი არ გაუვა იმასაც, რომ „დორტმუნდის“ მეკარე ახალ სეზონშიც გამოცდილი **რომან ვაიდენფელერი** იქნება.

ერთადერთი ცენტრფორვარდის ადგილზე კლოპი უპირატესობას ისევ 26 წლის **ლუკას ბარიოსს** მიანიჭებს, თუმცა მისი შეცვლა ნებისმიერ დროს შეეძლება 22 წლის პოლონელ თავდამსხმელ **რობერტ ლევანდოვსკის**, რომელიც გასულ სეზონშიც ძალიან ნაყოფიერი იყო – მიუხედავად იმისა, რომ ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ათამაშებდნენ. ცენტრფორვარდის პოზიციაზე თამაში ზიდანსაც შეუძლია, მაგრამ ეგვიპტელი მნიშვნელოვან შეხვედრებში ნაკლებად სანდოა. შესაბამისად, გამორიცხული არაა, რომ „ბორუსიამ“ სექტემბრამდე ერთი ახალი თავდამსხმელი იყიდოს. ფაქტია, რომ სხვა პოზიციებზე BVB-ს გაძლიერება ნამდვილად არ სჭირდება.

კაგავა: მანჩესტერი არ მაინტერესებს!

ადრეც გაცნობეთ, რომ შინჯი კაგავას ძალიან ბევრი მთხოვნელი გამოუჩნდა. იაპონელი გამთამაშებელი გასული სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო აღმოჩენა იყო, რის გამოც სხვადასხვა გრანდებთან ერთად, მას თვალი „მანჩესტერ იუნაიტედმაც“ დაადგა. თუმცა 22 წლის კაგავა ამბობს, რომ „დორტმუნდიდან“ წასვლაზე ერთი წამიც არ უფიქრია.

„გაზეთში მეც წავიკითხე, რომ თურმე „მანჩესტერ იუნაიტედი“ სერიოზულად დაინტერესდა. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ „ბორუსიაში“ თავს იდეალურად ვგრძნობ. „დორტმუნდის“ სახით ისეთი კლუბი ვიპოვე, საიდანაც წასვლა, არა მგონია, ოდესმე მომინდეს,“ - აცხადებს კაგავა „ვესტფალიშე ცაითუნგისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

კაგავამ გასულ სეზონში მხოლოდ პირველ წრეში ითამაშა, რადგან იანვარში აზიის თასზე მძიმე ტრავმა მიიღო და სეზონი ნაადრევად დაასრულა. პირველ წრეში კი, 17 მატჩში 8 გოლის გატანა მოახერხა და ერთ-ერთი საუკეთესო დორტმუნდელი იყო. *„ახლა ჩემი მიზანი „ბორუსიას“ ძირითად შემადგენლობაში ადგილის დაბრუნებაა. წინ ძალიან მაგარი სეზონი გველის, რადგან ჩემპიონთა ლიგაშიც უნდა ვითამაშოთ,“* - ამბობს კაგავა, რომელსაც „ბორუსიასთან“ კონტრაქტი 2013 წლამდე აქვს გაფორმებული.

● ბაიერნი

მიუნხენმა ნოიერი მიიღო

30 000-მა ფანმა მანუელს ტაში დაუკრა

გახსოვთ, როგორ აპროტესტებდნენ „ბაიერნის“ გულშემატკივრები **მანუელ ნოიერის** მოსალოდნელ ტრანსფერს? გასული სეზონის ბოლო მატჩებში მათ არაერთხელ გადმოფინეს ტრანსფარანტები, სადაც წერდნენ, მანუელ, მიუნხენი შენი სახლი არასდროს იქნებაო. ვერ ვიტყვით, რომ მიზეზი არ ჰქონდათ, თუმცა თითიდან იყო გამოწოვილი: ორი წლის წინ, ნოიერმა „ალიანს არენაზე“ ნებისმიერი ბავარიელისთვის დიდად პატივსაცემი პიროვნება, თვით **ოლივერ კანი** გააჯავრა და მიუნხენური პუბლიკა ნოიერს მას მერე ვერ იტანდა.

არ გასულა ორ თვეზე მეტი, „ბაიერნის“ ხელმძღვანელებმა მანუელ ნოიერი მაინც იყიდეს და ახლა უკვე რადიკალურად განსხვავებული სიტუაციაა. მართალია, ჯერ კიდევ იარსებებენ „ბაიერნის“ ისეთი ფანები, რომლებსაც ძალიან არ მოსწონთ, რეკორდმაისტერმა მანუელი რომ იყიდა, მაგრამ ფაქტია, უმეტესობა ნოიერს შეუერიგდა. ამის დასტური იყო ახალი სეზონის ოფიციალური გახსნა „ალიანს არენაზე“, რომელსაც 30 000 მაყურებელი დაესწრო. გულშემატკივრებმა ნოიერს ტაში დაუკრეს და ოვაციებით შეხვდნენ.

„ამ სეზონში ჩვენი მთავარი მიზანი გერმანიის ჩემპიონობის დაბრუნება იქნება. წინა სეზონში თავი შევირცხვინეთ, ახლა კი პირველივე ტურში უნდა დავამტკიცოთ, რომ „ბაიერნი“ საუკეთესო გერმანული კლუბია,“ - ასე მიმართა 30 000-იან პუბლიკას რეკორდმაისტერის ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ**.

მიუნხენელები ფიქრობენ, რომ ნოიერის, **რაფინიას** (ჯენოადან) და **ნილს პეტერსენის** ტრანსფერებით გუნდი ჯეროვნად გააძლიერეს, ხელმძღვანელები კი ყველაზე კმაყოფილები იმით ჩანან, რომ მთავარ მწვრთნელად **იუპ ჰაინკესი** დანიშნეს. რუმენიგე: *„იუპი არის იდეალური კაცი, იდეალურ დროს, იდეალურ ადგილზე. დარწმუნებული ვარ, რომ „ბაიერნი“ მასთან ერთად დიდ წარმატებებს მიაღწევს.“*



მანუელ ნოიერი მიუნხენური პუბლიკის წინაშე ოფიციალურად წარსდგა

ისაუბრა ჰაინკესმაც და კიდევ ერთხელ, ვინ მოთვლის, უკვე მერამდენედ გაიმეორა, რომ „ბაიერნში“ მესამედ დაბრუნება მისთვის დიდი გამოწვევაა, რომ მიუნხენური კლუბი მას ყოველთვის „გულში ჰყავდა“ და რომ თვითონაც დარწმუნებულია, რომ რეკორდმაისტერთან ერთად წარმატებებს მიაღწევს.

მართალია, „ბაიერნს“ ჯერ არ უყიდია კიდევ ორი სასურველი მოთამაშე (**ჟერომ ბოატენგი** და **არტურო ვიდალი**), მაგრამ რუმენიგე და კომპანია მიიჩნევენ, რომ ამ ტრანსფერების შემთხვევაში საჩქარო არაფერია. „კალე“ ფიქრობს, რომ რეკორდმაისტერის ვიდალისა და ბოატენგის გარეშეც უმაღლესი კლასის გუნდია. სპორტული დირექტორის, **კრისტიან ნერლინგერის** თქმით, „ბაიერნი“ ბოატენგსა და ვიდალში ასტრონომიული თანხების გადახდას არ აპირებს.

„თუ „მანჩესტერ სიტი“ ბოატენგს იმ თანხის სანაცვლოდ არ მოგვყიდის, რაც ჩვენ შევთავაზეთ, მიზანს ალტერნატივებისკენ მივმართავთ, რადგან ვფიქრობთ, რომ ბოატენგში მეტის გადახდა არ შეიძლება, - ამბობს რუმენიგე და რაც შეეხება ვიდალს, - *„ლევერკუზენს“ ვერ გავამდიდრებთ. თუ ახლა არაფერი გამოვა, ვიდალს ხელში გაისად ჩავიგდებთ და სხვათა შორის, უფასოდ!“*

გუშინ, რეკორდმაისტერმა გეზი იტალიისკენ, კერძოდ რივა დელ გარდასკენ აიღო, სადაც ჰაინკესი შეგირდებს ახალი სეზონისთვის მოამზადებს. „დინ იუპის“ თქმით, მოსამზადებელი შეკრების მთავარი მიზანი ის არის, რომ დაცვით და შემტევ ფეხბურთს შორის იდეალური ბალანსი დაიჭიროს.

● ტრანსფერი

ვერდერმა ვოლფი იყიდა!

ანდრეას ვოლფი და კლაუდიო პისარო ახლა უკვე თანაგუნდელები არიან

„ლელოს“ მკითხველი კარგადაა ინფორმირებული იმის შესახებ, რომ ბრემენის „ვერდერს“ დაცვაში სერიოზული პრობლემები აქვს – „მუსიკოსებს“ ერთბაშად ხუთი მცველი (**მერტეზაკერი, ნალდო, ბიონიში, პრიოდლი, სილვესტრი**) ჰყავთ დაშავებული. შესაბამისად, არავის გაჰკვირვებია ის, რომ მიკაელ სილვესტრის დამტვრევიდან ორი დღის შემდეგ, ბრემენულმა კლუბმა სასწრაფოდ ახალი მცველი იყიდა: 29 წლის **ანდრეას ვოლფი** „ვერდერში“ „ნიურნბერგიდან“ გადადის და „მუსიკოსებთან“ კონტრაქტს 2013 წლამდე გააფორმებს.

„მიხარია, რომ „ვერდერში“ თამაშის საშუალება მომეცემა. როგორც კი ბრემენიდან დამიკავშირდნენ, მაშინვე მივხვდი, რომ ეს ნაბიჯი აუცილებლად უნდა გადამედგა,“ - უთხრა ვოლფმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს სამედიცინო შემოწმების გავლის შემდეგ.

● ვოლფსბურგი

სისერო ბრაზილიაში წავიდა

სისერო

„ვოლფსბურგის“ მთავარ მწვრთნელ **ფელიქს მაგათს** ბრაზილიელი ნახევარმცველი **სისერო** არ სჭირდებოდა და მას იოლად შეელია. 26 წლის ნახევარმცველი სამშობლოში ბრუნდება, სადაც „სან პაულოში“ ითამაშებს. სისერომ ამ კლუბთან კონტრაქტი 2013 წლამდე გააფორმა. შეგახსენებთ, რომ ბრაზილიელი ნახევარმცველი „ვოლფსბურგში“ 2008 წელს ბერლინის „ჰერტადან“ გადავიდა. 11 გოლი 84 მატჩში – ასეთია სისეროს ბუნდესლიგური მონაგარი.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

უცხოური ფეხბურთი

COPA AMERICA ARGENTINA 2011

კოპა ამერიკა 2011

COPA AMERICA ARGENTINA 2011

არგენტინა კატასტროფას გადაურჩა

არგენტინა 1 : 1 ბოლივია

არგენტინა: რომერო, ძანეტი, გ. მილიტო, ბურდისო, როხო, ბანეგა, მასკერანო, კამბიასო (46. დი მარია), ლავეცი (70. აგუერო), მესი, ტევესი.

ბოლივია: არიასი, ალვარესი, რივერო, გუტიერესი, რალდესი, რობლესი, ვაკა (63. ჩავესი), ფლორესი, კამპოსი (79. არსე), როხასი (69. კარდოსო), მორენო.

გოლები: 0:1 როხასი (47), 1:1 აგუერო (75)

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ლიონელ მესი (არგენტინა)

პირველი სენსაცია ბოლივიელებმა „გამოაცხვეს“

კოპა ამერიკა კურიოზული გოლითა და სენსაციური მატჩით დაიწყო - ტურნირის უპირობო ფავორიტმა, არგენტინის ნაკრებმა, ქულები დაკარგა ბოლივიელებთან მატჩში - 1:1. ის კი არა, მასპინძლები კარგა ხანს იგებდნენ და სირცხვილისგან გუნდი შეცვლაზე შესულმა **სერხიო აგუერომ** გადაარჩინა.

ლა პლატაში პირველ მატჩს წინ გახსნის ცერემონიალი უძღოდა - რიგით 43-ე კოპა ამერიკა 26 მატჩით გაარკვევს სამხრეთ ამერიკის ჩემპიონის ვინაობას. გახსნის ცერემონიალს 53 ათასი ადამიანი დაესწრო ლა პლატას სტადიონზე, რომლის განახლების სამუშაოებმა 100 მილიონი დოლარი ნაიღო.

პირველი 15 წუთი არგენტინის ნაკრების იერიშებში გავიდა, მასპინძელთაგან ყველაზე აქტიური **ლიონელ მესი** იყო. სწორედ მის პასს მოჰყვა პირველ ტაიმში ყველაზე სახიფათო მომენტი ბოლივიელთა კართან, თუმცა **კარლოს ტევესის** დარტყმული **კარლოს არიასმა** მოიგერია. არიასმა გამოიჩინა კიდევ ერთხელ თავი, როცა მოულოდნელად მის კართან **ესტებან კამბიასო** გაჩნდა, თუმცა ამ ეპიზოდში ხეირიანად ვერც არგენტინელმა ითამაშა.

მეორე ტაიმში კამბიასოს ნაცვლად გამოსული **ანხელ დი მარიას** წყალობით, არგენტინამ კიდევ უფრო თამამად შეუტია, მაგრამ გოლი მის კარში გავიდა. 47-ე წუთზე ბოლივიელებმა კუთხური მოაწოდეს და **ედივალდო როხასმა** ქუსლით გაიტანა. ამ ეპიზოდში აღსანიშნავია არგენტინელთა დაცვისა და მეკარის დოყლაპიობა. ამის შემდეგ ბოლივიელთა მეკარემ დი მარიასა და მესის დარტყმები გააუვნებელყო.

65-ე წუთზე სტუმართა კონტრშეტევა ძალიან სახიფათო გამოდგა - **მარსელო მორენო** მეკარე **რომეროსთან** პირისპირ დარჩა, ბოლივიელმა დრიბლინგით სცადა მეკარეს გასცდენოდა და შეცდა. ასე გადაურჩა არგენტინა მეორე გოლს.

70-ე წუთზე **სერხიო ბატისტამ** საქმეში კუნ აგუერო ჩართო, რომელმაც უხეიროდ მოთამაშე **ლავეცი** შეცვალა და ამან შედეგი გამოიღო. ხუთ წუთში აგუერომ ულამაზესი გოლი გაიტანა დაუმუშავებლად. ბოლო წუთები მასპინძლებმა შეტევებში გაატარეს, ამაოდ...

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად ლეო მესი დაასახელეს, რომელმაც ოფიციალურ საიტზე ხმების 31% მიიღო.

სერხიო ბატისტა (არგენტინის მწვრთნელი): *„გახსნის მატჩში ყველა ნერვიულობს. ეს ჭეშმარიტება კიდევ ერთხელ დამტკიცდა. მაგრამ ჩვენ ცუდად ვითამაშეთ - ნაკრებმა სწორი ტაქტიკით ვერ წარმართა მატჩი. ბოლივიამ შუახაზში დიდი სიმჭიდროვე შექმნა, რითაც ჩვენს ნახევარმცველებს გასაქანი არ მისცა. ჩვენ უნდა გვეკონტროლებინა ბურთი უკეთ და გაცილებით სახიფათოდ გვეთამაშა შეტევაში. მათი თამაშით უკმაყოფილო ვარ, თუმცა ჩვენი თავდამსხმელებისა მჯერა და კოლუმბიასთანაც ისინი ითამაშებენ“.*

სერხიო აგუერო (არგენტინა): *„კოპაზე ყოველი მატჩი ძალიან რთული იქნება. ბოლივია კარგად გვებრძოლა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არ წავაგეთ. ახლა ჩვენი მიზანი კოლუმბიელთა დამარცხებაა“.*

ლიონელ მესი (არგენტინა): *„ახლა კარგად უნდა გავაანალიზოთ შეხვედრა და ვნახოთ, სად შევცდით. პანიკა საჭირო არაა, ჩვენ უნდა ვიმარჯვოთ მომდევნო მატჩში“.*

გუსტავო კინტეროსი (ბოლივიის მწვრთნელი): *„ჩემთვის ეს შედეგი სულაც არ არის მოულოდნელობა. ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ვგეგმავდით. პირველი 25 წუთი არგენტინა უკეთ აკონტროლებდა ბურთს, შემდეგ კი ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და შანსები ჩვენც გაგვიჩნდა. ეს არ არის ჩვენი პიკი, შემდეგ მატჩებში კიდევ უფრო უკეთ ვითამაშებთ“.*

ედივალდო როხასი (ბოლივია): *„შედეგით ძალიან კმაყოფილები ვართ. არგენტინაში არგენტინის ნაკრებს ფრე ვეთამაშეთ, ეს კი დიდებული შედეგია. ფეხბურთელებმა და მწვრთნელებმა ბევრი ვიშრომეთ საამისოდ. ჩვენთვის მთავარია, ეს პოზიტიური განწყობა შევინარჩუნოთ. ტურნირის დასაწყისში ყველას ერთნაირი შანსი აქვს წარმატების, მათ შორის - ბოლივიასაც. გოლი რომ გავიტანე, საოცრად გახარებული ვარ, თუმცა ჩემი გუნდის კარგი თამაში უფრო მახარებს“.*

გახსნის ცერემონიალზე

შეტევაზეა ალეშანდრე პატო

B ჯგუფი

ბრაზილია არგენტინას არ ჩამორჩა

ბრაზილია-ვენესუელა 0:0

ბრაზილია: ჟულიო სეზარი, დ. ალვეში, ლუსიო, ტიაგო სილვა, ანდრე სანტოსი, ლუკას ლეივა, რამირესი (75. ელანო), განსო, რობინიო (63. ფრედი), ნეიმარი, პატო (75. ლუკასი).

ვენესუელა: ვეგა, როსალესი, პეროსო, ვისკარონდო, სიჩერო, რინკონი, ლუსენა, გონსალესი (86. დი ჯორჯი), არანგო, მიკუ (77. მალდონადო), რონდონი (63. მორენო).

1999 წელს ბრაზილიის ნაკრებმა კოპა ამერიკაზე 7 ბურთი გაუტანა ვენესუელას, ახლა კი... **მანო მენეზესის** გუნდი 90 წუთის განმავლობაში ამაოდ ეძებდა გზებს ჩრდილოელ მეზობელთა კარის დასალაშქრად და თან ამას ისეთ ტემპში აკეთებდა, რომ გულშემატკივრის ანტიპათია დაიმსახურა.

არადა, დაიწყო თამაში და ბრაზილია ეკვეთა მეტოქეს, რომელსაც მეტოქის მოედანზეც კი უჭირდა გადმოსვლა. 26-ე წუთზე **პატომ** შესანიშნავი შანსი მისცა **ნეიმარს,** მაგრამ ბრაზილიელთა ვარსკვლავთბიჭუნამ ვერ ივარგა. 38-ე წუთზე **რობინიოს** კარგი შანსი ნეიმარმა შეუქმნა, მაგრამ ვენესუელელთა მცველმა **ოსკარ ვისკარონდომ** საოცარი თავგანწირვის ფასად იხსნა გუნდი აშკარა გოლისგან, მან თითქმის წაქცეულმა ბურთი მხარით მოიგერია.

საოცარია, მაგრამ ფაქტია - მეორე ტაიმში თამაში თითქმის გათანაბრდა, ერთიორი შანსი ვენესუელელებსაც კი შეექმნათ. მენეზესმა საქმეში **ფრედი, ლუკას სილვა** და **ელანო** ჩართო, მაგრამ ამით მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონებმა ვერაფერს მიაღწიეს, შემცვლელებმა თამაში ვერ გააძლიერეს. - 0:0. ბრაზილიელთაგან კარგად არავის უთამაშია, მაგრამ განსაკუთრებით სუსტი მათი 10 ნომერი განსო იყო.

9 ივლისს ბრაზილიის ნაკრები მეორე ტურის მატჩში პარაგვაის შეხვდება. ვენესუელის ნაკრები კი ეკვადორს შეხვდება.

როგორც ხედავთ, ჯერჯერობით, კოპა ამერიკა სუსტად დაიწყო - მართალია, ორი აშკარა სენსაციის მომსწრენი გავხდით, მაგრამ თამაშთა ხარისხი აშკარად ცუდია. თუმცა ტურნირი ჯერ ახლა დაიწყო და ყველაფერი წინ გვაქვს - მთავარი მატჩები ჯერ კიდევ წინაა.

პირველი გამარჯვება კოლუმბიისაა

კოლუმბია 1 : 0 კოსტა რიკა

კოლუმბია: მარტინესი, ცუნიგა, პერეა, იეპესი, არმერო, ბოლივარი, აგილარი (33. როდალეგა), გუარინი, რამოსი, მორენო (69. გუტიერესი), ფალკაო (77. სოტო).

კოსტა რიკა: მორეირა, აკოსტა, დუარტე, კალვო, ლეალი, სალვატიერა, მორა, გუსმანი (73. კუბერო), მადრიგალი (71. მარტინესი), ბრენესი, კემპბელი (46. ელისონდო).

გოლი: 1:0 რამოსი (45); **გაძევება:** ბრენესი (27)

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ადრიან რამოსი (კოლუმბია)

კოლუმბია ადრიან რამოსის (მარჯვნივ) გოლს ხარობს

კოპა ამერიკაზე პირველ გამარჯვებას კოლუმბიის ნაკრებმა მიაღწია, რომელმაც სან სალვადორ დე ხუხუიში მინიმალური ანგარიშით დაამარცხა კოსტა რიკის ახალგაზრდული ნაკრები - 1:0. ამით A ჯგუფის მოულოდნელი ლიდერი გამოიკვეთა - კოლუმბიის ნაკრები. კოსტარიკელები იშვიათად თუ გადადიოდნენ მეტოქის ნახევარზე, რომელიც სრულ უპირატესობას ფლობდა. 27-ე წუთზე კოსტარიკელმა **რანდალ ბრენესმა** ერთობ იუხეშა მადრიდის „ატლეტიკოს“ მცველ **ლუის პერეას** წინააღმდეგ, რისთვისაც ის მოედნიდან გააძევეს, თუმცა ამ შემთხვევამ მატჩის სიუჟეტი არ შეცვალა. მალევე კოლუმბიელთა თავკაცმა **ერნან დარიო გომესმა** საყრდენი ნახევარმცველი აბელ აგილარი მოხსნა და მის ნაცვლად „უიგანის“ შემტევი **უგო როდალეგა** ჩართო თამაშში. ტაიმი უგოლოდ სრულდებოდა, როცა **ადრიან რამოსმა** შესანიშნავი პასი მიიღო მოედნის ცენტრიდან, მოატყუა აქამდე ბწყინვალედ მოთამაშე გოლკიპერი და ანგარიში გახსნა. ამ ეპიზოდში განსაკუთრებული **ფრედი გუარინის** პასი იყო, რომელმაც კოსტარიკელთა მთელი დაცვის ხაზი უსაქმოდ დატოვა.

მეორე ტაიმში ბევრი არაფერი შეცვლილა, კოსტა რიკა თავს იცავდა და ანგარიშის გათანაბრების სულ ორიოდე შანსი ჰქონდა. გამოვყოფთ, **გუსმანის** საჯარიმო დარტყმას, რომელიც ძალზე სახიფათო გამოდგა. კოლუმბიის ნაკრები კი ერთმანეთის მიყოლებით ანიავებდა შანსებს. ყველაზე სახიფათო მომენტი მათ 54-ე წუთზე შეექმნათ, როცა როდალეგას დარტყმული საოცარ ნახტომში მოიგერია მეკარე **ლიონელ მორეირამ**.

მატჩი ასევე მორჩა, რაც კოლუმბიის ნაკრებს მეოთხედფინალში გასვლის დიდებულ შანსს აძლევს. შეგახსენებთ, რომ ჯგუფებიდან 2-2 გამარჯვებულის გარდა, ორი საუკეთესო მესამეადგილოსანიც გადის. „კაფეტეროს“ შემდეგი მატჩი მასპინძელ არგენტინასთან ელის, რომელსაც შელახული პრესტიჟის აღსადგენად მხოლოდ მოგება აძლევს ხელს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად ერთადერთი გოლის ავტორი, ადრიან რამოსი დაასახელეს. მან ოფიციალურ საიტზე ხმების 34,2% მიიღო. თუმცა ჩვენ უფრო წაგებულთა გოლკიპერ ლიონელ მოეირას გამოვარჩევთ - რომ არა ის, კოლუმბია ამ შეხვედრას დიდი ანგარიშით მოიგებდა. მორეირა 21 წლისაა და სულ 180 სმ-ია სიმაღლეში.

ერნან გომესი (კოლუმბიის ნაკრების მწვრთნელი): *„ძალიან რთული მატჩი იყო. კოპაზე პირველი გამარჯვების მოპოვება ყოველთვის ძალიან ძნელია. მეტოქისგან მწვრთნელს უფრო უკეთ ვიცნობდით, ვიდრე ფეხბურთელებს. კოსტარიკელებმა სივრცეები შეგვი ზღუდეს და თავიანთი თამაში მოგვახვიეს. ბოლოს ბიჭებს ვუთხარი, რომ ანგარიში შეენარჩუნებინათ. რას იზამ, 3 ქულა მაინც 3 ქულაა და მისი დაკარგვა არაფრით შეიძლებოდა. საფეხბურთო დონე კონტინენტზე აშკარად თანაბრდება. ადრე კოსტა რიკა ასე თანაბრად ვერ გვეთამაშებოდა“.*

ლიონელ მორეირა (კოსტა რიკა): *„მარტო მე კი არა, მთელმა გუნდმა კარგად ითამაშა. სამწუხაროდ, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი და ჩვენ წავაგეთ. ახლა ჩვენი მდგომარეობა ჯგუფში რთულია, თუმცა კიდევ ორი მატჩი დარჩა და ბოლომდე ვიბრძოლებთ. ახლა მხოლოდ ბოლივიელებთან დაპირისპირებაზე ვფიქრობთ“.*

პარაგვაი-ეკვადორი 0:0

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

პარაგვაი-ეკვადორი

● სერია A. ნომინანტები

საუკეთესოები საუკეთესოთა შორის

მას შემდეგ, რაც სერია A-ს 2010/2011 წლების გათამაშება დასრულდა, მედიის სხვადასხვა საშუალებებით რამდენიმე სიმბოლური ნაკრები გამოქვეყნდა. მაგალითად, „გაძეტა დელო სპორტის“ ვერსია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა „კორიერეს“ ფორმაციის გუნდისგან, თუმცა ამ ორივე გამოცემამ 4-3-3 ტაქტიკური სქემა აირჩია. სამაგიეროდ, „ტუტო სპორტმა“ 4-4-2-ზე შეაჩერა არჩევანი და ამით გამოირჩა სხვა გაზეთებისგან - აი, რაც შეეხება „კალჩონაპოლის“, აქ სულაც აშკარა ტენდენციურობას ნავაწყდით, რადგან სიმბოლურ ნაკრებში „ნაპოლის“ ხუთი ფეხბურთელი აღმოვაჩინეთ: პაოლო კანავარო, უგო კამპანიარო, მიკელე პაციენცა, ესეკილ ლავეცი და ედინსონ კავანი. ნეაპოლური გამოცემის ვერსიას „გაძეტა დელო სპორტმა“ უძღვნა პატარა სვეტი, სადაც ირონიულად იყო აღნიშნული, რომ მარეკ ჰამშიკის სიმბოლურში ვერმოხვედრა საშინელი უსამართლობა გახლავთ. ყველაზე ჭკვიანურად კი „კალჩო 2000-ის“ ჟურნალისტები მოიქცნენ, სიმბოლური ნაკრებები შეაჯამეს და ერთი, ობიექტურად შერჩეული გუნდი გამოიყვანეს...

კავანი და კანავარო სიმბოლურში

ტოტო გოლის აღნიშვნისას

მეკარე

კრისტიან აბიატი (მილანი, 33 წლის)

ამ ნომინაციაში ყველა გამოცემა ერთ აზრზე იდგა, რადგან **კრისტიან აბიატმა** საუცხოო სეზონი ჩაატარა. ეს თვით მეკარემაც აღიარა და განაცხადა, რომ ასეთ კარგ ფორმაში არასდროს ყოფილა. საერთოდ, იშვიათად ხდება, რომ საუკეთესოდ ჩემპიონი გუნდის კარის დარაჯს ასახელებენ - იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საუკეთესო გუნდის მეკარეს ყველაზე ნაკლები საქმე აქვს. თუმცა, ამ შემთხვევაში სხვა ვითარება გვაქვს - აბიატის საქმე არ მოჰკლებია და მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დაკისრებულ მოვალეობას თავი შესანიშნავად გაართვა.

მარჯვენა მცველი

კრისტიან მაჯო (ნაპოლი, 29)

უდავოდ გამორჩეული მცველი, რომელმაც იმდენი მოახერხა, რომ იტალიის ეროვნულ ნაკრებში დაიმკვიდრა ადგილი და სავარაუდოდ, ევრო 2012-ზეც გაემგზავრება. **კრისტიან მაჯო** „ნაპოლიში“ მარჯვენა ფრთას ამაგრებს, მართალია ხშირად ნახევარმცველის ამპლუაშია, მაგრამ ძირითადად მაინც მცველის ფუნქციების შესრულება უწევს. ეს ყველაფერი **ვალტერ მაძარის** ტაქტიკური სქემის გამოისობით ხდება, რომელიც 3-5-2-ით ათამაშებს შეგირდებს. კრისტიანის გადაბირებით ტურინის „იუვენტუსია“ დაინტერესებული, თუმცა „ნაპოლის“ პრეზიდენტმა ღიად განაცხადა, რომ ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს არ გაყიდის.

ცენტრალური მცველი

ტიაგო სილვა (მილანი, 26)

უკვე აღარავინ დავობს იმაზე, რომ **ტიაგო სილვა** თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო მცველია, ბევრის აზრით კი სულაც საუკეთესო. ტანმაღალი ბრაზილიელი საოცარი სისწრაფით გამოირჩევა, არც ტექნიკა დაეწუნება და არც პასი. პოზიციას ზუსტად არჩევს და ხშირად, შეტევაშიც ეფექტურად ერთვება. **ალესანდრო ნესტას** ტრავმების გამო, გასულ სეზონში არაერთი მეწყვილე გამოიცვალა და დიდწილად სწორედ მისი დამსახურება გახლდათ, რომ „მილანს“ დაცვაში სერიოზული პრობლემები არ შექმნია.

ცენტრალური მცველი

პაოლო კანავარო (ნაპოლი, 30)

თუ რიგით ნეაპოლელს ჰკითხავთ, რას ფიქრობს **პაოლო კანავაროზე** - ის გიპასუხებთ, რომ მთლად ფაბიო ვერ არის, მაგრამ ძალიან კარგი, საიმედო მცველია. ამ საიმედო მცველმა გასული სეზონიც მაღალ დონეზე ჩაატარა და დიდი წვლილი შეიტანა მისი გუნდის მიერ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაში. იყო პერიოდი, როდესაც ტრავმის გამო გუნდს ვერ ეხმარებოდა, თუმცა ეს ოდნავადაც არ აკნინებს წარმატებაში შეტანილ მის ღვაწლს. პაოლოს ძალიან უნდა, რომ ეროვნულ ნაკრებში გამოიძახონ, თუმცა ჯერჯერობით **ჩეზარე პრანდელი** მის მიმართ ინტერესს არ იჩენს. ვნახოთ, რა იქნება მომავალში...

მარცხენა მცველი

ხავიერ ძანეტი (ინტერი, 37)

ძნელია **ხავიერ ძანეტის** სიმბოლურ ნაკრებში პოზიცია შეურჩიო, რადგან ის იქ თამაშობს, სადაც გუნდს ყველაზე მეტად სჭირდება. შეუძლია იყოს ორივე ფლანგის მცველი, ნახევარცველი, საყრდენი და თუ საჭირო გახდა, ალბათ კარშიც დადგება. ამ შემთხვევაში, ის მარცხენა მცველად დაგვჭირდა და დავაყენეთ კიდეც. არგენტინელი იმ იშვიათ ფეხბურთელთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებიც მხოლოდ დადებით ეპითეტებს იმსახურებენ - ამიტომ, ყველანაირი დაფასება მასზე ნამდვილად ალალია.

ცენტრალური ნახევარმცველი

სტეფანო მაური (ლაციო, 31)

ის, რომ არაფრით გამორჩეულმა „ლაციომ“ მთელი სეზონის განმავლობაში ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებისთვის იბრძოლა, დიდწილად სწორედ **სტეფანო მაურის** დამსახურებაა. იმდენი მოახერხა, რომ ეროვნულ ნაკრებში დაიბრუნა ადგილი, სადაც წლებია აღარ იწვევდნენ. „ლაციოს“ მწვრთნელის, **ედუარდო რეიას** თქმით, მისი გუნდის მთავარი იარაღი მოედნის ცენტრის კონტროლი გახლავთ, რასაც დიდწილად სწორედ მაური განაპირობებს.

მარცხენა ნახევარმცველი

კლარენს ზეედორფი (მილანი, 35)

ვეტერანი ჰოლანდიელი, რომელმაც მართალია სისწრაფე დაკარგა და შესაძლოა, ოდნავ ანელებს კიდეც „მილანის“ თამაშის რიტმს, მაგრამ სამაგიეროდ, კოლოსალური გამოცდილების და უსაზღვრო ტექნიკის ხარჯზე, გუნდისთვის უდიდესი სარგებელი მოაქვს. ზემ ძალიან კარგი სეზონი ჩაატარა, მუდმივად ძირითად შემადგენლობაში იყო და არაერთი შეხვედრის ბედი გადაწყვიტა შედეგიანი დარტყმით თუ მეტადრე უზუსტესი საგოლე გადაცემებით. „მილანის“ მესვეურთა მტკიცებით, **კლარენს ზეედორფი** გუნდში რჩება და მომდევნო სეზონშიც „მილანის“ ღირსებას დაიცავს.

მარჯვენა ნახევარმცველი

მილოშ კრასიჩი (იუვენტუსი, 26)

„იუვენტუსმა“ მთლიანობაში ჩააგდო სეზონი, თუმცა ამ გუნდშიც იყო ერთი ისეთი ფეხბურთელი, რომელმაც თავი ძალიან კარგად დაგვამახსოვრა. განსაკუთრებულად პროდუქტიული **მილოშ კრასიჩი** სეზონის პირველ ნახევარში იყო, როდესაც თანაგუნდელებიც ასე თუ ისე უბამდნენ მხარს, აი შემდეგ კი „მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო“, ისე იყო მისი საქმე. მთელი სეზონის განმავლობაში კრასიჩი დაუღლელად დარბოდა თავის მარჯვენა ფლანგზე, აკეთებდა გადაცემებს და ურტყამდა კარში, გოლიც არაერთი გაიტანა, თუმცა გუნდური წარმატების მისაღწევად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

მარჯვენა გარემარბი

სამუელ ეტოო (ინტერი, 30)

მასიმო მორატის არაერთხელ უთქვამს, რომ **სამუელ ეტოო** იგივეა „ინტერისთვის“, რაც **ლიონელ მესი** „ბარსელონასთვის“. გასული სეზონი ეტოომ მართლაც შეუდარებლად ჩაატარა და სრულიად დამსახურებულად მოხვდა აბსოლუტურად ყველა სიმბოლურ ნაკრებში. **დიეგო მილიტოს** ტრავმების ფონზე, ლიდერობა სწორედ მან აიღო საკუთარ თავზე და ის, რომ კრიზისში მყოფმა „ინტერმა“ ბრძოლისუნარიანობა შეინარჩუნა და იტალიის თასი აიღო, ამაში ლომის წილი მიუძღვის. დიდხანს იყო საუბრები იმის შესახებ, რომ ეტოომ შეიძლება დატოვოს „ინტერი“, თუმცა ბოლო ინფორმაციით, მორატიმ ხელშეკრულების გახანგრძლივებაზე დაითანხმა.

მარცხენა გარემარბი

ანტონიო დი ნატალე (უდინეზი, 33)

უკვე მეორე სეზონია სერია A-ს მთავარმეგოლე **ანტონიო დი ნატალე** ხდება, რაც მართლაც რომ ბრწყინვალე შედეგია. ტოტომ 28-ჯერ შეარხია მეტოქეთა კარის ბადე და აქედან, მხოლოდ ხუთჯერ გამოირჩა თერთმეტმეტრიანი დარტყმით. „უდინეზემ“ ცუდად დაიწყო სეზონი და ცხრილის ფსკერზე განისვენებდა, როდესაც დი ნატალემ აინყვიტა, ჩვეულად ათამაშდა და გუნდს ჩემპიონთა ლიგის საგზური მოაპოვებინა. მართალია, ტოტო ცენტრფორვარდის პოზიციაზე ირჯებოდა, მაგრამ მისი თამაშის მანერიდან გამომდინარე, არ მოგვერიდა და ფლანგზე გადავწიეთ.

ცენტრფორვარდი

ედინსონ კავანი (ნაპოლი, 24)

როგორც „ნაპოლის“ პრეზიდენტი **აურელიო დე ლაურენტისი** ამბობს, **ედინსონ კავანი** კეთილი ჯადოქარია, რომელსაც ყველაზე რთულ მომენტშიც კი შეუძლია, ჯადოსნური ჯოხი აიქნიოს და გუნდს წაგებული თამაში მოაგებინოს. კავანი მართლაც საოცრად კარგად ჩაეწერა „ნაპოლიში“, ბევრად უკეთესად ათამაშდა, ვიდრე „პალერმოში“ და გუნდის მთავარ დამრტყმელ ძალად მოგვევლინა. ურუგვაელის გადაბირება ევროპული ფეხბურთის არაერთ გრანდს სურს, თუმცა ნეაპოლელთა ამაყი პრეზიდენტი შეუვალია და აცხადებს, რომ ჯადოქარს 50 მილიონ ევროდაც კი არ გაყიდის.

გვერდი მოამზადა
ლაშა წიკლაურმა

● წყალბურთი

წააგეს, მაგრამ პლეი ოფში გავიდნენ

გასულ უქმეებზე დამთავრდა წყალბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდი. ექვს ქვეჯგუფში გამოვლინდა ის ორ-ორი გუნდი, რომლებიც ოქტომბერში პლეი ოფებში მოსინჯავენ ძალებს. იმ 12 გუნდს შორისაა საქართველოს ნაკრები, რომელიც E ჯგუფში გამოდიოდა. შაბათს ჩვენებს მანჩესტერში შესარჩევი ტურნირის ბოლო შეხვედრა ჰქონდათ დიდი ბრიტანეთის გუნდთან.

დიდი ბრიტანეთი-საქართველო 8:7

3:2, 2:1, 1:1, 2:3

დიდი ბრიტანეთი: ედვარდ სკოტი, რიჩარდ ლაულორი, გლენ რობინსონი, სიინ ქინგი (1), ქრეიდ ფადესი (2), ჯეკ ველესი, ალექსანდერ პარსონეჯი, რობერტ პარკერი (1), ადამ სქოლეფილდი (3), დანიელ ლაქსთონი, ჯოზეფ ორეგენი, მათჰეი ჰოლანდი. მთავარი მწვრთნელი იორდაჩი.

საქართველო: ზურაბ ჭუმბურიძე, გალაქტიონ ლაითაძე, მარკო იელაჩა (1), იოვან პოპოვიჩი, მარკო კორდიჩი (1), გიორგი ხვედელიანი, რევაზ ჩომახიძე (2), მიხეილ ბაღათურია (2), ზურაბ რურუა, კოტე გეგელაშვილი, ტატო ნიკოლეიშვილი (1), მარკო ელეზი, ალექსანდრე ნამორაძე, მთავარი მწვრთნელი დავითიანი.

ჩვენს ბიჭებს შესარჩევი ტურნირის პირველი ორთაბრძოლა შინ 9:3 ჰქონდათ მოგებული, ამიტომ ჯგუფში მეორე საგზურის მოსაპოვებლად, ხუთ ბურთზე მეტი სხვაობით არ უნდა წაგოთ. ცხადია, მასპინძლებმა ეს კარგად იცოდნენ და პირველი წუთებიდანვე შეუტიეს, თუმცა მალევე ცხადი გახდა, რომ კუნძულელები მეტად რთული ამოცანის წინაშე იდგნენ - სტუმართა გატეხვა იოლი არ იყო. ბრიტანელებმა პირველი პერიოდი ერთი ბურთის სხვაობით მოიგეს, მეორე რვაწუთიან მონაკვეთშიც მსგავს უპირატესობას მიაღწიეს. მეტი ვეღარ შეძლეს, რადგან საქართველოს ნაკრებმა მოახერხა მასპინძელთა იერიშების გაუვნებელყოფა. მესამე პერიოდი ფრედ დამთავრდა, ხოლო ბოლო რაუნდში სხვაობა ერთ ქულამდეც დაიყვანა. საბოლოოდ, დიდი ბრიტანეთის წყალბურთელებმა მატჩი 8:7 მოიგეს, თუმცა პლეი ოფში ქართველები გავიდნენ, რადგან ორი პაექრობის ჯამში ბურთების უკეთესი სხვაობა აღმოაჩნდათ.

30. 10. 2010 წ. **საქართველო-დიდი ბრიტანეთი 9:3** (იელაჩა-4, ჩომახიძე-3, ბაღათურია-1, რურუა-1).

20. 11. 2010 წ. **დიდი ბრიტანეთი-საბერძნეთი 2:13**.

30. 03. 2011 წ. **საქართველო-საბერძნეთი 8:11** (ლაითაძე-1, კორდიჩი-2, ჩომახიძე-1, ბაღათურია-2, ელეზი-2).

11. 05. 2011 წ. **საბერძნეთი-საქართველო 16:6** (კორდიჩი-1, ჩომახიძე-2, ბაღათურია-1, ნიკოლეიშვილი-1, ქავთარაძე-1).

18. 06. 2011 წ. **საბერძნეთი-დიდი ბრიტანეთი 14:4.**

	თ	მ	წ	ბ	ქ
საბერძნეთი	4	4	0	54:20	12
საქართველო	4	1	3	30:38	3
დ. ბრიტანეთი	4	1	3	17:43	3

დანარჩენ ხუთ ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა

A ჯგუფი: ბოლო მატჩი. პოლონეთი-მალტა 5:5. **თურქეთი** (ბურთები 42:20)-9, **მალტა** (23:30)-7, პოლონეთი (17:32)-1 ქულა.

B ჯგუფი: გერმანია-პორტუგალია 18:4, ბულგარეთი-სლოვენია 5:26.

გერმანია (104:37)-16, **სლოვენია** (99:49)-13, პორტუგალია (45:67)-6, ბულგარეთი (28:123)-0 ქულა.

C ჯგუფი: ბელარუსი-ესპანეთი 6:12.

ესპანეთი (47:20)-12, **მაკედონია** (35:33)-6, ბელარუსი (22:51)-0 ქულა

D ჯგუფი: შვეიცარია-საფრანგეთი 2:19

საფრანგეთი (71:22)-10, **რუსეთი** (66:31)-7, შვეიცარია (16:100)-0 ქულა

F ჯგუფი: უკრაინა-სლოვაკეთი 5:13, რუმინეთი-ისრაელი 18:4.

რუმინეთი (84:29)-16, **სლოვაკეთი** (85:38)-13, უკრაინა (42:73)-6, ისრაელი (22:93)-9 ქულა;

ამდენად, პლე იოფში გავიდნენ: თურქეთი, მალტა, გერმანია, სლოვენია, ესპანეთი, მაკედონია, საფრანგეთი, რუსეთი, საბერძნეთი, საქართველო, რუმინეთი, სლოვაკეთი.

ვაჟა დანელია

● ქადრაკი

მინისტერიალის თასზე

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გუშინ დამთავრდა მოჭადრაკეთა შეჯიბრება მინისტერიალის თასზე. მთავარი პრიზისთვის 16 გუნდი იბრძოდა. ქვეჯგუფებში გამართული წრიული შეხვედრების შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა (ნონა დათუაშვილი, ლაშა ჭანტურია, რევაზ კაკაბაძე) ფინალში სპორტის სამინისტროს გუნდი (ხვიჩა სუპატაშვილი, შმაგი ჭურაძე, მარგალიტა თანდაშვილი) დაამარცხეს 2:1 და პირველ ადგილზე გავიდნენ. მესამე ადგილი თავდაცვის სამინისტროს ნაკრების მძლეველმა უზენაესი სასამართლოს მოჭადრაკეებმა (გიორგი ტყავაძე, ალექსანდრე იოსელიანი, თეა ბერაია) დაიკავეს.

ვაჟა დანელია

მინისტერიალის გამარჯვებულები და პრიზიორები. ავტორის ფოტო

ბელას გუნდი დაწინაურდა

თურქეთის საკლუბო ჩემპიონატში, რომელსაც კონია მასპინძლობს, გასულ უქმეებზე ორი ტურის პარტიები გათამაშდა. გაუწყებთ მათს შედეგებს:

V ტური. **თურქ ჰავა იოლარი-გაზი უნივერსიტესი** 3:7 (მერაბ გაგუნაშვილი-კაიდო კულაოტსი 0,5:0,5, სალომე მელია-ოზლემ გენკერი 1:0), **ბეშიქთაში-ტარსუს ზეკა სატრანჩი** 4,5:5,5 (დრაგან სოლაკი-მიხეილ მჭედლიშვილი 1:0, მერტ იილმაზირლი-ლუკა პაიჭაძე 0,5:0,5), **ბურსა-მერსინ ეზგი სატრანჩი** 4,5:5,5 (სოფიო გვეტაძე-ადრიანა ნიკოლოვა 0:1), **ვეშილკოვ სფორი-იარი კრედი სფორი** 3:7 (დავით არუთინიანი-მიხაილ გურევიჩი 0,5:0,5, თორნიკე სანიკიძე-ლოგმან გულიევი 0,5:0,5, ემინე იანიკი-ბელა ხოტენაშვილი 0:1), **ადანა-დენიზ გენჩლიკი** 6:4 (ნანა ძაგნიძე-ნარმინ კაზიმოვა 0:1), **ისტანბული-ისეკ აქუამატჩი** 4,5:5,5 (ნიკან ერდოლანი-ლევან ფანცულაია 0:1), **ჩელიკოლი-მანიშა** (სოფიკო გურამიშვილი-ანა უშენინა 0,5:0,5).

მარცხნივ მიხეილ მჭედლიშვილი

VI ტური. **გაზი უნივერსიტესი-მანიშა** 5,5:4,5 (უქართველებოდ), **ისეკ აქუამატჩი-ჩელიკოლი** 5:5 (ლევან ფანცულაია-ფანზარ ოდეევი 1:0, ეკატერინა ატალიკი-სოფიკო გურამიშვილი 1:0), **დენიზ გენჩლიკი-ისტანბული** 4,5:5,5 (უქართველებოდ), **იარი კრედი სფორი-ადანა** 6:4 (ბელა ხოტენაშვილი-ნანა ძაგნიძე 0,5:0,5), **მერსინ ეზგი სატრანჩი-ვეშილკოვ სფორი** 5,5:4,5 (ნიჯათ მამედოვი-დავით არუთინიანი 0,5:0,5, აზერ მირზოევი-თორნიკე სანიკიძე 0,5:0,5), **ტარსუს ზეკა სატრანჩი-ბურსა** 5:5 (მიხეილ მჭედლიშვილი-ვასილ სპასოვი 1:0, ლუკა პაიჭაძე-კალინ კარაკენაჯოვი 1:0, ოლგა ზიმინზ-სოფიო გვეტაძე 0,5:0,5), **თურქ ჰავა იოლარი-ბეშიქთაში** 5:5 (მერაბ გაგუნაშვილი-დრაგან სოლაკი 0,5:0,5, სალომე მელია-კუბრა ოზთურქი 0,5:0,5).

ექვსი ტურის შემდეგ 12 ქულით ბელა ხოტენაშვილის კლუბი **იარი კრედი სფორი** (ქულათა საერთო რაოდენობა - 41) დაწინაურდა. მას ქულით ჩამორჩება **ისეკ აქუამატჩი** (35), 10 ქულით მე-3 ადგილზეა **ეზგი სატრანჩი** (35,5). ტურნირზე დღეს მეშვიდე და მერვე ტურების პარტიები გაიმართება,

ვაჟა დანელია

● მშვილდოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი

ქართველ ქალებს ფავორიტებში ასახელებენ

ტურინში დღეს იწყება და 10 ივლისამდე გასტანს მსოფლიოს ჩემპიონატი მშვილდოსნობაში, სადაც ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის ლიცენზიებიც თამაშდება.

იტალიაში მხოლოდ სამი ქართველი იასპარეზებს, სამივე ქალთა ნაკრების შემადგენლობაში: **ხათუნა ნარიმანიძე, ქრისტინე ესებუა, ასმათ დიასამიძე.** კორეელმა მთავარმა მწვრთნელმა **ან ჰიუნ სანმა** არც ბიჭები წაიყვანა მეტისმეტად დაბალი შედეგების გამო და არც ქალთა გუნდის ტრადიციული სამეული შეცვალა. სამაგიეროდ, მას ტურინში ნაკრების ძველი თავკაცი **თამაზ ფუტკარაძე** დაეხმარება, რაც, ვფიქრობთ, გონივრული და მისაბაძი მაგალითია.

დღეს ქალთა შორის საკვალიფიკაციო ინდივიდუალურ პირველობაში გამოვლინდებიან პლეი ოფის მონაწილეები როგორც პირადად, ასევე გუნდურ ასპარეზობაში. დღის ბოლოს უკვე გავიგებთ, ვის შეხვდებიან ჩვენები გუნდური პირველობის სანყის რაუნდში, ანუ ოლიმპიური ლიცენზიების მოპოვების რა შანსი გვექნება. ხვალ საკვალიფიკაციო შეჯიბრება უკვე კაცებში ჩატარდება, ზეგიდან კი გამოვლინდებიან ნაკრებები, რომლებიც ლონდონის ოლიმპიადის საგზურებს მიიღებენ. 7-8 ივლისი პირადი პირველობის პლეი ოფებს დაეთმობა. 9-ში მედლებისთვის შერეული წყვილები და არაოლიმპიურ დისციპლინების წარმომადგენლები ისვრიან, ოლიმპიური დისტანციებზე კი ნახევარფინალური შეხვედრები და მედლებისთვის პაექრობები ჩემპიონატის ბოლო დღეს, 10 ივლისს ჩატარდება.

ჩემპიონატში 90 ქვეყნის 600-მდე მშვილდოსანი გამოვა. გაიცემა 64-დან 35 ოლიმპიური ლიცენზია.

როგორც ყველა დიდ ტურნირს, ამ პირველობასაც წინ უძღვის ერთგვარი პროგნოზები. საერთაშორისო ფედერაციის საიტი ქალთა შორის ფავორიტებად მიიჩნევს კორეელთა მთელ გუნდს: **ბო ბაე კი, გიოენგჰეე ჰანი** და **დესომი იუნგი**. აგრეთვე იტალიელ ორგზის მსოფლიოს ჩემპიონ **ნატალია ვალეევას,** ინდოელ **დეეპიკე კუმარის,** პოლონელ **იუსტინე მოსპინეკის**, უკრაინელ **ვიქტორია კოვალს**, ფრანგ ევროპის ჩემპიონ **ბერენჟერე შუს**, რუს მსოფლიოს პრიზიორ **ნატალია ერდენიევას** და ჩინელ **მინგ ჩენს** ასახელებს. იგივე წყარო გამოჰყოფს მსოფლიოს ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ვერცხლის მედალოსან **ია-ტინგ ტანს** ტაივანიდან და მექსიკელ **მარიანა ავიტიას**, რომელმაც 14 წლისამ იასპარეზა პეკინის ოლიმპიადაზე. გუნდებიდან საიტი უპირობო ფავორიტად კორეელთა ახალგაზრდულ გუნდს, ბოლო 4 წლის შედეგებიდან გამომდინარე კი ჩინეთსა და რუსეთს ასევე ახალგაზრდულ გუნდებს ასახელებს. საქართველო იტალიასთან, ბრიტანეთთან, საფრანგეთთან, პოლონეთთან და სხვებთან ერთად იმათ შორისაა, რომელთა სათვალავიდან ჩამონერაც არ შეიძლება ანუ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეორე რიგის ფავორიტთა შორის გვასახელებენ. ეს საიტი ჩვენს ნაკრებს საგანგებო ყურადღებასაც უთმობს - თავფურცელზე პატარა წერილია გამოქვეყნებული ქართულ ნაკრებზე და იმის აღნიშვნით იწყება, რომ ოლიმპიური სოლიდარობის ფარგლებში საქართველოს ნაკრებში კორეელი მწვრთნელია მინვეული, ხოლო სპორტსმენები ოლიმპიურ სტიპენდიებს იღებენ. საერთოდ, კორეელის დანიშვნის შემდეგ ჩვენებისადმი უცხოელთა ინტერესი გაიზარდა - საზღვარგარეთული შეჯიბრებების ფოტოგალერეებში ადრინდელზე უფრო ხშირად გვხდება მისი და ჩვენი სპორტსმენების ფოტოები, ამჯერად კი საერთაშორისო ფედერაციის საიტი ნარიმანიძეს საგანგებო წერილს უძღვნის. ავტორს არც იმის აღნიშვნა დავიწყებია, რომ ნარიმანიძე ხელვაჩაურის საკრებულოს წევრია და იქვე ახალგაზრდა სპორტსმენებსაც ავარჯიშებს, თავად მსროლელი კი ამბობს, რომ ოლიმპიური სტიპენდია მისთვის ლონდონის თამაშებისთვის მოსამზადებლად დიდი სტიმულია. ის ფინანსური დახმარებისთვის მადლობას უხდის საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს და მწვრთნელს. აღნიშნავს, რომ კორეელს საქართველოში „არჩი" შეარქვეს და მისგან ძალიან ბევრს სწავლობს, როგორც სპორტსმენი. ამ წერილს ჩვენი ნაკრების ფოტოც თან ერთვის, რომელსაც აქვე გთავაზობთ.

მსოფლიოს ჩემპიონატი ტურინის ისტორიულ ნაწილში ტარდება, რომელიც ასევე მჭიდრო კავშირშია მთლიანად იტალიის ისტორიასთან. მაგალითად, ფინალები „პიაცა კასტელლოზე" გაიმართება ქალაქის ცენტრში, ძველ მოედანზე, საკვალიფიკაციო ეტაპი და პლეი ოფის პირველი ეტაპი კი მე-18 საუკუნის სანადირო ცენტრ „სტუპინიგში", რომელიც ასევე მჭიდრო კავშირშია ბაროკოს ეპოქის სხვა ცნობილ შენობებთან თუ არქიტექტორებთან.

ჩემპიონატი იტალიის რესპუბლიკის გაერთიანების 150 წლისთავს დაემთხვა. ეს რიცხვი თუ სხვა საიუბილეო თარიღები ფრიად აქტუალური გახდა ამ უქმეებზე გამართულ საერთაშორისო ფედერაციის 49-ე კონგრესზე - დაარსებიდან 150 წლეიწადი შეუსრულდათ ბრიტანეთისა და გერმანიის მშვილდოსნობის ფედერაციებს, 50 - იტალიისას და 80 - თავად საერთაშორისოს. კონგრესმა სხვა მიმდინარე საკითხებთან ერთად ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაც მიიღო - საერთაშორისო ფედერაციას სახელწოდება შეუცვალა და ამიერიდან ის მშვილდოსნობის მსოფლიო ფედერაციად იწოდება.

ირაკლი თავაძე

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. ბრასი; 6. "ბრიუგე"; 7. "ზადარი"; 9. კანო; 10. სტაიერი; 11. ზონა; 14. ზიდანი; 15. ქარტია; 17. როდიკი; 18. "სტიაუა"; 19. ანგარი; 21. კრაუჩი; 25. ფიდე; 26. ფიტნესი; 28. როგე; 31. იდალგო; 32. სოკერი; 33. ნურმი.

შვეულად: 1. რამოსი; 2. ბუცი; 3. ბებეტო; 4. იზმირი; 5. "ოდრა"; 6. ბობანი; 8. ინინგი; 12. სნუკერი; 13. კარტერი; 14. "ზარია"; 16. ასაკი; 20. ნოიერი; 22. ჩოგანი; 23. აირტონ; 24. ისლასი; 27. ნავარო; 29. სოლტ; 30. კაკა.

ოლიმპიური საქართველო 1952-2012

ჰელსინკიდან-ლონდონამდე

„საქართველო თავისი ტერიტორიითა და მოსახლეობით პატარა ევროპული ნაციაა, თავისი სპორტული ტრადიციებითა და პოტენციალით კი დიდი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება“.

ხუან ანტონიო სამარანჩი

● ოლიმპიადიდან ოლიმპიადამდე

1972-1976

Montréal 1976

მიუნხენში ექვსი ოლიმპიური ოქროს მედლის მოპოვება -მანამდე არნახული მოვლენა იყო ქართული სპორტის ისტორიაში. წინ იყო მონრეალის თამაშები და ახალ ოლიმპიურ ოთხწლეულში პრინციპრ - „ოლიმპიადა დამთავრდა, ოლიმპიადა დაიწყო“, უმალვე შეუდგნენ ჩვენი სპორტული ორგანიზაციები ახალი გეგმების შემუშავებას. ცხადია, განუზომელია ამ პროცესში უკვე მიღწეულისა და ტრადიციების მემკვიდრეობითობის მასტიმულირებელი როლი. ფრთხილად და გონივრულად დაიწყო თაობათა ცვლის, სპორტში ესოდენ მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარება. ოლიმპიელთა კვალში იდგნენ ნიჭიერი სპორტსმენები და, შეიძლება თამამად ითქვას, თაობათა ცვლის უმტკივნეულოდ წარმართვას სპორტის ფუნქციონერები, მწვრთნელები და თვით ვეტერანი სპორტსმენები ერთნაირი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ. პირველები თვით გამოცდილი ათლეტები ხარობდნენ, როცა ვარჯიშზე ხედავდნენ, როგორ იზრდებოდნენ და ოსტატდებოდნენ მათ თვალწინ მათივე შემცვლელები, ქართული სპორტის მემკვიდრეები. მაგრამ ჩვენი ოლიმპიელები მისაბაძი იყვნენ არა მხოლოდ სპორტის იმ სახეობის მიმდევრებისთვის, სადაც მათ დაიპყრეს ოლიმპიური მწვერვალი, არამედ საერთოდ, ყველასთვის.

მონრეალში, 1976 წლის თამაშებში, სსრ კავშირის ნაკრებში 11 სპორტსმენი გამოდიოდა საქართველოდან. ეს გაცილებით ნაკლები იყო წინა ოლიმპიადასთან შედარებით, ცოტა იყო მედლებიც. მიზეზად არამც და არამც არ შეიძლება მივიჩნიოთ მუშაობის შესუსტება. ამის უფლებას თვით საკავშირო სპორტული ორგანიზაციების სტრუქტურები არ მისცემდნენ მათ დაქვემდებარებაში მყოფ რესპუბლიკებს. საქმე ისაა, რომ მთელ საბჭოთა კავშირში რესპუბლიკებს უმკაცრესად სთხოვდნენ ნაკრებისთვის კანდიდატების მომზადებას. ამის გამო, სწორედ იმ პერიოდიდან სპორტში აშკარად იჩინა თავი კორუფციამ, განსაკუთრებით მსაჯობაში. მიდიოდა „უმცროსი ძმების“ ფარული ჩაძირვა. ამასთან, კიდევ უფრო მასობრივი გახდა სპორტი, ეს სფერო პოლიტიკურ რანგში ავიდა. დაპირისპირებამ ორ გიგანტს - სსრ კავშირსა და აშშ-ს შორის სპორტიც მოიცვა. საბჭოთა კავშირს არამც და არამც არ უნდოდა დაეთმო პირველობა ოლიმპიურ სარბიელზე. გავიხსენოთ, 1952 წლს, ანუ, როცა სსრკ ჩაერთო თამაშებში, გამარჯვება მანამდე ტრადიციულ ლიდერს აშშ-ს დარჩა, მომდევნო ორი ოლიმპიადა (1956, 1960) სსრკ კავშირმა მოიგო, კიდევ მომდევნო ორი - ისევ ამერიკამ, მიუხხენში - სსრ კავშირმა და აი, მონრეალი - კვლავ პირველობა, რაც სსრ კავშირმა დაშლამდე შეინარჩუნა.

● წლები და ათეულები

საქართველოს სპორტსმენთა საუკეთესო ათეული სპორტულ ჟურნალისტთა გამოკითხვის შედეგებით ოლიმპიურ 1972 წელს ასეთი იყო: 1. ვიქტორ სანეევი (მძლეოსნობა, სამხტომი), 2. ლევან თედიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), 3. დავით ყიფიანი (ფეხბურთი), 4. ალექსანდრე ანპილოგოვი (ხელბურთი), 5. დავით კვაჭაძე (კრივი), 6. ალექსანდრე მეტრეველი (ჩოგბურთი), 7. თეიმურაზ კაკულია (ჩოგბურთი), 8. რამაზ ხარშილაძე (ძიუდო), 9. მანუჩარ მაჩაიძე (ფეხბურთი), 10. ავთანდილ მაისურაძე (ბ/რ ჭიდაობა).

● ამონაწერი ოლიმპიური ქარტიიდან

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

თავი IV

3. ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელი ორგანოსა და საერთაშორისო ფედერაციებში შემავალი ეროვნულ ფედერაციათა მიერ მიცემული ხმები.

4. მთავრობებს ან სხვა სახალხო მმართველობის ორგანოებს არ გააჩნიათ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრთა დასახელების უფლება, თუმცა ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს შეუძლია, თავად გადაწყვიტოს მისი სურვილის მიხედვით ასეთი ორგანოებიდან წარმომადგენლების არჩევა.

● თქვენთვის ერუდიტებო

ვიქტორინა

ეძღვნება XXII ოლიმპიურ თამაშებს

1. სად ჩატარდა მონრეალის შემდეგ მომდევნო ოლიმპიური თამაშები?

ა — ბარსელონაში
ბ — მოსკოვში
გ — სეულში

2. რამდენი ოქროს მედალი მოიპოვეს საქართველოს ათლეტებმა 1980 წლის ოლიმპიურ თამაშებში?

ა — 3
ბ — 5
გ — 7

3. საქართველოს სპორტსმენებმა სულ რამდენი მედალი დაიმსახურეს XXII ოლიმპიურ თამაშებში?

ა — 7
ბ — 9
გ — 12

4. საქართველოდან რომელმა ქალმა სპორტსმენმა მოიპოვა 1980 წლის ოლიმპიურ თამაშებში ოლიმპიური ოქროს მედალი?

ა — საიდა გუმბამ
ბ — ქეთევან ლოსაბერიძემ
გ — ლიანა ცოტაძემ

5. საქართველოდან რამდენი სპორტსმენი მონაწილეობდა 1980 წლის ოლიმპიურ თამაშებში?

ა — 9
ბ — 12
გ — 16

პასუხები: 1-ბ, 2-ა, 3-ბ, 4-ბ, 5-ბ

● საქართველოს სპორტსმენები ოლიმპიურ თამაშებზე

ვიქტორ სანეევმა პირველად 1968 წელს მეხიკოში, მეორედ 1972 წელს მიუნხენში, მესამედ კი მონრეალში მოიპოვა ოლიმპიური ოქროს მედალი

ლევან თედიაშვილი მიუნხენის შემდეგ ოლიმპიური ჩემპიონი მონრეალში მეორედ გახდა

P.S. ვიქტორ სანეევისა და ლევან თედიაშვილის სპორტული წარმატებების დოსიე „ლელოს“ წინა ნომრებში გამოვაქვეყნეთ.

ალექსანდრე ანპილოგოვი

დაიბადა 18. 01 1954, თბილისი. ხელბურთი. თამაშობდა თბილისის „ბურევესტნიკში“ (1970-85) და გერმანიის „ლანდცჰუტში“ (1987-92), სადაც ჯერ მოთამაშის, შემდეგ კი მოთამაშე მწვრთნელის ფუნქციებს ასრულებდა. 1976 წლის მონრეალის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (6 მატჩი, 13 გოლი) და 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი (6 მატჩი, 29 გოლი). მსოფლიოს ჩემპიონი (1982) და მეორე პრიზიორი (1978). სსრკ თასის მფლობელი (1978), სსრკ ჩემპიონატის სამგზის მესამე პრიზიორი (1977 80, 81), სსრკ ხალხთა VI სპარტაკიადის მესამე პრიზიორი (1975). 1974-84 წლებში სსრკ ნაკრებში ითამაშა 217 მატჩი (572 გოლი). იყო საბერძნეთის ქალთა ნაკრების მწვრთნელი (2000-01). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენების კავალერი.

წლები და პიროვნებანი

I ადგილი: ვიქტორ სანეევი - მძლეოსნობა (სამხტომი); **ლევან თედიაშვილი** - თავისუფალი ჭიდაობა (90კგ); **ალექსანდრე ანპილოგოვი** - ხელბურთი.

II ადგილი: რამაზ ხარშილაძე - ძიუდო (II).

III ადგილი: შოთა ჩოჩიშვილი - ძიუდო (აბსოლუტური); **მიხეილ ქორქია** - კალათბურთი.

V ადგილი: *იგორ ომელჩენკო - ცურვა* (4X100 კომბინირებული ესტაფეტა); **გურამ გოგოლაური** - ძიუდო (80).

I – VI ადგილებს მიღმა დარჩნენ: იგორ კუშპელიოვი (ცურვა), ვლადიმერ ისელიძე (წყალბურთი), ოლეგ ზურაბიანი (ძიუდო), მარლენ პაპავა (ტყვიის სროლა).

მონაწილე - 11. ოქრო-3, ვერცხლი - 1, ბრინჯაო-2. სულ 6 მედალი.

● გაზეთი მემატიანე

ლელო და ლელოელები

„ლელოს“ ისტორია განუყოფელია ქართული სპორტის ისტორიისგან. ვაგრძელებთ „ლელოს“ ვეტერანი ჟურნალისტის **თენგიზ გიორგაძის** მოგონებების ციკლს „ლელოსა“ და ლელოელებზე.

გუნებით მოამაგე

მას ყველა კაკოს ეძახდა. ჩვენც, ლელოელები. „ლელომდე“ იგი სპორტს უძღვებოდა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“. ირაკლი უგულავა (1915-1997) კეთილი და ყურადღებიანი ადამიანი იყო. ვიდრე სამამულო ომში გაიწვევდნენ, მსახიობობდა. ერთხანს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრშიც მუშაობდა. ამიტომ მრავალი მეგობარი ჰყავდა თეატრალურ საზოგადოებაში. ასეთები იყვნენ კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობები, მაგალითად, პიერ კობახიძე, იაშა ტრიპოლსკი, გოგი ტატიშვილი, ტარიელ საყვარელიძე და სხვები. ისინი „ლელოშიც“ აკითხავდნენ მას, მით უმეტეს, რომ „ლელოს“ რედაქცია მაშინ ელბაქიძის დაღმართზე, თეატრთან ახლოს იყო. საუბრობდნენ თეატრალური ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე. კაკო ჩვენც, - რამდენიმე ლელოელს გვიამბობდა ხოლმე ამ „სერობის“ ამბებს. უყვარდა მოგონებების გაზიარება, აკაკი ხორავას და აკაკი ვასაძის გახსენება. ის ნამდვილი არტისტული ბუნების კაცი იყო.

ჩვენი რედაქტორი ოჯახის მოყვარული გახლდათ. ძალიან უყვარდა მეუღლე, ქალბატონი მარო კილასონია და შვილები - არჩილი და დავითი.

ამჟამად არჩილი მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორია. მისი ორი ვაჟი, ირაკლის შვილიშვილები - გიგი უგულავა თბილისის მერია, ხოლო ბაბუას მოსახელე - ირაკლი უგულავა ცნობილი მთამსვლელია.

კაკო ყოველთვის გაგებით ეკიდებოდა თითოეული ლელოელის საოჯახო პრობლემებს.

იგი ხარობდა ქართველი სპორტსმენების წარმატებებით. ცდილობდა ჩქარა მიეწოდებინა მკითხველისათვის სასიხარულო ინფორმაცია, ამიტომ ხშირად შუაღამემდე გვიწევდა მუშაობა გაზეთზე. სასურველ ცნობებს ღამის 12 საათის შემდეგ ვღებულობდით. ასე იყო, მაგალითად, 1961 წელს ქალთა მსოფლიოს პირველობის პრეტენდენტთა ტურნირისას. შეჯიბრებას მთელი საქართველო ადევნებდა თვალს, ერთხელ ვიღაცამ დაგვირეკა, პარტიის შედეგი რომ გაეგო. როცა ვაცნობეთ, რომ ნონამ მოიგო, უცნობმა ქომაგმა იკითხა, როგორი ანგარიშითო (?!). მახსოვს, ერთხელ ღამის ოთხ საათზე დაგვირეკა ვასო გოძიაშვილმა: - ბიჭებო, ვერ ვიძინებ, იქნებ იცით, რა ქნა ნონამ? გამარჯვება რომ ვახარეთ, დაგვლოცა.

რა თქმა უნდა, ჩვენც გვახარებდა ქართული საზოგადოების ასეთი ერთგულება და სიყვარული.

კაკო ლელოელებისგან სპორტული მოვლენების სრულფასოვნად გაშუქებას მოითხოვდა. მივლინებაშიც გვაგზავნიდა. მაშინ „ლელო“ ხომ ერთადერთი სპორტული გაზეთი იყო, არაფერი უნდა გამოგვრჩენოდა. პირადად მე ძალიან მიწყობდა ხელს საჭადრაკო ცხოვრების გაშუქებაში. სხვათა შორის, რედაქტორი არ გვიშლიდა რედაქციაში ჭადრაკის თამაშს. ზოგჯერ თავადაც მიუჯდებოდა დაფას. ერთხელ შემომთავაზა, ჩამეტარებინა ერთდროული თამაშის სეანსი „დაფაზე დაუხედავად“ რედაქციის მოჭადრაკეებთან. თამაში შვიდ დაფაზე გავმართე. ასეთი სეანსი ჩემთვის პირველი იყო, მართალია, ყველა პარტია მოვიგე, მაგრამ ცუდად შევიქენი. ყველა მიხვდა, რომ მსგავსი სეანსის მოწყობა მხოლოდ რჩეულთა საქმეა. კაკომ ამიკრძალა ასეთი „გართობა“.



„ლელოს“ რედაქტორი მწერლის ნიჭით იყო დაჯილდოებული. გაზეთიდან რომ წავიდა (1964 წ.) მწერლობას მიჰყო ხელი. მოთხრობების რამდენიმე კრებული გამოსცა.

არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ „ლელოს“ რედაქციის თანამშრომლები ერთ მუშტად ვიყავით შეკრულნი. გაზეთი კარგი გამოგვდიოდა. თვალი გადაავლეთ 50-60-იანი წლების „ლელოს“ და თავადაც იგრძნობთ ლელოელთა შემოქმედებით მუხტს. იგი პასუხობდა მკითხველთა მოთხოვნას. თეთრი შურით შემოგვცქერიდნენ ჩვენი კოლეგები სხვა გაზეთებიდან.

„ლელო“ ბევრ საქმეში სიახლის მოთავე იყო. 1961 წელს „ლელომ“, პირველმა საქართველოში, გამოაცხადა საერთაშორისო კონკურსი საჭადრაკო კომპოზიციაში - „მშვიდობისთვის“. მას დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

ყველას აღიარებით „ლელო“ იმ დროს იყო ქართული სპორტის მედროშე და პირველი მესიტყვე.

თენგიზ გიორგაძე

„დიდი სპორტული ქვეყნების ტოლი, სწორი და ბადალი“ /ზაურ ბოლქვაძე/

გაგრძელება ორშაბათობით

პროექტის ავტორია პელოპონესის უნივერსიტეტის ოლიმპიური აკადემიის ასპირანტი თორნიკე გაჩეჩილაძე

ქართული სპორტი

ჩოგბურთი


ანა ტატიშვილი

მეცხრე და უდიდესი

ანა ტატიშვილმა (118) იტალიურ კუნეოში „ბანკა რეგიონალე ეუროპეას“ თასი მოიგო. ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 100 ათასი ამერიკული დოლარია. ქართველი ჩოგბურთელი ამ შეჯიბრებაში განუთესავი იყო, თუმცა ერთამენთს მიანყო ტურნირის ფავორიტები. ნახევარფინალში ანას მეტოქე შვეიცარიელი **შტეფანი ფოიგელი** (152) იყო, რომელმაც წინა წრეში ტურნირის მთავარი ფავორიტი, მსოფლიოს 69-ე ჩოგანი ალის კორნე დაამარცხა. პირველი სეტი შვეიცარიელს დარჩა, თუმცა სულ ეს იყო, რაც ფოიგელმა მოახერხა, ამის შემდეგ ჩვენი თანამემამულის უპირატესობა აშკარა იყო - 3:6, 7:5, 6:3. მეორე ნახევარფინალში ასევე განუთესავმა, ჰოლანდიელმა **არანჩა რუსმა** (103) მე-5 ნომრად განთესილ ხორვატ **მირიანა ლუჩიჩს** (91) მოუგო - 4:6, 6:2, 6:4.

ქართულ-ჰოლანდიური ფინალი ვერ გამოდგა დაძაბული, როგორც ამას მიმომხილველები წინასწარმეტყველებდნენ (აქამდე მათ შორის 1:1 იყო), ამის მიზეზი კი ტატიშვილის აგრესიული და კარგი თამაშია, მან მე-5 გეიმზე შეძლო მეტოქის მოწოდების მოგება, შემდეგ კი ეს უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვა - 6:4, 6:3. *„თითოეულ ბურთზე ყურადღებით ვითამაშე და მოხარული ვარ, რომ ისეთი ძლიერი მეტოქე გავტეხე, როგორიც რუსია“*, - განაცხადა მატჩის შემდეგ გამარჯვებულმა ქართველმა.

ეს ანას პირველი ტიტულია ნლეულს და მე-9 კარიერაში. ერთეულთა თანრიგში ტატიშვილს აქამდე მოუგია: ელ პასოს (აშშ, 25 ათასი, 2008 ნ), ბოსტონის (აშშ, 50 ათასი, 2008), ტროის (აშშ, 50 ათასი, 2008), კრისტიენჰამნის (შვედეთი, 25 ათასი, 2009) და გრადოს (იტალია, 25 ათასი, 2010) ტურნირები, ხოლო წყვილებში: რელაის (აშშ, 25 ათასი, 2008), კანზასის (აშშ, 50 ათასი) და როკ ჰილის (აშშ, 25 ათასი, 2009) ტურნირები. 100-ათასიან შეჯიბრებაში ჩვენს თანამემამულეს აქამდე არათუ არ მოუგია, არამედ ფინალშიც არ გასულა. საპრიზო ფონდიდან გამარჯვებულმა 12 ათასი დოლარი მიიღო.

ანა ტატიშვილმა კუნეოში ასპარეზობით იმაზე მეტი დაიბევა, ვიდრე უიმბლდონში ერთი ეტაპის გავლით - 140 ქულა. ამ ორ კვირაში მან ჯამში 240 ქულით შეივსო ყულაბა და მოწინავე ასეულში მოხვედრა დაიბევა, მაშინვე, როცა კუნეოს ტურნირის შედეგი რეიტინგ-ლისტზე აისახება.

ესპანურ პოსობლანკოში (50 ათასი დოლარი) წარმატებით იასპარეზა **მაკა ჩახნაშვილმა** (237). 28 წლის ქართველმა მეოთხედფინალში მე-3 ნომრად განთესილ ჩინელ **ინ-ინ ლუს** (178) აჯობა - 6:4, 7:6 (7). ნახევარფინალში მაკა ველარაფერს გახდა ტურნირის პირველ ჩოგან ბერძენ **ელენი დანილიდუსთან** (121) - 2:6, 1:6. ამავე ტურნირის წყვილთა ბადის ფინალში **სოფიო შაფათავა** (292) თამაშობდა. მან და რუსმა **მარინა მელნიკოვამ** (631) გადამწყვეტი მატჩი პირველ ნომრად განთესილ წყვილთან (**ირინა პავლოვიჩი** და **ნინა ბრატჩიკოვა**) წააგეს - 2:6, 4:6.

მაკა ბიარიცში (საფრანგეთი) გადავა, სადაც 100-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში ითამაშებს. მისი პირველი მეტოქე მე-5 ნომრად განთესილი იტალიელი **მარია-ელენა კამერინია** (120).

ნიკოლოზ ნეფარიძე

სინქრონული ცურვა

დებიუტი მეათე ადგილით

ბელგრადში სინქრონულად მოცურავე იუნიორთა ევროპის ჩემპიონატზე 17-წლიანი შესვენების შემდეგ პირველად მონაწილეობდა ქართველი სპორტსმენი **ქრისტინე ბოჭორიშვილი,** რომელიც სალონიკიში რვა წელიწადია დედის - ნინო ლომოურის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს. სერბეთის დედაქალაქში ორდღიანი პაექრობის შემდეგ იგი 12 ფინალისტს შორის მოხვდა. გუშინ სოლოში მან 76.4800 ქულა მოაგროვა და მე-10 ადგილზე გავიდა. ოქროს მედალი რუსმა **ვლადა ჩიგირეოვამ** მოიპოვა (91.9300), მეორე-მესამე ადგილები იტალიელმა **ლინდა კერუტი** (87.9100) და უკრაინელმა **ანასტასია სავჩუკმა** (87.1700) დაიკავეს.

ვაჟა დანელია

ქრისტინე ბოჭორიშვილი

საქართველო და ევრობასკეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიწყო თორმეტმა

ეროვნული ნაკრები ოფიციალურად 24 ივლისს ავსტრიის ქალაქ შტაინბურნში შეიკრიბება. მანამდე ყველა წევრი ინდივიდუალურად ემზადება, ზოგი ამერიკაში, ზოგი ევროპაში... ეროვნულ გუნდში გამოძახებულთა დიდი ჯგუფი საქართველოშია და 1 ივლისიდან ერთად ემზადება ოფიციალური შეკრებისთვის.

ისინი ვაკეში მდებარე კალათბურთის აკადემიის დარბაზში ფიზმომზადების მწვრთნელ **ავთო ბერიძის** ხელმძღვანელობით ვარჯიშობენ. საქართველოს ნაკრები ამით ლიტვაში გასამართი ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირისთვის მზადებას შეუდგა.

ნაკრების წევრობის 18 კანდიდატიდან საწყის ვარჯიშებზე ბერიძის განკარგულებაში 12 კალათბურთელი გახლდათ - **ლაშა გამყრელიძე, გიორგი ცინცაძე, კოტე ტუღუში, ანატოლი ბოისა, ლაშა ფარღალავა, ლევან ფაცაცია, მიხეილ ბერიშვილი, ვიქტორ სანიკიძე, ნიკოლოზ ცქიტიშვილი, ნიკა მეტრეველი, გიორგი შარაბიძე და გიორგი შერმადინი.**

ზაზა ფაჩულია, ვლადიმერ ბოისა, მანუჩარ მარკოიშვილი, თორნიკე შენგელია, ტორინ გრინი, მარკიზ ჰეინსი და მთავარი მწვრთნელი **იგორ კოკოშკოვი** ნაკრებს ავსტრიული შეკრების დროს შეუერთდებიან, რომელიც 24 ივლისიდან 4 აგვისტოს ჩათვლით გაიმართება.

გუშინ რამდენიმე კითხვით მივმართეთ ვიქტორ სანიკიძეს...

- მზადებას პირველიდან შევუდექით. სამი დღე ვვარჯიშობთ, ერთი დღე ვისვენებთ. ავთო ბერიძის ხელმძღვანელობით ვემზადებით და აქცენტი ფიზმომზადებაზე გვაქვს გადატანილი.

- დარბაზის გარეთაც ხომ არ დარბიხართ?

- არა. აკადემიის დარბაზში ვვარჯიშობთ, დღეში ერთხელ, უბურთოდ, თუმცა წვრთნის დასრულების შემდეგ, ვისაც სურს, ბურთთან ინდივიდუალურად მუშაობს. ახალგაზრდული ნაკრები ჰოლანდიიდან რომ დაბრუნდება, ამხანაგურადაც ვითამაშებთ. ვფიქრობ, 24 ივლისისთვის მეტ-ნაკლებად სასურველ კონდიციებში ვიქნებით.

- ბოლოს საკლუბო ამბავს გკითხავ: „ვირტუსი“ ახალ კონტრაქტს გთავაზობდა...

- ამ მხრივ არაფერი შეცვლილა, „ვირტუსის“ ხელმძღვანელებისგან ახალ ხელშეკრულებას ველი, თუმცა ჯერჯერობით ისევ უკლუბოდ ვარ.

ვაჟა სიმონიშვილი

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები

ორი გამარჯვებით ჰოლანდიიდან

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა ჰოლანდიის ქალაქ ზვოლეში წარმატებული ტურნე ჩაატარა, 23 ქულით გაიმარჯვა ნიდერლანდელ ახალგაზრდებთან, ხოლო გუშინ ასევე მასპინძელ 23-წლამდელებს 87:83 მოუგო (შენგელია 30 ქულა, დვალიშვილი 14, სანაძე 12, თენიეშვილი 9, ბოქოლიშვილი 6). შუალედში კი A დივიზიონის წარმომადგენელ ავსტრიის 20-წლამდელთა ნაკრებთან დაძაბულ ბრძოლაში 82:89 წააგო. კალათბურთის ფედერაციის საიტზე გამოქვეყნდა ჩვენი ნაკრების თავკაცის, დავით უსტიაშვილის ინტერვიუ, რომელიც ჩვენი გაზეთის მკითხველსაც დააინტერესებს. მწვრთნელი ჯერ ავსტრიასთან მატჩს იხსენებს:

- შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. თავდაპირველად 7-8 ქულით ვაგებდით, თუმცა დიდი შესვენებისთვის ჩამორჩენა 2 ქულამდე შევამცირეთ - 38:40. მესამე მეოთხედში დამაჯერებლად ვითამაშეთ და ხელჩასაჭიდ უპირატესობასაც დავეუფლეთ. 7 ქულით დავწინაურდით და ბოლო მეოთხედის წინ მცირედით ვლიდერობდით. ბოლოს თამაში გათანაბრდა. 39-ე წუთზე ტაბლოზე თანაბარი ანგარიში ეწერა და ბურთს ჩვენ ვაკონტროლებდით, თუმცა დასანანად დავკარგეთ და იძულებულები ვიყავით, ტაქტიკურ ჯარიმებზე გადავსულიყავით. სამწუხაროდ, ავსტრიელებმა ყველა სროლა გამოიყენეს და საბოლოოდ მათი უპირატესობა 7 ქულამდე გაიზარდა.

- ჰოლანდიელ 23-წლამდელებთან მატჩზე რას იტყვით?

- მეტოქეს უკვე ზრდასრული, ჩამოყალიბებული კალათბურთელები ჰყავდა. ისინი ჩვენს ბიჭებზე 2-3 წლით უფროსები იყვნენ, თუმცა ჩვენდა საბედნიეროდ, ყველაფერს კარგად გავართვით თავი და გავიმარჯვეთ.

- ანგარიშში სხვაობა მხოლოდ 4 ქულაა. ალბათ, დაძაბული ფინალი იყო...

- ბოლო წუთზე დამაჯერებლად ვლიდერობდით. ჰოლანდიელებმა ბოლო ნამზე ჩაგვიგდეს სამქულიანი, როცა ყველაფერი დამთავრებული იყო. თავიდან ვაგებდით, მაგრამ მეორე მეოთხედში თამაშში გარდატეხა შევიტანეთ და დიდი შესვენებისთვის სამი ქულით - 40:37 დავწინაურდით. მესამე პერიოდში ჩვენმა უპირატესობამ 15 ქულას მიაღწია და ლიდერობა თამაშის ბოლომდე შევინარჩუნეთ.

- სტატისტიკა ისევ არ დაუთვლიათ?

- ეს არ იყო ოფიციალური ტურნირი. ზვოლეში, ჩვენ გარდა არაერთი ქვეყნის სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრებია ჩამოსული. მათ შორის ავსტრიისა და ისრაელის 18-წლამდელებიც. ტარდება ამხანაგური მატჩები, სტატისტიკას არ ითვლიან. თამაშები დილიდან იწყება და საღამომდე გრძელდება.

- მატჩში ვის გამოარჩევდით?

- ყველამ ბოლომდე იბრძოლა და ვერავის გამოვარჩევ. ჩვენი ლიდერი თორნიკე შენგელიაა და მან ამჯერადაც თქვა თავისი სიტყვა, - ყველა თანაგუნდელი გვერდში ედგა და ეხმარებოდა.

- რამდენად კმაყოფილი ხართ ჰოლანდიური შეკრებით?

- საჭირო შეკრება იყო. ბიჭებმა იმ შრომის ნაყოფი დამანახვეს, რაც თბილისში, შეკრებაზე გავწიეთ. გუნდი ერთიორად შეთამაშებულია და ევროპის ჩემპიონატზეც იმედიანად გავემგზავრებით. თბილისში 4 ივლისს შუადღეს თბილისისკენ გამოვფრინდებით და შეკრებას დიღმის ბაზაზე გავაგრძელებთ.

ვაჟა სიმონიშვილი

ვერსპექტივა

ქართველი ჭაბუკები იტალიურ გარემოცვაში

"სოხუმის" მთავარი მწვრთნელის თანაშემწე **ვაჟა კვარაცხელია** და ორი მისი აღზრდილი ნორჩი კალათბურთელები, 17 წლის **შოთა გოლეთიანი** და 15 წლის **დავით სალაყაია** უკვე ერთი კვირაა, იტალიაში სკოპელოს საკალათბურთო ბანაკში ვარჯიშობენ, სადაც შეკრებილნი არიან იტალიის ბავშვთა და ჭაბუკთა გუნდების საუკეთესო კალათბურთელები. ამის შესახებ გვაცნობა "სოხუმის" პრესსამსახურის უფროსმა **თენგიზ პაჭკორიამ.**

გოლეთიანი (194 სმ) გასულ სეზონში "სოხუმის" ჭაბუკთა გუნდის ღირსებას იცავდა და 18-წლამდელთა შორის საქართველოს ჩემპიონი გახდა. სალაყაია (201 სმ) კი კადეტთა პირველობაზე "ჰიუნდაიში" გამოდიოდა (მწვრთნელი **ნიკო ჩერქეზიშვილი**), შემდეგ კი "სოხუმში" დაბრუნდა.

იტალიელი კალათბურთელის **რომეო საკეტის** (თამაშობდა იტალიის ნაკრებში და "ვარეზეში") სახელობის ბანაკში, Romeo Saccetti basket-camp valsesia, რომელიც 20 წელია, იმართება, კვარაცხელია და მისი აღზრდელები ორგანიზატორებმა მიიწვიეს. გასულ სეზონში საკეტი სარდინიის "სასარის" წვრთნიდა. იგი ამჟამად სკოპელოს ბანაკშია. იქვე ატარებს ვარჯიშებს ამერიკელი მწვრთნელი **ჩარლზ იელვერტონი,** რომელიც იტალიაში ცხოვრობს და ახალგაზრდული კლუბების მწვრთნელად მუშაობს. მან 1978 წელს "ვარეზესთან" ერთად კალათბურთელის რანგში იტალიის ჩემპიონობა მოიპოვა. სხვათა შორის, ჩარლზი **კობი ბრაიანტის** (16 წლამდე ასაკში) ერთ-ერთი მწვრთნელი იყო.

სკოპელოს ბანაკში ასევე მიწვეულია ბოლონიის "ვირტუსის" ახალგაზრდული გუნდის მთავარი მწვრთნელი **დანიელ ფრაბონი.**

კემპში 140 ჭაბუკი მონაწილეობს, რომლებიც 10-14 და 14-17 ასაკობრივ ჯგუფებად იყოფიან. თითოეული მათგანი იტალიის სხვადასხვა ასაკის ჩემპიონატში თამაშობს. ბანაკში მხოლოდ ორი უცხოელია - გოლეთიანი და სალაყაია. ისინი, ვაჟა კვარაცხელიასთან ერთად იტალიიდან 11 ივლისს დაბრუნდებიან.

ვაჟა სიმონიშვილი

ქართული სპორტი

თვის მონაგარი

ივნისი

1. **ფეხბურთი.** თბილისის „დინამომ“ ოფიციალურად წარადგინა ახალი მთავარი მწვრთნელი, ესპანელი **ალექს გარსია**.



1. **რაგბი.** მსოფლიოს ალაფის ჯგუფურ მატჩში საქართველოს ნაკრებმა (20-წლამდელები) 14:29 წააგო იაპონიასთან.

3. **ფეხბურთი.** საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ხორვატიაში ადგილობრივი ნაკრები 1:0 დაამარცხა.

3. **ფეხბურთი.** ევრო 2012-ის შესარჩევ მატჩში საქართველოს ნაკრები ხორვატიასთან 1:2 დამარცხდა.

3-4. **ძიუდო.** ბუქარესტის მსოფლიოს თასზე ქართველებმა 4 მედალი მოიხვეჭეს. ჩემპიონები **ბეთქილ შუკვანი, ავთანდილ ჭრიკიშვილი** და **ზვიად გოგოჭური** გახდნენ, **ზვიად ხანჯალიშვილმა** კი ვერცხლის მედალი მოიპოვა.

5. **რაგბი.** თბილისში მიმდინარე „მსოფლიო ალაფზე“ საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა მე-3 ადგილი დაიკავა, მას მერე, რაც ურუგვაი 20:15 დაამარცხა. ჩემპიონი სამოა გახდა, მეორე ადგილი იაპონიის ნაკრებს დარჩა.

10. **რაგბი.** ირბ-ის ერთა თასზე საქართველო სამხრეთ აფრიკის „კინგსთან“ 17:31 დამარცხდა.

10-12. **ჭიდაობა.** თბილისმა „ოქროს გრან-პრის“ (გივი კარტოზიასა და ვახტანგ ბალავაძის სახელობის) უმასპინძლა.

12. **წყალში ხტომა.** ქართულმა წყვილმა (**ჭოლა ჭანტურია, შოთა კორახაშვილი**) იტალიის გრანპრიზე მე-5 ადგილი დაიკავა.

12. **ფეხბურთი.** ქუთაისის „ტორპედოში“ **ზაზა ზამთარაძისა** და **გიორგი კიკნაძის** მწვრთნელთა დუეტი დაინიშნა.

13. **პროფესიული კრივი. ავთანდილ ხურციძემ** იბო-ს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული დაიცვა, **დიონისიო მირანდა** ნოკაუტით დაამარცხა.

13. **რაგბი.** ფრანგულმა „ეკიპმა“ **მამუკა გორგოძე** საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო ლეგიონერად დაასახელა.

15. **ფეხბურთი. ზურაბ ხიზანიშვილი** ინგლისური „რედინგიდან“ თურქულ „კაისერისპორში“ გადავიდა.

15. **რაგბი.** IRB-ის ერთა თასზე საქართველომ არგენტინის A ნაკრებს 14:13 მოუგო.

17. **ფეხბურთი.** თბილისში მადრიდის „ატლეტიკოს“ პრეზიდენტი **ენრიკე სერესი** იყო, რომელმაც თბილისის „დინამოსთან“ საქმიანი ურთიერთობა გააფორმა.

19. **რაგბი.** ლიონის შვიდკაცაზე საქართველოს ნაკრებმა მე-7 ადგილი დაიკავა.

19. **რაგბი.** ირბ-ის ერთა თასზე რუმინეთში საქართველოს ნაკრებმა ნამიბიას 23:18 მოუგო და საბოლოოდ ტურნირი მე-2 ადგილზე დაასრულა.

19-24. **კრივი.** ანკარაში ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა სამი ბრინჯაო (**ზაალ კვაჭატაძე, ჯაბა ხოსიტაშვილი** და **მიხეილ ბახტიძე**) მოიპოვა.

20. **ჩოგბურთი. ანა ტატიშვილმა** პირველი მატჩი მოიგო კარიერაში „დიდი სლემის“ ტურნირებზე, მან უიმბლდონის პირველ წრეში რუსი **ანასტასია პივოვაროვა** დაამარცხა.

20. **ფეხბურთი.** გაიმართა ევროთასების კენჭისყრა: ჩემპიონთა ლიგაზე „ზესტაფონის“ მეტოქე მოლდოვური „დაჩია“ გახდა, ევროპალიგაზე „დინამოს“ მოლდოვური „მილსამი“ დაუპირისპირდა, „მეტალურგს“ - სომხური „ბანანცი“, „გაგრას“ - კვიპროსული „ანორთოსისი“.

21. **კალათბურთი.** „არმიას“ ახალი თავკაცი **კოტე ტულუშია**.

21-22. **თავისუფალი ჭიდაობა.** ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე საქართველომ 6 მედალი მოიპოვა: 2 ოქრო (**ვლადიმერ ხინჩეგაშვილი, დავით მარსაგიშვილი**), 1 ვერცხლი (**ბექა პეტრიაშვილი**) და 3 ბრინჯაო (**თენგიზ ჩოჩიშვილი, თედორე ებანოიძე, გენო პეტრიაშვილი**). დავით მარსაგიშვილი ტურნირის საუკეთესო მოჭიდავედ დაასახელეს, ნაკრებმა კი რუსეთთან პირველი ადგილი გაიყო.

24. **რაგბი. ზურაბ ჟვანია** ფრანგულ „სტად ფრანსეზი“ გადავიდა.

24-26. **ძიუდო.** კადეტთა ევროპის ჩემპიონატზე მალტაში საქართველოს ნაკრებმა 7 მედალი და მე-2 გუნდური ადგილი მოიპოვა.

24-26. **წყალბურთი.** თბილისში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც საქართველოს ნაკრებმა მოიგო.

25. **ფეხბურთი.** ჩატარდა სფფ-ის ყრილობა, სადაც აღმასკომის ახალი წევრები აირჩიეს.

25. **რაგბი.** მოსკოვის შვიდკაცაზე საქართველოს ნაკრებმა მე-4 ადგილი დაიკავა.

25. **რაგბი.** საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა რუმინეთში „შავი ზღვის თასი“ მოიგო. ფინალში ჩვენმა გუნდმა მასპინძლებს 27:8 მოუგო.

25-26. **ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ჩვენმა ნაკრებმა 4 მედალი მოიპოვა, 2 ვერცხლი (**ნიკა ცეცხლაძე, საჩინო დავითაია**) და 2 ბრინჯაო (**ზურაბ დათუნაშვილი, სანდრო დიხამინჯია**).

27. **სუმო. ტოჩინოშინი** (**ლევან გორგაძე**) ოფიციალურად გახდა კომუსური.

29. **ფეხბურთი. ოთარ მარცვალაძე** ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგადან“ „კრასნოდარში“ 3 წლით გადავიდა.

30. **სამბო.** ფედერაციის ახალი პრეზიდენტი **თემურ გიორგაძეა**.

30. **ფეხბურთი.** ევროპალიგის საკვალიფიკაციო მატჩში „დინამომ“ „მილსამი“ 2:0 დაამარცხა, ხოლო „მეტალურგმა“ - „ბანანცი“ - 1:0.

ნიკოლოზ ნეფარიძემ

რაგბი

მსოფლიოს თასი

ახალი ზელანდიისთვის მზადება დაიწყო

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა დღეს ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიოს თასისთვის მზადება დაიწყო. „ბორჯღალოსნები“ სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ დაბანაკდნენ და ვარჯიშებს „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ ჩაატარებენ.

ჩვენი ეროვნული გუნდი ავსტრალიელი სპეციალისტის, ფიზმომზადების მწვრთნელის, **გერეთ ადამსონის** ხელმძღვანელობით თბილისში ორი კვირის განმავლობაში ივარჯიშებს. მას მთავარი მწვრთნელის **რიჩი დიქსონის** ასისტენტი **ილია მაისურაძე** დაეხმარება. დიქსონი თბილისში 11 ივლისს ჩამოვა და საწვრთნელ პროცესს გაუძღვება.

„ბორჯღალოსნები“ 18 ივლისს საფრანგეთში, ქალაქ კანში გაემგზავრებიან, სადაც ერთ კვირას ისევ ფიზმომზადებას დაუთმობენ. მერე კი **ჯონ მაგლტონისა** და **დონ კასკის** განკარგულებაში გადავლენ. საფრანგეთში საქართველოს ნაკრები ორ საწვრთნელ შეხვედრას გამართავს ელიტური, პირველი დივიზიონის გუნდებთან.

თბილისში მზადების პერიოდში, ჩვენი გუნდი ორ ღია ვარჯიშს ჩაატარებს, რომელზეც ჟურნალისტებთან ერთად დასწრების უფლება ქომაგებსაც ექნებათ.

საქართველოს ნაკრები ახალი ზელანდიისკენ გეზს 3 სექტემბერს აიღებს. ჩვენს ეროვნულ გუნდს იქ პირველი სერიოზული გამოცდა 14 სექტემბერს ელის. ინვერქარგილში, ჯგუფური ტურნირის პირველ მატჩში, „ბორჯღალოსნები“ შოტლანდიის ნაკრებს დაუპირისპირდებიან.

ამასობაში კი მსოფლიოს თასის ორგანოზატორებმა მატჩზე დასასწრები ბილეთების ბოლო პარტია გამოიტანეს გასაყიდად. სარეალიზაციოდ 700 ათასი ბილეთია დარჩენილი. დღემდე გაყიდულია 900 ათასი ბილეთი, რომლის საერთო ღირებულება 200 მილიონი დოლარია.

როგორც საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელმა **მარტინ ნედანმა** თქვა, ყველაზე ძვირი ბილეთები თითქმის გაყიდულია. ახლა შედარებით იაფი ბილეთების ჯერია, რომლებიც, სავარაუდოდ, უახლოესი ორი კვირის განმავლობაში სრულად უნდა გაიყიდოს.

საქართველოს ნაკრები

პირველი ხაზი: **დავით ხინჩაგიშვილი, ვასილ კაკოვინი (ორივე-ბრივი), აქვსენტი გიორგაძე (კასტრი), ჯაბა ბრეგვაძე (ყოჩები), გოდერძი შველიძე (მონპელიე), დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი).**

მეორე ხაზი: **ლევან დათუნაშვილი (ორიაკი), ილია ზედგინიძე (კარკერენი), ვახტანგ მაისურაძე (ლა სეინი), გიორგი ნემსაძე (მონტობანი)**

მესამე ხაზი: **მამუკა გორგოძე, გიორგი ჩხაიძე (ორივე-მონპელიე), ზვიად მაისურაძე, გივი ბერიშვილი (ორივე-ლოკომოტივი), შალვა სუთიაშვილი (მასი), დიმიტრი ბასილაია (ობენა), ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი).**

№9: **ირაკლი აბუსერიძე (ოსერი), ბიძინა სამხარაძე (არმია), გიორგი ბეგაძე (ყოჩები)**

№10: **მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟინიენი), ლაშა მალაღურაძე (ბეზიე), ლაშა ხმალაძე (ლელო)**

№12-13: **დავით კაჭარავა (ნიცა), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), რეზო გიგაური (ფიჟაკი), ალექსანდრე თოდუა (ლელო)**

№11-14: **ირაკლი მაჩხანელი (სენტ ეტიენი), ლექსო გუგავა (ლელო), ირაკლი ჩხიკვაძე (აია)**

№15: **მალხაზ ურჯუკაშვილი (გურდო).**

მსოფლიოს თასი

B ჯგუფში

14 სექტემბერი

საქართველო-შოტლანდია

18 სექტემბერი

საქართველო-ინგლისი

28 სექტემბერი

საქართველო-რუმინეთი

2 ოქტომბერი

საქართველო-არგენტინა

ბესიკ ჯანგავაძე

ზე რაგბი

ფინალი: წითლები-ჯვაროსნები

ზე რაგბის გათამაშება დასასრულს მიუახლოვდა. ფინალში, როგორც მოსალოდნელი იყო, ზეპური რაგბის ყველაზე ტიტულოვანი ახალზელანდიური გუნდი, ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზი“ და წლეულს რეგულარულ გათამაშებაში შესანიშნავად მოთამაშე ბრისბენის „რედსი“ გავიდნენ.

ბრისბენელებმა ნახევარფინალში შინ ახალი ზელანდიის კიდევ ერთი უძლიერესი კლუბი, ოქლენდის „ბლუზი“ დაამარცხეს - 30:13. „წითლებმა“ მეტოქის ვარსკვლავებით მოჭედილ გუნდს შანსი არ დაუტოვეს. თავად განსაჯეთ, „ბლუზში“ ახალი ზელანდიის ნაკრების ლამის ნახევარი თამაშობს - **ჯო როკოთოკო, ლუკ მაკალისტერი, კევინ მეალამუ, ჯონ აფოა, ალი ვილიამსი, ჯერომ კაინო** „ოლ ბლექსის“ წამყვანი მოთამაშეები არიან, რომებსაც შინაურ კედლებში მსოფლიოს თასის მოგების ყველაზე მეტი პრეტენზია აქვთ.

„რედსმა“ მეტოქეს ოთხი ლელო გაუტანა, საპასუხოდ კი მხოლოდ ერთი მიიღო. ოთხიდან ორი ლელო მასპინძლებმა პირველ ტაიმში მიითვალეს და მშრალი ანგარიშით 15:0-ს იგებდნენ. „ბლუზმა“ მეტოქის ჩათვლის მოედანში მხოლოდ ტაიმის ბოლო წუთზე შეაღწია და ანგარიშში სხვაობა რვა ქულამდე შეამცირა.

მეორე ტაიმში ვითარება არ შეცვლილა. ბრისბენელები მატჩის მსვლელობას ყურადღებით აკონტროლებდნენ და სტუმრებს კიდევ ორი უპასუხო ლელო აგემეს. მატჩის გმირი კი უდავოდ ავსტრალიელთა გარემარბი **როდ დევისი** იყო, რომელმაც სამი ლელო გაიტანა. შესანიშნავად ითამაშა მგეზავმა **ქუადე კუპერმაც,** რომლის ანგარიშზეც ორი გარდასახვა, თითო არეკნი და საჯარიმოა.

„რედსი“ ფინალში შინ ითამაშებს ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზთან“, რომელმაც სტუმრად მოუგო დღეისთვის საუკეთესო სამხრეთაფრიკულ გუნდს, კეიპთაუნის „სტორმერზს“ - 29:10. „ჯვაროსნებმა“ ერთი შეხედვით იოლად დაჩაგრეს მასპინძლები. მაგრამ რეალურად, მათი წარმატების მთავარი მიზეზი დაცვაში უშეცდომო თამაშია. ქრაისთჩერჩელები კეიპთაუნელების შემოტევებს კარგად იგერიებდნენ და საკუთარ შანსს ხელიდან არ უშვებდნენ. ამდენად 30-ე წუთისთვის „კრუსეიდერზი“ მეტოქეს 23:3-ს უგებდა.

მეორე ტაიმში „სტორმერზს“, ფაქტობრივად, აღარ უბრძოლია. „კრუსეიდერზის“ შემადგენლობაში ყველაზე შედეგიანი მგეზავი **დენ კარტერი** იყო, რომელმაც გუნდს 19 ქულა მოუტანა (ხუთი საჯარიმო და ორი გარდასახვა).

ნახევარფინალი

სტორმერზი-კრუსეიდერზი	**10:29**
რედსი-ბლუზი	**30:13**

ფინალი

რედსი-კრუსეიდერზი

ბესიკ ჯანგავაძე

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოსპორტი

ჟილბერმა ყვითელი მაისურა მოიგო

მარათონი დაიწყო

ტურ დე ფრანსმა წელს ტრადიციას უღალატა - ველომარათონი არა პროლოგით ან დროზე გუნდური რბოლით, არამედ ჩვეულებრივი ეტაპით გაიხსნა, რითაც სპრინტერებს ყვითელი მაისურისთვის ბრძოლის საშუალება მიეცათ. თუმცა დისტანციის სწორი მონაკვეთი მეოთხე კატეგორიის საკმაოდ რთული ამაღლებით სრულდებოდა, რასაც, შესაძლოა, ხელი შეეშალა მსოფლიოს საუკეთესო სპრინტერისთვის - **მარკ კევენდიშისთვის**.

პირველ ეტაპებზე ველომრბოლები მაინცდამაინც არ იკლავენ თავს გაქცევებით. ამჯერად სიტუაციის „ამრევი" სამი იყო: ჰოლანდიელი **ლიუვე ვესტრმა** და ფრანგები - **ჟერემი რუა** და **პერიგ კამენერი**. მათი მაქსიმალური უპირატესობა პელოტონთან ექვს წუთს შეადგენდა.

ფინიშამდე დაახლოებით 100 კილომეტრით ადრე სპრინტერულმა გუნდებმა ტემპი გაზარდეს და თავიანთი ლიდერებისთვის შეტევის მომზადება დაიწყეს, საშუალედო ფინიშებზე კი ძირითადი ფინიშის რეპეტიციაც გამართეს.

შემდეგ პელოტონის თავში „ლოტოს" წევრები გააქტიურდნენ. ამ გუნდის ლიდერს, ბელგიის ახალ ჩემპიონ **ფილიპ ჟილბერს** ყველაზე მეტად აწყობდა ასეთი პროფილის ფინიში. მაგრამ ძირითადი ჯგუფის დაბალი ტემპის გამო გაქცეულები კარგა ხანი ინარჩუნებდნენ კომფორტულ უპირატესობას. თუმცა იმაშიც არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ დაწინაურებული სამეული ამ შემადგენლობით ფინიშამდე ვერ მიაღწევდა.

სხვაობამ ბოლო 50 კილომეტრზე დაიწყო შემცირება, 30 კილომეტრით ადრე ლიდერთა უპირატესობა წუთამდე დავიდა, კიდევ ათი კილომეტრით ადრე კი ტრიო პელოტონს შეუერთდა, გამარჯვების პრეტენდენტმა გუნდებმა კი თავიანთი ლიდერების პელოტონის თავში გაყვანა დაიწყეს.

ფინიშამდე შვიდი კილომეტრით ადრე მოხდა ინციდენტი, რომელმაც მთელს რბოლაზე იქონია გავლენა. ყაზახური „ასტანას" ერთ-ერთი წევრი ტრასაზე გამოსულ მაყურებელს შეეჯახა და ნახევარი პელოტონი დომინოს ქვებივით მიწვა ასფალტზე. შედეგად, ძირითადი ჯგუფის დიდი ნაწილი ლიდერებს მოკვეთილი აღმოჩნდა. **ივან ბასო, სამუელ სანჩესი** და **ალბერტო კონტადორი** იძულებულნი აღმოჩნდნენ გრეგარების გარეშე პირადად ჩადგომოდნენ სათავეში დევნას. კონტადორისთვის ნუგეში ის იყო, რომ ჩამორჩენილებს შორის აღმოჩნდა ამ ტურზე მისი მთავარი კონკურენტი - **ანდი შლეკი**. სამაგიეროდ, ამერიკულმა გუნდებმა - „ბიემსიმ" და „რადიოშეკმა" დაწინაურებულთა ჯგუფში შეინარჩუნეს საკუთარი ლიდერები, შემდეგ კიდევ უფრო გაზარდეს ტემპი.

30 კაცამდე შემცირებულ ლიდერთა ჯგუფში პირველი შეტევები ფინიშამდე ორი კილომეტრით ადრე დაიწყო. ჯერ **ალექსანდრ კოლობნევმა** შეუტია, შემდეგ მისმა სეხნია **ალექსანდრ ვინოკუროვმა**, თუმცა ორი თანაგუნდელის გარემოცვაში მყოფმა ჟილბერმა ეს ყველაფერი რეაგირების გარეშე დატოვა, ბოლოს კი მსოფლიო რეიტინგის ლიდერმა **ფაბიან კანჩელარასთან** ერთად შტურმი დაიწყო და მისი შემჩერებელი არავინ ჩანდა. ფაბიანმა ამ მთას ბოლომდე ვერ გაუძლო, ჟილბერმა კი წლევანდელ ტურზე საკუთარი გამარჯვებების ანგარიში გახსნა.

პირველი ეტაპის მეორე გამარჯვებული გახდა ავსტრალიელი **კეიდელ ევანსი**, რომელიც მეორე მივიდა ფინიშთან და საერთო ჩათვლაში თავის კონკურენტებთან წუთზე მეტი ფორა მიიღო. მსოფლიოს ჩემპიონი **ტორ ჰუშოვდი** მესამე იყო.

I ეტაპი. 191 კმ

1. **ფილიპ ჟილბერი** (ბელ, OLO) - 4.41,31; 2. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - +0,03; 3. **ტორ ჰუშოვდი** (ნორ, GRM) - +0,06; 4. **ხოსე როხას ხილი** (ესპ, MOV) - იგივე დრო; 5. **იურგენ ვან დენ ბრუკი** (ბელ, OLO) - იგივე დრო; 6. **ჯენარტ ტომასი** (ბრიტ, SKY) - იგივე დრო; 7. **ანდრეას კლიოდენი** (გერ, RSH) - იგივე დრო... 10. **ტონი მარტინი** (გერ, THR) - იგივე დრო... 12. **ფრანკ შლეკი** (ლუქ, LEO) - იგივე დრო... 15. **დამიანო კუნეგო** (იტა, LAM) - იგივე დრო... 32. **სამუელ სანჩესი** (ესპ, EUS) - +1,20... 35. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, SBS) - იგივე დრო... 39. **ანდი შლეკი** (ლუქ, LEO) - იგივე დრო... 45. **ლევი ლაიპჰაიმერი** (აშშ, RSH) - იგივე დრო... 53. **ივან ბასო** (იტა, LIQ) - იგივე დრო... 63. **ბრედლი ვიგინსი** (ბრიტ, SKY) - იგივე დრო... 74. **რომან კროიციგერი** (ჩეხ, AST) - +1,55...

ჩოგბურთი

არგენტინამ ნალბანდიანი დაკარგა

არგენტინელი ჩოგბურთელი **დავიდ ნალბანდიანი** ვერ დაეხმარება თავის გუნდს დევისის თასის მეოთხედფინალში ყაზახეთის წინააღმდეგ. ეს მატჩი 7-9 ივლისს ბუენოს აირესში გაიმართება.

როგორც სააგენტო „როიტერი" იტყობინება, უიმბლდონის ყოფილ ფინალისტს ფეხის ტრავმა აწუხებს, რომელიც ლონდონის კორტებზე როჯერ ფედერერთან მატჩის დროს მიიღო. ნალბანდიანის ექიმის თქმით, ჩოგბურთელისთვის უმჯობესია მცირე შესვენება აიღოს და ერთი კვირა თავი შეიკავოს კორტზე გასვლისგან.

„ეს ჩვენთვის სერიოზული დანაკლისია. რა თქმა უნდა, უფრო მშვიდად ვიქნებოდით, დავიდს კორტზე გასვლა რომ შეძლებოდა", - განაცხადა არგენტინის ნაკრების კაპიტანმა **ტიტო ვასკესმა**.

ნალბანდიანს შემადგენლობაში **ედუარდო შვანკი** შეცვლის, რომელიც შეუერთდება მანამდე გამოძახებულ **ხუან მარტინ დელ პოტროს, ხუან იგნასიო ჩელასა** და **ხუან მონაკოს**.

კრივი. სატიტულო ბრძოლა

დიდი ვერაფერი სანახაობა

კლიჩკოების ოჯახი მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი გახდა

ასრულდა ძმები **კლიჩკოების** ოცნება - ყველა პრესტიჟული საკრივო ვერსიის საჩემპიონო ქამარი უკრაინელთა საკუთრება გახდა. საოჯახო კოლექციის შესავსებად მათ WBA-ის ტიტული აკლდათ. ამისთვის შაბათს, გვიან ღამით **ვლადიმერ კლიჩკოს** ბრიტანელი **დეივიდ ჰეის** დამარცხება სჭირდებოდა.

ბრძოლას ქალაქ ჰამბურგის საფეხბურთო არენა მასპინძლობდა. საკრივო საღამოს გმირები რინგზე მსოფლიო კრივის ლეგენდებმა - **ლენოქს ლუისმა** და **ჯორჯ ფორმენმა** გამოიყვანეს. შოუ ოდნავ გაიწელა, რადგან ჰეიმ საკმაო ხანი ალოდინა პუბლიკა, სამაგიეროდ, იმ დროისთვის წვიმა შეწყდა და ყველაფერი მზად იყო ბრძოლის სტარტისთვის.

პირველივე რაუნდიდან კლიჩკომ ჰეის შევიწროება დაიწყო, ბრიტანელი კი თავის უნარიანი მოძრაობით იცილებდა დარტყმებს და თან მუდმივად ემუქრებოდა მეტოქეს მარჯვენა ხელით. თუმცა ისიც შესამჩნევი იყო, რომ დევიდი ღია ბრძოლაში ჩართვას არ აპირებდა და მთლიანად დაუთმო მოწინააღმდეგეს სივრცე. პირველი წუთ-ნახევარი დაზვერვას მოხმარდა, შემდეგ კი ჰეიმ დახრილი თავით რამდენჯერმე შეტევა სცადა.

მეორე რაუნდის დასაწყისში კლიჩკომ მარჯვნიდან სუსტად მოარტყა ბაგირებთან მიმწყვდეულ ჰეის, შემდეგ კი მიზანს მიაღწია უკრაინელის ორმაგმა დარტყმამ. რაუნდის ბოლოს დევიდმა კარგად მოიგერია მეტოქის დარტყმები. ვლადიმერი ცდილობდა ერთ ადგილზე არ მდგარიყო, ამიტომაც მარჯვენა ხელით თავისი საფირმო ჯები მაინცდამაინც არ გამოსდიოდა.

ჰეისთვის უფრო წარმატებული გამოდგა მესამე რაუნდი. თავდაპირველად ის როგორლაც „მიეპარა" უკრაინელს და მარჯვნიდან ზუსტად მოარტყა, შემდეგ კიდევ ერთხელ გავიდა მისი დარტყმა, თუმცა ბოლოს ბაგირებთან მიიმწყვდიეს და შეტევის გაგრძელება არ გამოუვიდა.

მეოთხე რაუნდში ბრიტანელი აშკარად პასიური იყო და მხოლოდ ფინტები და შესაშური მოქნილობა გვიჩვენა. გარკვეული ხანი ჯებით მუშაობას ცდილობდა, მაგრამ დიდი წარმატებისთვის არ მიუღწევია. მიუხედავად ამისა, ბოლოსკენ მან სამი მეტ-ნაკლებად ზუსტი შეტევა განახორციელა, თუმცა ყოველ ჯერზე ვლადიმერი დროულად იხევდა უკან.

ასევე პასიურად დაიწყო ჰეიმ მეხუთე სამწუთიული. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ბრიტანელი რაუნდის დასაწყისში ცდილობდა უკრაინელის დაღლას და ბოლოსკენ აქტიურობთ აპირებდა რაუნდის მოგებას. თუ თავიდან ჰეი კლინჩში მუშაობისას პასიური იყო, ამჯერად მოულოდნელად მჭიდროდ მიეკრო მეტოქეს. ბოლო წუთზე დევიდი ოდნავ შეყოვნდა ერთ ადგილას და საკმაოდ მძლავრი დარტყმა მოხვდა თავში. მოგვიანებით, ბრიტანელმა აკრობატულ ნახტომში სცადა მარჯვენა გრძელი დარტყმით მეტოქის შეწუხება, მაგრამ რინგზე დაეცა. დაახლოებით იგივე მოხდა მომდევნო რაუნდში. ამასობაში, კლიჩკოს ლოყაზე მცირე ჭრილობა გაუჩნდა, თუმცა შესვენებაზე სეკუნდანტებმა სისხლის დენა შეაჩერეს.

ბრძოლის პირველ ნახევარში ჰეი ხშირად აპელირებდა რეფერის მისამართით კლიჩკოს „ჭუჭყიანი" კლინჩების გამო. სინამდვილეში, ის სპეციალურად იხრებოდა უკრაინელის წინ, რათა ეს უკანასკნელი თავზე დასცემოდა მეტოქეს. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ვლადიმერი რამდენჯერე მართლაც უხეშად დაეცა სხეულით ჰეის, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ბრიტანელის რინგზე დაცემა სიმულაციით იყო გამონვეული. დევიდისა და მისი გუნდის აქტიური ზეწოლით რეფერიმ ვეღარ მოითმინა და კლიჩკოს გაფრთხილება მისცა.

მერვე რაუნდმა საკმაოდ მშვიდად ჩაიარა. მეცხრეში ჰეიმ ისევ დახრილი თავით სცადა მეტოქის პროვოცირება, მაგრამ უკრაინელმა მოულოდნელად თავში მარჯვენა ჭუკით უპასუხა ბრიტანელს. მეათე რაუნდში ჰეი თითქმის აღარ უტევდა და მუდმივად რინგზე ეცემოდა. ერთადერთი, რაც მან მოახერხა, კლინჩში შესვლა და კეფაში რამდენიმე დარტყმა იყო.



ჰეი ბევრჯერ დაეცა

მე-11 რაუნდში რეფერის მობეზრდა ჰეის გაუთავებელი წაქცევები და, როგორც იქნა, დამსახურებული ნოკდაუნი დაუთვალა მას. დევიდი ხვდებოდა, რომ ქულებით უიმედოდ აგებდა და ბოლო რაუნდში გააქტიურდა. კლიჩკომ გადაწყვიტა რისკი მინიმუმამდე დაეყვანა, ამიტომაც ნახევარი რაუნდი კლინჩში გაატარა. მიუხედავად ამისა, დარტყმების რაოდენობით მან ეს სამი წუთიც მოიგო.

ბრძოლის დასრულების შემდეგ სამივე მსაჯმა ერთხმად დააფიქსირა ქულებით კლიჩკოს დამაჯერებელი გამარჯვება - 118:108, 117:109 და 116:110. ეს იყო აბსოლუტურად დამსახურებული შედეგი, რადგან ჰეის ნოკდაუნის ერთი რეალური ხიფათიც არ შეუქმნია უკრაინელისთვის.

ასე რომ, ძმები კლიჩკოები ოთხი ძირითადი ვერსიით საჩემპიონო ქამრების მფლობელები არიან. ვლადიმერს ეკუთვნის სუპერმძიმე წონაში WBA-ის, WBO-ისა და IBF-ის ტიტულები, ვიტალის - WBC-ის ქამარი. ამით ისინი ყველაზე პრესტიჟულ წონით კატეგორიაში აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულს იყოფენ.

■ ■ ■

რაც შეეხება ბრძოლის სტატისტიკას, კლიჩკომ 509 დარტყმა შეასრულა, რომელთაგანაც 134 (26 პროცენტი) იყო ზუსტი, ჰეის ანალოგიური მაჩვენებლები გახლდათ - 290 დარტყმა და მხოლოდ 72 ზუსტი (25%).

ძალისმიერი დარტყმების მხრივ უპირატესობა ჰეის ჰქონდა, რომელმაც 119-ჯერ „გაისროლა" და 36-ჯერ ზუსტად, უკრაინელის 133 დარტყმიდან კი მიზანს მხოლოდ 29-მ მიაღწია. ჯებების სტატისტიკა: კლიჩკო 376 დარტყმა (105 ზუსტი), ჰეი - 171 (36).

■ ■ ■

„ვგრძნობდი, რომ შემეძლო ვლადიმერის შეტევების კონტროლი, მაგრამ სრულფასოვანი იერიშის საშუალება არ მქონდა, რადგან სამი კვირის წინ მარჯვენა ფეხზე თითი მოვიტეხე. სწორედ ამ მიზეზით შევწყვიტე სპარინგები ვადაზე ადრე.

ვხედავდი ვლადიმერის ყბას და მზად ვიყავი იქ ზუსტად მომერტყა, მაგრამ მკვეთრი მოძრაობა მაკლდა, რადგან თითი მაწუხებდა. მეგონა, რომ ადგილობრივი ანესთეზია დამეხმარებოდა ტკივილის დაძლევაში, მაგრამ არ მიშველა. ვფიქრობდით ბრძოლის გადადებას, მაგრამ გადავწყვიტე არ დამეღალატებინა ჩემი ფანები, რომლებიც გერმანიაში სპეციალურად ამ ბრძოლისთვის ჩამოვიდნენ.

ვლადიმერი დიადი მებრძოლია. ის დღეს მართლაც ძალიან კარგი იყო. კლიჩკო ჩემზე თითქმის 14 კილოგრამით მძიმეა, თუმცა წონაში სხვაობას პრაქტიკულად ვერ ვგრძნობდი. მეჭირა მისი დარტყმები და მათგან ტკივილს ვერ ვგრძნობდი. ჩემი აზრით, დავადასტურე, რომ კარგი მოკრივე ვარ.

ტრავმები მთელი ჩემი კარიერის განმავლობაში მაწუხებს. ძალიან ძლიერი ვარ და რომ არა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, კლიჩკოს ბოლოს მოვუღებდი. მაგრამ დღეს არ იყო ჩემი საღამო. ტრავმის გამო სრულფასოვნად ჩხუბი არ შემეძლო. სპეციალურად ხელების ჩამოშვება მიწევდა იმისთვის, რომ მეტოქე ახლოს მოსულიყო, რადგან დისტანციაზე ბრძოლას ვერ ვახერხებდი. მაგრამ ის მიახლოებას თავიდან იცილებდა, გონიერი ბრძოლა ჩაატარა და ქულებით მოიგო", - განაცხადა ჰეიმ.

„ჰეი ძალიან ფრთხილი იყო, ამიტომაც ზუსტი დარტყმების შესრულება გაჭირდა. დაახლოებით ისე მოქმედებდა, როგორც თავის დროზე სულთან იბრაჰიმოვი. ჩხუბი მინდოდა, მაგრამ ვერ ჩავიგდე ხელში. სიამოვნებით ვი ზეიმებდი კარიერაში 50-ე ნოკაუტს. სამწუხაროდ, არ გამოვიდა", - მოკლე კომენტარი ჰქონდა კლიჩკოს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● კალათბურთი

ვინ რას აპირებს

დირკი ნოვიცკის ფორმაში

ლოკაუტის გამოცხადების შემდეგ ყველაზე აქტუალურ საკითხად იქცა NBA-ის მოთამაშეთა მომავალი კარიერა და ზაფხულში მათი სავარჯიშო პირობები. საზაფხულო ბანაკები გაუქმებულია, ევროპის ჩემპიონატების დაწყებამდე კი ჯერ კიდევ დიდი დროა დარჩენილი, თანაც ბევრს არ აქვს „ბებერ კონტინენტზე" გადმობარგების სურვილი. რამდენიმე ცნობილი კალათბურთელი ლოკალურ საზაფხულო ლიგებში გაქცევას აპირებს: Yahoo! Sports იტყობინება, რომ **კევინ დურანტი, რონ არტესტი, მაიკლ ბიზლი** და **ჯეი არ სმიტი** ლოს ანჯელესში Drew League-ის მატჩებში მიიღებენ მონაწილეობას.

უკვე გამოჩნდნენ ევროპაში წამსვლელი პირველი მერცხლები. ლიტველი **დარიუს სონგაილა**, რომელმაც შარშანდელი სეზონი „ფილადელფიას" სათადარიგოთა სკამზე გაატარა, „ლეტუვოს რიტასში" ჩაირიცხა. შეიძლება თამამად ვივარაუდოთ, რომ 33 წლის კალათბურთელი NBA-ში აღარ დაბრუნდება.

კობი ბრაიანტს მეორე სამშობლოში - იტალიაში თამაშს უწინასწარმეტყველებენ, თუმცა „ლეიკერსის" ვარსკვლავმა ლოკაუტის დროს ჩინეთში წასვლა გადაწყვიტა. მასთან ერთად იქნებიან ვეტერანი თანაგუნდელი **დერეკ ფიშერი** და 2011 წლის დრაფტის მეორე ნომერი **დერიკ უილიამსი**. საქმე ისაა, რომ სამივეს ერთი აგენტი ჰყავთ - **რობ პელინკი**. ჩინელებს კი გრანდიოზული გეგმები აქვთ: თავდაპირველად მათ NBA-ის რამდენიმე ვარსკვლავის ტურნე აქვთ ჩაფიქრებული, შემდეგ კი მათი გუნდებში გადანაწილება და ეროვნულ ჩემპიონატში ჩართვა.

მოკლედ კიდევ რამდენიმე ვარსკვლავზე: **პაუ გასოლს** გაფიცვის დროს სამშობლოში სურს თამაში, თუმცა ალტერნატიულ ვარიანტად აქაც ჩინეთი სახელდება, **დირკ ნოვიცკის** აქტიურად ეპატიჟებიან მიუნხენის „ბაიერნში", **ლუის სკოლა** კი არ აპირებს არგენტინაში დაბრუნებას.

■ ■ ■

თუმცა გუშინ თავად დირკმა უარყო უახლოეს ხანში ევროპაში დაბრუნება. *„იმედი მაქვს, ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებას გააფორმებენ და სეზონი ჩატარდება. „დალასში" კიდევ სამი-ოთხი წელი ვაპირებ თამაშს"*, - განაცხადა გერმანელმა ვარსკვლავმა.

გარდა ამისა, ნოვიცკიმ კიდევ ერთხელ დაადასტურა ევრობასკეტზე თამაშის სურვილი: *„ვფიქრობ, ლიტვაში მიხილავთ. მინდა ჩემს ნაკრებს ოლიმპიადაზე მოხვედრაში დავეხმარო. ერთადერთი, რამაც შეიძლება ხელი შემიშალოს, ჯანმრთელობის მდგომარეობაა. უკვე ერთი კვირაა ვირუსული ინფექცია მაწუხებს. თუ ასი პროცენტით არ ვიქნები მზად, მოედანზე არ გავალ"*.

დირკმა ჟურნალისტების წინაშე დაიტრაბახა, რომ „დალასის" გაჩემპიონების შემდეგ ლეგენდარულმა **მუჰამედ ალიმ** მას მოკრივის ხელთათმანი გაუგზავნა წარწერით - „შენ უდიადესი ხარ".

ნოვიცკი ვალში არ დარჩენილა და კრივის ლეგენდას იმავე წარწერით საკალათბურთო ბურთი აჩუქა.

■ ■ ■

ბრაიანტის შესახებ კიდევ ერთი, მეტად უცნაური ინფორმაცია გავრცელდა. ერთ-ერთი ამერიკული გაზეთი წერს იმის შესახებ, რომ ოჰაიოელი ქალბატონი, ვინმე **სელინა მილერი** სასამართლოში უჩივის კობის იმის გამო, რომ მან პირობა არ შეასრულა და მასზე არ იქორწინა! ინფორმაციაში არ წერია, კარგა ხნის დაქორწინებულ ბრაიანტს როგორ უნდა მოეყვანა მეორე ცოლი. არც ისე არის ცნობილი, როგორ შეიძლება არ იცოდე NBA-ის უპირველესი ვარსკვლავის ოჯახური მდგომარეობის შესახებ.

■ ■ ■

გაზეთ „დენვერ პოსტის" ცნობით, ბრაზილიელმა ცენტრმა **ნენე ილარიომ** „დენვერში" დარჩენა გადაწყვიტა. ლოკაუტის დასრულების შემდეგ ის „ნაგეტსთან" ახალ კონტრაქტს გააფორმებს, ოღონდ გასარკვევი ის არის, ეს ლოკაუტი როდის დამთავრდება.

მარიხუანა პოპულარულია

ხოსე ორტისი

კალათბურთელების მარიხუანით გართობა ახალი ამბავი არ არის და გასულ უქმეებზე ამ თემასთან დაკავშირებით ორი სიახლე გავრცელდა. პირველი შეეხება ამერიკელ ფორვარდ **ჯეიმს გისტს**, რომელმაც შარშანდელი სეზონი ბელგრადის „პარტიზანში" ითამაშა, ცოტა ხნის წინ კი თურქეთის ჩემპიონ „ფენერბაჰჩესთან" გააფორმა კონტრაქტი. კალათბურთელი მარიხუანას მიღებაში გამოიჭირეს და ახლა მას ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია ემუქრება.

24 წლის გისტს ნიჭიერ, მაგრამ ზარმაც კალათბურთელად მიიჩნევენ. თავის დროზე საჩემპიონო „სან ანტონიოში" აქვს ნათამაშები. შეუძლია ნახტომის შესრულებისას ფარს უკბინოს (!), მაგრამ არამდგრადი ხასიათის გამო ხშირად იცვლის კლუბებს, რასაც მხოლოდ ერთი ახსნა მოეძებნება: ვერ ამარცხებს სიზარმაცესა და მავნე ჩვევებს.

■ ■ ■

დიად **ხოსე ორტისს** კი უფრო სერიოზული პრობლემები აქვს. როგორც ირკვევა, პუერტო რიკოსა და მსოფლიო კალათბურთის ლეგენდას პოლიციამ მარიხუანას 218 (!) ბუჩქი აღმოუჩინა. გარდა ამისა, ვეტერანის სახლის ჩხრეკისას ორი შაშხანაც იქნა ამოღებული.

სასამართლოზე ორტისმა საზოგადოებრივი დამცველი მოითხოვა, რადგან კერძო ადვოკატის დასაქირავებელი ფული არ აღმოაჩნდა.

● ევროპული ამბები

იგორ რაკოჩევიჩი

დოპინგ-სკანდალში გახვეული ბერძენი ცენტრი **იანის ბურუსისი** ტოვებს „ოლიმპიაკოსს" და თავისუფალი აგენტი ხდება. საინტერესოა, სად გააგრძელებს კარიერას ეს კარგი მოთამაშე, მაგრამ უსიამოვნო პიროვნება - ბერძნული პრესა დარწმუნებულია, რომ საბერძნეთის ლიგაში ბურუსისს ვეღარ ვიხილავთ.

■ ■ ■

Eurobasket.com-ის ინფორმაციით, ფრანგულმა „ვილერბანმა" ერთნლიანი კონტრაქტი გააფორმა ამერიკელ ცენტრ **ჰილტონ არმსტრონგთან**, რომელმაც გასული სეზონი „ატლანტაში" დაასრულა.

„ვილერბანი" ევროპულ გრანდებს არ განეკუთვნება და ეს შენაძენი მისთვის წესით მნიშვნელოვანი უნდა იყოს.

■ ■ ■

იგივე წყარო აქვეყნებს ცნობას იმის შესახებ, რომ სტამბოლის „ეფეს პილსენი" გამოეთხოვა 33 წლის ჩერნოგორიელ **იგორ რაკოჩევიჩს**, რომელიც, თავის დროზე, ორჯერ გახდა ევროლიგის საუკეთესო სნაიპერი. თუმცა ამ კალათბურთელზე წამყვან ევროპულ კლუბებში დიდი მოთხოვნაა, ასე რომ, რაკოჩევიჩი დიდი ხანი უმუშევარი არ დარჩება.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

● ცხელი ხაზი

ფეხბურთი

კოპა ამერიკა

არგენტინა-ბოლივია	1:1
კოლუმბია-კოსტა რიკა	1:0
ბრაზილია-ვენესუელა	0:0
პარაგვაი-ეკვადორი	0:0

მს. ჩემპიონატი

ქალები

ჩრ. კორეა-შვედეთი	0:1
აშშ-კოლუმბია	3:0
ავსტრალია-ეკ. გვინეა	3:2
ბრაზილია-ნორვეგია	3:0

მს. ჩემპიონატი

UNDER 17

ურუგვაი-უზბეკეთი	2:0

ამხანაგური მაჯრები

ჰრადეცი-ვლაშიმი	3:2
ბოჰემიანსი-დუკლა	1:0
სლოვანი-ლომბარდი	5:0
ვიქტორია-ბოლესლავი	0:2
ვაშაში-უიჰეფტი	0:1
პისასტი-კრაკოვია	1:2
სენტრალი-სელტიკი	1:0
ბელხატოვი-კორონა	0:0
ლეჩია-ზავიჩა	1:0
ჰაიდენჰაიმი-ბორუსია (მ)	1:3
ლოტე-ბადრეგორნი	1:1
უნიონი-კარლ ცაისი	4:0
იანგ ბოიზი-აინტრახტი	1:3
რუუმგბერკი-ჰოვვედი	2:1
ფორშარი-დანდი იუნ	0:2
ლივინგსტონი-დანფერმლაინი	1:1
ბირუიკი-ჰიბერნიანი	0:3
დინამო (ბ)-ბაზელი	2:1
ლოკომოტივი (ს)-ლევსკი	0:1
ელვერსბერგი-კაიზერი	1:6
სტ. გალენი-ბრასჰოპერსი	2:2
ზალაეგერშეგი-ინკერი	1:1
შტურმი-ჟელეზნიჩარი	1:0
გორიცა-ზიოფოკი	1:2
მატერსბურგი-ნიტრა	0:0
ლოზანა-სერვეტი	1:2
რიდი-კლუჟი	0:1
პარტიზანი-პეტრუალკა	6:0
კაპფენბერგი-მეტალურგი (დ)	0:3
სტ. პოლტენი-ვინერი	1:0
სერკლი-ჰევერლე	2:2
სონდერიისკი-ვეილე	0:1
სიონი-ძსამაძსი	1:1
ლევერკუზენი-ზალცბურგი	4:0
დაინცე-გენტი	0:7
ჰამბურგი-ვოლფსბურგი	1:5
მანიშა-ვასლუი	2:4
სილკებორგი-მიდტიულანდი	0:3

ნორვეგია

ვოლერენგა-სტრიომსგოდსეტი	2:2
ბრანი-სტაბეკი	2:1
ჰაუგესუნდი-ოდ გრენლანდი	2:1
ლილესტრიომი-ვიკინგი	2:1
რუსენბორგი-სარპსბორგი	4:0
სტარტი-სიოგნდალი	1:1
მიოლდე-ოლესუნდი	5:2

II დივიზიონი

ჰიოდი-ასკერი	3:0
ალტა-სტრიომენი	1:1
კონგსვინგერი-ჰამ კამი	3:3
მიონდალენი-ბრინი	0:0
ნილი-რანჰაიმი	1:3
რანდაბერგი-ბოდო გლიმტი	2:0
სანდეფიორდი-ლოვ ჰამი	2:1
სანდნესი-ჰიონეფოსი	1:0

შვედეთი

კალმარი-ტრელებორგი	3:2
სირიანსკა-გიოტებორგი	1:2
გაის-გეფლე	2:3
მალმიო-ნორჩიპინგი	2:1
ერებრო-ელფსბორგი	0:3
ჰაკენი-მიალბიუ	6:0
ჰალმსტადი-აიკ	1:3

II დივიზიონი

ანგელჰოლმი-ლიუნგსკილე	1:1
ატვიდაბერგი-ბრომაპიოკარნა	2:1
ფალკენბერგი-ლანდსკრონა	5:1
ვარნამო-ასირისკა	3:2
ჰამარბიუ-ოსტერი	2:1

ფინეთი

ჰონკა-ინტერი	2:3
როვანიემი-მარიეჰამნი	1:1
ტურკუ-ვაასა	1:1

II დივიზიონი

ოულუ-ილიპო	1:1
კპვ-პკ 35	0:4
პოპა-ოპს	0:2
ჰიფკ-ჰამეენლინა	0:1
კემი-ვიიკინგიტი	1:3

ინგლანდიის თასი

ტორი-გრინდავიკი	2:1 (დ.დ.)
ბოლუნგარვიკი-ტროტური	3:2
ფიოლნირი-ვესტმანაიეარი	1:2
რეიკიავიკი-კეფლავიკი	3:2

ირლანდია

შემროკი-სტ. პატსი	1:0

II დივიზიონი

ფინ ჰარპსი-კორკი	0:2

ბელარუსი

ბელშინა-ვიტებსკი	2:0
ნემანი-დნეპრი	1:1
გომელი-ტორპედო	0:0
ნაფტანი-დინამო (მნ)	1:4
ბატე-დინამო (ბრ)	2:0

ესტონეთი

პაიდე-ტამეკა	2:2
ალიაძსი-ლევადია	1:4
ფლორა-კალიუ	3:3
ტრანსი-ვილიანდი	5:0

ლატვია

დაუგავა-ვენტსპილსი	1:1
სკონტო-იურმალა	2:0
იეგლავა-გულბენე	3:1

ლიგა

კლაიპედა-დაინავა	0:1
კაუნასი-მაჟეიკიაი	0:0
ტაურასი-ატლანტასი	6:0
ჟალგირისი-შიაულიაი	0:0
ეკრანასი-კრუოია	0:0
სუდუვა-ბანგა	0:1

იაპონია

ვეგალტა-ნაგოია	1:1
ფუკუოკა-კოფუ	1:0
ურავა-გამბა	1:1
შიმიცუ-კაშიმა	0:0
ნიიგატა-იამაგატა	2:0
სერეზო-კაშივა	5:0
იოკოჰამა-კავასაკი	2:1
ივატა-კოგე	3:0
ოგიია-ჰიროშიმა	0:1

კალათბურთი

ევროპის ჩემპიონატი

ქალები

ლატვია-ლიტვა	56:75
ხორვატია-ჩერნოგორია	73:59
საფრანგეთი-ჩეხეთი	63:56
რუსეთი-თურქეთი	59:42

● TV პროგრამა

4 ივლისი. ორშაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-ვენესუელა. არგენტინა.
12:00 კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. პარაგვაი-ეკვადორი. არგენტინა
14:00 სეზონის შეჯამება. ჰოლანდიის ჩემპიონატი. პსვ.
15:15 სეზონის შეჯამება. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი.
16:30 სუპერმატჩი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ჯენოა.
18:30 ტელეჟურნალი - საფეხბურთო სამყარო.
19:00 ჩემპიონის გზა. ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-გრონინგენი.
21:00 სეზონის შეჯამება. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი.
22:00 კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. პარაგვაი-ეკვადორი. არგენტინა.
00:00 ჩემპიონის გზა. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ბარსელონა.
02:05 კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. ურუგვაი-პერუ. არგენტინა (LIVE).
04:35 კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. ჩილე-მექსიკა. არგენტინა (LIVE).

GMG-სპორტი

10:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-რომა.
11:45 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-დალასი. პირველი მატჩი.
14:10 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. I დღე. ბაშტადი. შვედეთი (LIVE).
21:00 ჩოგბურთი. „დიდი სლემი". უიმბლდონი. ქალები. ფინალი. მარია შარაპოვა-პეტრა კვიტოვა. ლონდონი. ბრიტანეთი.
22:45 ყოველკვირეული ჟურნალი - ემოციები.
23:15 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-დალასი. პირველი მატჩი.

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

02:05 კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. ურუგვაი-პერუ. არგენტინა (LIVE).
04:35 კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. ჩილე-მექსიკა. არგენტინა (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

18:00 WTA-ის ტური. I დღე. ბუდაპეშტი. უნგრეთი (LIVE).

EUROSPORT

15:55 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. III ეტაპი (LIVE).
00:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). 1/4 ფინალი. მექსიკა (LIVE).

ჩოგბურთი. უიმბლდონი. ფინალები

იდეალური ნოვაკი

ნოვაკ ჯოკოვიჩი

წლევანდელ უიმბლდონზე მამაკაცების ფინალში მთავარი პრიზი დღეისთვის პლანეტის ორმა საუკეთესო ჩოგბურთელმა გაითამაშა. **რაფაელ ნადალი** და **ნოვაკ ჯოკოვიჩი** კარიერაში 28-ედ ხვდებოდნენ ერთმანეთს. აქამდე 16 გამარჯვება ესპანელს ჰქონდა, 11 - სერბს, თანაც რაფამ ბალახზე ორიდან ორი მოუგო ჯოკოვიჩს. თუმცა წელს სერბმა თავის კონკურენტს ოთხჯერ აჯობა და ოთხივეჯერ მასტერსის სერიის ტურნირების ფინალში. სწორედ ეს დაეხმარა ნოვაკს იმაში, რომ დღეიდან ის ATP-ის რეიტინგის პირველი ნომერია.

კლასიფიკაციაში სერბის ლიდერობა ფინალამდეც ცნობილი იყო, უბრალოდ, გუშინდელმა გადამწყვეტმა მატჩმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ჯოკოვიჩი სრულიად დამსახურებულად ხდება მამაკაცთა პროფესიული ტურის ახალი „მეფე“.

საწყისმა სეტმა ნადალისა და **ენდი მიურეის** ნახევარფინალის პირველი პარტია მოგვაგონა, როცა თითქმის მთელი სეტის განმავლობაში მეტოქეებს ერთი ბრეიკ-პოინტიც არ ჰქონიათ და დამაჯერებლად იგებდნენ საკუთარ მონოდებებს. მაშინ 6:5-ზე მიურეიმ ერთადერთი ბრეიკ-პოინტი მიიღო და შანსი გამოიყენა. აქაც რაფამ და ნოვაკმა თითქმის ტაი-ბრეიკამდე მიაღწიეს, მაგრამ 5:4-ზე ჯოკოვიჩს მიეცა მეტოქის გეიმის აღების შანსი და მან ის ხელიდან არ გაუშვა - 6:4.

მეორე სეტის სტარტზე ნადალს პირველი ბრეიკ-პოინტის მიღების შესანიშნავი შანსი მიეცა, მაგრამ 30:30-ზე „სმეში“ აუტში გაუშვა. შემდეგ გეიმში უკვე ჯოკოვიჩმა გამოიმუშავა ორმაგი ბრეიკ-პოინტი და პირველივე გამოიყენა - 2:0. უნდა აღინიშნოს, რომ ნოვაკმა მეორე პარტიაში უმაღლესი დონის ჩოგბურთი აჩვენა - სერბს პრაქტიკულად ყველაფერი გამოსდიოდა და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს კორტის მეორე მხარეს საშუალოზე დაბალი დონის მოწინააღმდეგე ჰყავდა. იმავე ბრეიკ-პოინტის დროს მან პრაქტიკულად „მკვდარ“ ბურთს მიუსწრო ბადესთან და კროსით ესპანელის მოძრაობის საპირისპიროდ დაარტყა. ეს მატჩის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ეპიზოდი იყო.

ამის შემდეგ ჯოკოვიჩმა მშვიდად აიღო საკუთარი მონოდება და უპირატესობა სოლიდური გახდა - 3:0. ნადალმა შეძლო ზედიზედ ხუთი გეიმის წაგების შემდეგ ანგარიშის გაქვითვა, რაშიც ორი ეისი დაეხმარა. თუმცა ესპანელი აქ გაჩერდა - მას კვლავინდებურად არაფერი გამოსდიოდა მიღებაზე, მეექვსე გეიმში კი ისევ წააგო საკუთარი მონოდება, რითაც ამ სეტში გამარჯვებულის საკითხი გარკვეული იყო. სერბმა 5:1-ზე მშვიდად ჩააწოდა სეტზე და 2:0 ნაიყვანა ანგარიში.

აღსანიშნავია, რომ ამ ორი სეტის განმავლობაში ნოვაკმა მხოლოდ 4 (!) უნებლიე შეცდომა დაუშვა და 20 „ვინერსი“ გააკეთა. ნადალი კი ჯერაც ბრეიკ-პოინტის მოლოდინში იყო.

საინტერესო იყო, რამდენ ხანს გაგრძელებდა ჯოკოვიჩის იდეალური თამაში. როგორც გაირკვა, სერბმა მესამე პარტიაში პაუზის აღება გადაწყვიტა, რითაც ნადალმა მაშინვე ისარგებლა. ნანატრი პირველი ბრეიკ-პოინტი მან მეორე გეიმში მიიღო, გამოიყენა ის და ცოტა ხანში 3:0 წაიყვანა ანგარიში. მართალია, ჯოკოვიჩს ბოლომდე ხელები არ ჩამოუშვია და თითქმის ყველა გეიმში იბრძოდა, მაგრამ ინიციატივა საბოლოოდ ესპანელის მხარეს გადავიდა. ეს სეტი სცენარით წინა პარტიის ანალოგიური იყო, რადგან რაფამ მეორე ბრეიკი მეექვსე გეიმში გააკეთა და შემდეგ სეტზე ჩააწოდა - 6:1.

მეოთხე სეტის პირველივე გეიმში ნადალმა ბრეიკ-პოინტი მოიპოვა, მაგრამ ორი საკუთარი შეცდომითა და ნოვაკის კარგი მონოდებით ეს მონდომება წყალში ჩაყარა. შემდეგ გეიმში კი უკვე ნოვაკმა მიიღო ბრეიკის გაკეთების ორმაგი შანსი და პირველივე ცდაზე მიაღწია მიზანს. მეორდებოდა მეორე და მესამე სეტების სცენარი, მაგრამ ეს ნადალმა არ დაუშვა. ესპანელმა ბოლო ძალები მოიკრიბა და უკუბრეიკის შესრულება შეძლო, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ესპანელს ბადე დაეხმარა - მას კარგი მიღება არ გამოუვიდა, მაგრამ ბურთი ბადეს მოხვდა და მეტოქის ნახევარზე გადავარდა.

ამის შემდეგ მეტოქეები საკმაოდ დამაჯერებლად იღებდნენ საკუთარ მონოდებას, სანამ მერვე გეიმში სერბმა სამმაგი ბრეიკ-პოინტი არ მიიღო. ნადალმა მხოლოდ ერთი საფრთხე ამოიგერია, მეორეზე შეცდომა დაუშვა და 5:3-ზე ჯოკოვიჩმა მატჩზე ჩაწოდების საშუალება მიიღო. ნადალს აღარ აღმოაჩნდა ძალა შეხვედრის კიდევ ერთხელ გადასარჩენად. 6:3 და ჯოკოვიჩმა კარიერაში პირველად მოიგო უიმბლდონის ტურნირი.

„ვულოცავ ნოვაკს, მან ფანტასტიკური მატჩი ჩაატარა და არაჩვეულებრივი ჩოგბურთი გვიჩვენა. შესანიშნავად მახსოვს საკუთარი ემოციები, როცა პირველად მოვიგე უიმბლდონი, ასე რომ, წარმომიდგენია, რას გრძნობს ახლა ის. აქ ყოფნა უდიდესი პატივია ჩემთვის. მადლობას ვუხდი ორგანიზატორებსა და გულშემატკივრებს. სამწუხაროდ, დღეს ვერ შევძელი ჩემი საუკეთესო ჩოგბურთის ჩვენება“, - ობიექტურად შეაფასა თავისი გამოსვლა ნადალმა.

„მიჭირს საჭირო სიტყვების მოძებნა საკუთარი გრძნობების გამოსახატავად. ეს საუკეთესო დღეა ჩემს ცხოვრებაში, უიმბლდონი კი ჩემი საყვარელი ტურნირი. პირველად ტელევიზორში საჩოგბურთო მატჩებს უიმბლდონიდან ვუყურე. ეს ოცნებაა, რომელიც რეალობად იქცა. უდიდესი მადლობა მათ, ვინც მხარს მიჭერდა. კარგად მესმოდა, რომ თუ რაფას დამარცხება მსურდა, საუკეთესო ჩოგბურთი უნდა მეჩვენებინა, რადგან მას აქ ბოლო სამი წლის განმავლობაში ორჯერ ჰქონდა მოგებული. დღევანდელი მარცხის მიუხედავად, მინდა მას მივულოცო ტურნირის შესანიშნავად ჩატარება. რაფას წინააღმდეგ თამაში დიდი პატივია. დარწმუნებული ვარ, წინ კიდევ ბევრი მატჩი გველის“, - ასეთია ახალი ჩემპიონის პირველი კომენტარი ორმაგად ტრიუმფალური უიმბლდონის დასრულების შემდეგ.

ამ გამარჯვების შემდეგ მიმდინარე სეზონში სერბის აქტივშია 50 მატჩიდან 49 მოგება. ერთადერთი მარცხი მან როლან გაროსის ნახევარფინალში **როჯერ ფედერერისგან** იწვნია. ჯოკოვიჩი აგრძელებს 2011 წელს ტიტულების კოლექციის შეგროვებას - მას უკვე რვა გამარჯვება აქვს, მათ შორის უიმბლდონსა და ავსტრალიის ღია პირველობაზე.

ქულები

ფინალი

ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2)-რაფაელ ნადალი (ესპ, 1) 6:4, 6:1, 1:6, 6:3.

აქაც ახალი ჩემპიონი

ფავორიტის სტატუსის მიუხედავად, მარია შარაპოვამ ვერ შეძლო კარიერაში მეორედ უიმბლდონის მოგება, რითაც ამ უპრესტიჟულესმა ტურნირმა ახალი ჩემპიონი მიიღო ჩეხი **პეტრა კვიტოვას** სახით.

რუსი ჩოგბურთელის ფინალში გასვლა სავსებით მოსალოდნელი იყო. მართალია, მას 2008 წლის შემდეგ არ ეთამაშა „დიდი სლემის“ ტურნირის გადამწყვეტ მატჩში, მაგრამ ნლევანდელ პირველობას მართლაც კარგ ფორმაში შეხვდა, მოტივაციისა და საბრძოლო განწყობის მხრივ კი მარიას პრობლემა არასოდეს ჰქონია.

როგორც გახსოვთ, მხარის ტრავმის გამო შარაპოვას კარიერა კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა, მაგრამ მან გამოჯანმრთელება მოახერხა, თუმცა კარგა ხანი ჩვეულ სპორტულ ფორმას ვერ იბრუნებდა. მის თამაშში პროგრესი ახალი მწვრთნელის **ტომას ჰოგსტედტის** აყვანის შემდეგ გამოჩნდა, კარიერაში გარდამტეხი მომენტი კი წელს რომის უმაღლესი კატეგორიის ტურნირი გახდა, სადაც მარიამ ბრწყინვალე დონე აჩვენა, **კაროლინ ვოზნიაცკი** დაამარცხა და მთავარ პრიზს დაეუფლა. შემდეგ როლან გაროსის ნახევარფინალამდე მიაღწია და იქ მომავალ ჩემპიონ **ნა ლისთან** დამარცხდა. უიმბლდონზე ფინალამდე გზა მან სეტის წაუგებლად გაიარა.

პეტრა კვიტოვას კარიერაში სერიოზული ჩავარდნები ჯერ არ ყოფილა და 21 წლის ჩოგბურთელი ჯერჯერობით მუდმივ პროგრესს განიცდის. ის ფართო წრეებმა შარშანდელი უიმბლდონის შემდეგ გაიცნეს, სადაც ჩეხმა ნახევარფინალს მიაღწია და მისი შეჩერება მხოლოდ მომავალმა ჩემპიონმა **სერენა უილიამსმა** შეძლო. 2010 წელს სხვა დიდი წარმატება ჩეხს არ ჰქონია, სამაგიეროდ, 2011 წლიდან დამაჯერებელი ნაბიჯებით წავიდა მწვერვალისკენ. ბრისბენის ტურნირის მოგება, ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხედფინალი, პარიზში **კიმ კლაისტერსის** ფინალში ძლევა... ყველაზე მსხვილი ტურნირი მან მადრიდში გრუნტის კორტზე მოიგო, რის შემდეგაც რეიტინგის საუკეთესო ათეულში შეაღწია. უიმბლდონზე მან შარშანდელი შედეგი გაუმჯობესა - ნახევარფინალში სამ სეტში აჯობა **ვიქტორია აზარენკას** და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

რაც შეეხება ფინალისტთა ურთიერთშეხვედრების ისტორიას, ის მხოლოდ ერთ მატჩს მოიცავდა - 2010 წლის დასაწყისში მემფისის ტურნირის ნახევარფინალში მარიამ 6:4, 6:3 გაიმარჯვა.

კვიტოვას პირველი სეტის დასაწყისში ფინალის დებიუტანტისთვის დამახასიათებელი ნერვიულობა ეტყობოდა, მაგრამ შემდეგ შევიდა თამაშში და მალე გააკეთა უკუბრეიკი. ამის შემდეგ ორივემ არათანაბარი ჩოგბურთი აჩვენა და ორივეს ჰქონდა ბრეიკის შანსი, თუმცა კვიტოვა უფრო სტაბილური ჩანდა. გარდა ამისა, როცა უკანა ხაზზე კომბინაციური თამაში მიდიოდა, პეტრა ხშირად ჯობნიდა მეტოქეს. მართალია, ბადესთან მოქმედება არ გამოსდიოდა, მაგრამ იქ ხშირად არც გადიოდა.

გარდა ამისა, ფინალში თავი იჩინა მარიას მთავარმა სენმა - არასტაბილურმა მოწოდებამ. თითქმის მთელი უიმბლდონის განმავლობაში მას არ აწუხებდა ორმაგი შეცდომები და ნახევარფინალში ისევ მოიშალა ეს სათამაშო კომპონენტი - 13 ორმაგი დაუგროვდა. სწორედ ამ შეცდომების გამო მისცა რუსმა თავისი გეიმი ჩეხს პირველი სეტის შუაში. მარიამ კინაღამ მეორე საკუთარი მოწოდებაც დათმო, მაგრამ სეტბოლზე ეისმა უშველა. მიუხედავად ამისა, კვიტოვამ სეტზე ჩაწოდება შეძლო და 6:3 გაიმარჯვა.

ბრეიკით დაიწყო პეტრამ მეორე პარტია, მაგრამ შემდეგ მარიამ გონს მოსვლა და სეტში სიტუაციის გათანაბრება მოახერხა. შარაპოვას ჰქონდა წარმატების განვრცობის შანსი, მაგრამ მარათონულ მეხუთე გეიმში კვიტოვა ოდნავ უფრო ძლიერი იყო. თუმცა ეს გეიმი გადამწყვეტი არ ყოფილა - ჩეხმა იქვე თავისი მოწოდება დათმო, როცა ორი უხეში შეცდომა დაუშვა.

მაგრამ კვიტოვას ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე ამას არ უმოქმედია. ჩეხმა გააგრძელა თავიდანვე არჩეული ტაქტიკით თამაში, ისევ დაწინაურდა ბრეიკით და ამჯერად უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვია. მას ხელი არც მატჩზე ჩაწოდებისას აუკანკალდა - გეიმი „მშრალი“ ანგარიშით მოიგო, სამმაგ მატჩბოლზე კი ეისი შეასრულა.

„ჩოგბურთში მხოლოდ ერთი ჩემპიონი შეიძლება იყოს. რა თქმა უნდა, იმედგაცრუებული ვარ. ვულოცავ პეტრას გამარჯვებას. ძალიან მინდოდა ტიტულის მოპოვება, მაგრამ იმედი მაქვს, ისევ დავბრუნდები უიმბლდონის ფინალში“, - განაცხადა მატჩის შემდეგ შარაპოვამ.

„არ მჯერა, რომ ამ პრიზით ხელში უიმბლდონის ცენტრალურ კორტზე სამეფო ლოჟის წინ ვდგავარ. ძალიან მიჭირს საკუთარი ემოციების გადმოცემა. რა თქმა უნდა, ვნერვიულობდი, არ მჯეროდა, რომ გამარჯვებას მივაღწევდი. თუმცა ისიც კარგად მესმოდა, რომ არსებობდა ამის შესაძლებლობა - უბრალოდ საუკეთესო ჩოგბურთი უნდა მეთამაშა. ბედნიერი ვარ, რომ ყველაფერი გამომივიდა“, - ემოციებს ვერ მალავდა უიმბლდონის ახალი ჩემპიონი.

მარია მეხუთედ თამაშობდა „დიდი სლემის“ ტურნირის ფინალში და მეორედ წააგო გადამწყვეტი მატჩი. დღეიდან ის რეიტინგში გაუსწრებს ნა ლის და ტრავმის შემდეგ პირველად შეაბიჯებს ტოპ-ხუთეულში. რაც შეეხება კვიტოვას, ის მეშვიდე ჩოგანი გახდება.

ქულები

ფინალი

პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 8)-მარია შარაპოვა (რუს, 5) 6:3, 6:4.

პეტრა კვიტოვა

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა